



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-9/2
1981

ფილოსოფიისა და
ფსიქოლოგიის
სერია

2. 1981

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“,
ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1981, № 2



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ფილოსოფიისა და
ფსიქოლოგიის
სერია

СЕРИЯ
ФИЛОСОФИИ И
ПСИХОЛОГИИ

ჟურნალი დაარსებულია 1980 წელს
Журнал основан в 1980 году
გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца



2. 1981

გამომცემლობა „მეცნიერება“
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

● თბილისი
ТБИЛИСИ

ს ა რ ე დ ა კ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა :

- ა. ბოჭორიშვილი, თ. ბუაჩიძე, ვ. გრიგოლავა (რედაქტორის მოადგილე), გ. თევზაძე,
ვ. კეშელავა, ზ. მიქელაძე, რ. ნათაძე, შ. ნადირაშვილი, ა. ფრანგიშვილი,
ბ. ჭავჭავაძე (რედაქტორი), ო. ჯიოევი (რედაქტორის მოადგილე).

პასუხისმგებელი მდივანი ც. შალამბერიძე

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Бочоришвили А. Т., Буачидзе Т. А., Григолава В. В. (зам. редактора), Джioев О. И.
(зам. редактора), Кешелава В. В., Микеладзе З. Н., Натадзе Р. Г., Надирашви-
ли Ш. А., Прангишвили А. С., Тевзадзе Г. Б., Чавчавадзе Н. З. (редактор),

Ответственный секретарь Ц. А. Шаламберидзе

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“,
ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1981.

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19

Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ტელეფონი 37-95-46 телефон

გადაცემა წარმოებას 5.5.81; ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.9.81; შეკვ. № 1658;
ანაწყოების ზომა 7×11¹/₂; ქალაქის ზომა 7×108¹/₁₆; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი
თაბახი 9,8; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,1; უჯ 14428; ტირაჟი 600;
ფასი 70 კაპ.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19



შ ი ნ ა რ ს ი

0. ა. შიშარდნაძე, სოციალისტური ჰუმანიზმის ლენინური პრინციპების დამკვიდრება 5

ფილოსოფია

0. კალანდია, კულტურა და ადამიანის თავისუფლება 20
 შ. კვარაცხელია (სოხუმი), ფილოსოფიური ცოდნის თავისებურებათა შესახებ 41
 მ. ბურბანიძე, რეალობის პრობლემა მარქსამდელ ფილოსოფიაში 40

ფსიქოლოგია

0. დიმიძე, იძულებითი პეტეროგენული მოტივების გავლენა მოსწავლეთა აზროვნებაზე 63
 ნ. მრეღაშვილი, ცნობიერების პროცესების მოქმედების სპეციფიკური გადახრის შესახებ შეფასებითი ამოცანების გადაწყვეტის დროს 74
 ნ. ფრანგიშვილი, რეტარდაციის სტილისტური მიდგომის ფსიქოლოგიური ბუნებისათვის 78
 ბ. მალაშვილი, აგრესიულობის, როგორც ქცევის სპეციფიკური ფორმის თავისებურება მართლმადგონე და დამნაშავე არასრულწლოვანებთან 90

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ბ. შუშანაშვილი, საყურადღებო გამოკვლევა XX საუკუნის ქართული ფილოსოფიის ისტორიაში 104

ინფორმაცია

კონკურსი ახალგაზრდა მეცნიერთა საუკეთესო ნაშრომებზე 110
 საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში ახალგაზრდა მეცნიერთა ნამუშევრების სკკპ XXVI ყრილობისადმი მიძღვნილი VII საკავშირო კონკურსის რესპუბლიკური ტურის ჩატარების შესახებ 111
 ამოღონ შეროზია (ნეკროლოგი) 112



СОДЕРЖАНИЕ

Э. А. ШЕВАРДНАДЗЕ, Утверждение ленинских принципов социалистического гуманизма 5

ФИЛОСОФИЯ

И. Д. КАЛАНДИА, Культура и свобода человека 26
Ш. Я. КВАРАЦХЕЛИА (Сухуми), Об особенностях философского знания 41
В. С. ГУРГЕНИДЗЕ, Проблема реальности в домарксистской философии 49

ПСИХОЛОГИЯ

О. Л. ДЕВИДЗЕ, Влияние принудительных гетерогенных мотивов на мышление учащихся 63
Н. В. ЧРЕЛАШВИЛИ, О специфическом отклонении действия процессов сознания при решении оценочных задач 74
Н. Н. ПРАНГИШВИЛИ, К психологической природе стилистического приема ретардации 78
Г. А. МАГРАДЗЕ, Особенности проявления агрессивности у законопослушных подростков и несовершеннолетних преступников 90

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Г. Г. ШУШАНАШВИЛИ, Интересное исследование по истории грузинской философии XX века 104

ИНФОРМАЦИЯ

Курс на наилучшую работу молодых ученых 110
О проведении республиканского тура VII всесоюзного конкурса работ молодых ученых в области общественных наук, посвященного XXVI съезду партии 111
Аполлон Шерозия (некролог) 112



17054

ბ. ა. შავარდნაძე

სკკპ ცკ პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი,
საქართველოს კომპარტიის ცკ პირველი მდივანი

სოციალისტური ჰუმანიზმის ლენინური პრინციპების
ღამკვიდრება

რეალურმა, პრაქტიკულმა სოციალიზმმა, რომელსაც დიდმა ლენინმა და ოქტომბრის რევოლუციამ მისცეს დასაბამი, ახალი ეპოქა წამოიწყო კაცობრიობის განვითარებაში. მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში პირველად შეიქმნა საზოგადოება, რომელმაც არ იცის, რა არის ექსპლუატაცია და კლასობრივი ანტაგონიზმი, ეროვნული ჩაგვრა, რასობრივი დევნა და ადამიანთა დამონების სხვა ფორმები. სოციალიზმის განმტკიცება, ამრიგად, ნიშნავდა უდიდეს გადატრიალებას საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელ ერთობლიობაში, კ. მარქსის სიტყვებით, „ადამიანური ბუნების უფრო ღირსეული“ პირობების შექმნას [1, 449], როდესაც თვით ადამიანი საზოგადოებრივი განვითარების უმაღლეს მიზნად გადაიქცევა.

რეალურმა სოციალიზმმა ახალ თავს მისცა დასაბამი ჰუმანიზმის ისტორიაშიც. გაბატონებული კლასების მოსპობა, სოციალური დათრგუნვის ინსტიტუტების ლიკვიდაცია — პროლეტარული რევოლუციის ეს პირველი აქტები — ამავე დროს იყო აქტები უმაღლესი ჰუმანიზმისა — სოციალისტური ჰუმანიზმისა, რომლისთვისაც მთავარია მშრომელი ადამიანის ინტერესები, მიხი ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარება.

რეალური სოციალიზმი ახალ ბრწყინვალე ფურცელს წერს საქართველოს ისტორიაში, იმ რესპუბლიკის ისტორიაში, რომელიც ახლა მთელ ქვეყანასთან ერთად მტკიცედ შევიდა XX საუკუნის 80-იან წლებში.

I

ჩვენთვის, საქართველოს კომუნისტებისათვის, 1981 წელი განსაკუთრებით ღირსსახსოვარი იქნება. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ შესრულდა 60 წელი რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან და 60 წელი მისი კომუნისტური პარტიის შექმნიდან. ეს წელი დასახსოვებელი იქნება ჩვენთვის როგორც წელი XXVI ყრილობისა — უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენისა, რომლითაც ახალი ათწლეული დაიწყო. ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში სკკპ ცკ გენერალურმა მდივანმა, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მაღალი შეფასება მისცა ჩვენი პარტიული ორგანიზაციის მუშაობას, რომელიც რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპების დაჩქარებისკენაა მიმართული. ეს შეფასება ჩვენ დავიმსახურეთ სწორედ საბჭოთა საქართველოს

კ. მარქსის სახ. საჯ. სს
სახელომწიფო რესპუბლიკა



მე-60 წლისთვის წინ, ამის შემდეგ კი ლ. ი. ბრეჟნევი ჩამოვიდა თბილისში და მონაწილეობა მიიღო საიუბილეო დღესასწაულში. ამ ჩამოსვლას ჩვენ ვაფასებთ როგორც საქართველოს პარტიული ორგანიზაციის, ყველა კომუნისტის, ყველა მშრომელის მთელი მუშაობის მხარდაჭერის გამოვლენას.

ექვსი ათწლეულია მტკიცე ნაბიჯით მიდის რესპუბლიკა სოციალისტური გზით. ეს დიდი და სახელოვანი გზა კი 1921 წლის 25 თებერვალს დაიწყო, როცა სერგო ორჯონიკიძემ დეკემბით აუწყა მოსკოვს, კრემლს: „თბილისზე საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებს! გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“ ასე მოვიდა 60 წლის წინ საქართველოში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია. მან მშრომელ მასებს მოუტანა სოციალური განთავისუფლება და არნახული გასაქანი მისცა ჩვენს მრავალეროვან რესპუბლიკაში დასახლებული ყველა ხალხის უზარმაზარი შემოქმედებითი ძალებისა და პოტენციური შესაძლებლობების გამოქვლივებას.

ადამიანთა შეგნებაში დიდი ოქტომბერი განუყრელადაა დაკავშირებული თავისუფლების, სამართლიანობისა და სიკეთის ყველაზე ნათელ იდეალებთან. ის უმაღლესი გამოხატულებაა ჰუმანიზმისა, ცნებისა, რომელმაც შეისისხლხორცა კაცობრიობის საუკეთესო ოცნებანი სოციალურ სამართლიანობაზე, საზოგადოების ყველა წევრის ზნეობრივ სიწმინდეა და კეთილშობილობაზე. ამ ოცნების განხორციელების, თითოეული პიროვნების თავისუფალი ჰარმონიული განვითარების პირობების შექმნა პირველად პრაქტიკულად შეძლო მხოლოდ სოციალიზმმა — საზოგადოებრივ-ეკონომიურმა ფორმაციამ, რომელშიც არ არის ექსპლუატატორული კლასები და, შესაბამისად, არ არსებობს ობიექტური წინამძღვრები საზოგადოების ერთი წევრის მიერ მეორის დასაჩაგრავად.

საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს მთელი ისტორია, არსებითად, არის ისტორია იმისა, თუ როგორ ყალიბდებოდა პრინციპულად ახალი ტიპის ადამიანი, შემოქმედი და მშრომელი ადამიანი, მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობის ადამიანი, რომელიც ყველაზე მაღლა აყენებს საზოგადოებრივ ინტერესებს, მუდამ ზრუნავს სხვა ადამიანების კეთილდღეობაზე. ამ თვისებების განხორციელება ცხოვრებაში კონკრეტულ ცოცხალ პიროვნებაში, საზოგადოების წევრთა დიდ უმრავლესობაში და არა იდეალებში რაღაც განყენებულ სისტემაში, არა რაღაც აბსტრაქტულ ინდივიდში, რომელიც არსებობს როგორც მხოლოდ თეორიულ მსჯელობათა ნაყოფი, არის, ჩვენი აზრით, სოციალისტური ჰუმანიზმის მთავარი ამოცანა. სოციალისტური ჰუმანიზმის ეს ცნება პროლეტარული რევოლუციის წყალობით წარმოიშვა.

ბურჟუაზიული იდეოლოგიები დღეს ამაოდ ცდილობენ ოქტომბრის რევოლუცია წარმოადგინონ წმინდა რუსულ მოვლენად. დიახ, ეს ნამდვილად რუსული მოვლენაა იმ აზრით, რომ სწორედ დიდი რუსი ხალხი ჩაუდგა სათავეში რუსეთის მშრომელთა ბრძოლას თავისი სოციალური განთავისუფლებისათვის. მაგრამ ამავე დროს ჩვენი რევოლუციის წარმოდგენა მოვლენად, რომელიც მხოლოდ ერთი ხალხის ინტერესებს ეხება, გაუმართლებლად შეზღუდვა მისი საზღვრებისა ეროვნული ფარგლებით, როგორც ამაჰ აკეთებს ზოგიერთი დასავლეთში, ნიშნავს დიდი ოქტომბრის მსოფლიო-ისტორიული როლისა და მნიშვნელობის დამცირების ცდას. ნებისმიერი საბჭოთა რესპუბლიკის, მათ შორის საქართველოს განვითარების გამოცდილება მოწმობს იმას, რომ მშრომელი ხალხის სოციალური განთავისუფლების გარეშე არ არსებობს და არ შეიძლება არსებობდეს ნამდვილი ეროვნული თავისუფლება.

ჩვენი რევოლუცია ყველა იმ ერისა და ეროვნების მშრომელთა ღვიძლი საქმე იყო, რომლებიც მრავალეროვანი რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდნენ და ნებაყოფლობით იზიარებდნენ რუსი ხალხის ისტორიულ ბედს. მათთვის 1917 წელი ისეთივე დიადი გარდაქმნების დასაწყისი იყო, როგორც თვით რუსეთისათვის. არ არის და არც შეიძლებოდა ყოფილიყო დღეს საქართველოს ისტორია 1917 წლის ოქტომბრის გარეშე. ცარიზმის, კაპიტალისტებისა და მემამულეების ძალაუფლების წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის გამოჩენილი რევოლუციონერი-ლენინელები — მ. ა. აზიზბეკოვი, მ. ზ. ბოკორიძე, ს. გ. გაგლოვი, შ. ზ. ელიავა, ა. ს. ენუქიძე, ვ. ზ. კეცხოველი, ნ. ა. ლაკობა, ფ. ი. მახარაძე, პ. ვ. მონტინი, ნ. ნ. ნარიშკინი, მ. დ. ორახელაშვილი, გ. კ. ორჯონიკიძე, ს. ს. სპანდარიანი, ი. ბ. სტალინი, ი. ტ. ფიოლეტოვი, ს. გ. შუშინი, ა. გ. წულუკიძე, მ. გ. ცხაკაია, პ. ა. ჯაფარიძე და სხვ.

ერთობლივი რევოლუციური ბრძოლის ეს ტრადიციები მეგობრობისა და ძმობის მძლავრ ფესვებზე აღმოცენდა. ჯერ კიდევ იმ დროს, როცა საქართველო ნებაყოფლობით შევიდა რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში, ქართველი ხალხი სამუდამოდ დაუკავშირდა დიდ რუს ხალხს, ეზიარა მისი სულიერი კულტურის სავანძურს. და გასაკვირი არ არის, რომ საქართველოს პროგრესული მოღვაწეები ორგანულად შეერწყნენ რუსულ განმათავისუფლებელ მოძრაობას. დეკაბრისტების აჯანყება, ბ. გ. ბელინსკის, ა. ი. გერცენის, ნ. გ. ჩერნიშევსკის შეხედულებები, რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგია ფართოდ გაერცელდა ქართველი საზოგადოებრიობის მოწინავე წრეებში, რომლებიც, გამოჩენილი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის სიტყვებით რომ ვთქვათ, მუდამ იყვნენ „ახალგაზრდა, სინათლისაკენ მიმსწრაფი რუსეთის მიმდევარი“. ამრიგად, საქართველოში რევოლუციური მოძრაობის პროლეტარულ ეტაპზე გადასვლა მოაშზადა იმავე იდეურ-პოლიტიკურმა მომდევნებებმა, რომელთაც რუსეთში ჰქონდათ ადგილი. ეს იყო ერთი განუყოფელი ნაკადი.

ჩვენმა ლენინურმა პარტიამ განავითარა და გააღრმავა ეს ტრადიციები. ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციის ისტორიული მომზადების პროცესში მან შეძლო პრაქტიკულად ეჩვენებინა ეროვნული საკითხის გადაჭრის მავალითი. ვ. ი. ლენინი ამასთან დაკავშირებით წერდა: „ჩვენში და კავკასიაში ს.-დ. ქართველები + სომხები + თათრები + რუსები ათ წელი აწაღზე მეტ ხანს მუშაობდნენ ერთად, ერთიან ს.-დ. ორგანიზაციაში. ეს ფრაზა კი არ არის, არამედ ეროვნული საკითხის პროლეტარული გადაწყვეტა“ [2, ტ. 35, 76]. პარტიამ კიდევ უფრო მონოლითურად დარაზმა თავის გარშემო რევოლუციური ძალები და მტკიცედ გაუძღვა მშრომელთა მრავალმილიონიან მასებს ექსპლუატაციისა და ჩაგვრის სამყაროს წინააღმდეგ, რომელიც თავისი არსებით ადამიანის პიროვნებაზე ძალადობას ემყარება.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ რუსეთში და შემდგომ საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ საქართველოში ჩვენს რესპუბლიკაში დასახლებულ ხალხებსაც გადაუშალა თვალუწვდენელი სოციალური პერსპექტივები. კარგად თქვა ამის შესახებ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თბილისში საზეიმო სხდომაზე გამოსვლისას: „ძნელი იყო საქართველოს ისტორიული სვე-ბედი. საუკუნეთა მანძილზე განიცდიდა იგი უცხოელ დამპყრობთა შემოსევებს, რომლებიც ანანაგებდნენ ქვეყანას, მაგრამ თქვენი წინაპრების თაობები კავკასიონის კლდესავით მტკიცენი აღმოჩნდნენ. მათ დაიცვეს დამოუკიდებლობა,



შექმნეს და შეინარჩუნეს თავისთავადი, მრავალმხრივ უნიკალური კულტურა. ამაში სასიკეთო როლი შეასრულა რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობითმა შეერთებამაც, დიდ რუს ხალხთან მეგობრობამ, საუკუნეთა მანძილზე რომ დრამაღებოდა“ [6, 3]. შემდგომ ლ. ი. ბრეჟნევა ხაზგასმით თქვა: „სოციალიზმმა საქართველოს სამდვილი თავისუფლება მოუტანა, გამოაღვიძა მისი ხალხის წიაღში მთვლემარე შემოქმედებითი ძალები“ [6, 4].

დამოუკიდებლობისათვის, ეროვნული და ადამიანური ღირსებისათვის ბრძოლაში, რასაც მთელი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ეწეოდა ქართველი ხალხი ხან ბერძენი კოლონიზატორებისა და რომის იმპერიის ლეგიონების წინააღმდეგ, ხან მონღოლი და არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ, ხან, დაბოლოს, შაჰისა და სულთანის ძალაუფლებას დამორჩილებულ ირანთან და თურქეთთან, ფალიბდებოდა და იწრთობოდა ხალხის თავისუფლებისმოყვარე ხასიათი. ეს ხასიათი გამოიხატა თვითმყოფად კულტურაში, ნაირფეროვან ეროვნულ ტრადიციებში, ძველ ფილოსოფიურ სკოლებში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში, რომანტიკულ პოეზიაში, რომელიც ასე მშენივრად უმღერის სიყვარულს, მეგობრობასა და ძმობას, სავსეა სიყვითისა და ჰუმანიზმის ყოვლისშემძლეობის რწმენით.

ისტორია თითქმის არასოდეს არ გვანებივრებდა თავისი კეთილგანწყობით. და მხოლოდ მაშინ, როცა თავისი ბედი რუსეთს დაუკავშირა, ქართველი ხალხი ეღირსა ბოლოს და ბოლოს, როგორც გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ი. ჭავჭავაძემ თქვა, დიდხანს ნანატრ მშვიდობასა და მოხვეწებას და, ამასთან ერთად, განვითარების აუცილებელ პირობებს. როგორც თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევა, „სწორი არჩევანი მოახდინეს ჩვენმა წინაპრებმა 200 წლის წინათ. რუსი და ქართველი ხალხების მეგობრული ურთიერთობა გაიზარდა, კიდევ უფრო განმტკიცდა საქართველოს ექვსი სოციალისტური ათწლეულის მანძილზე“ [7].

ოქტომბრის შემდეგ საბჭოთა რუსეთმა, მიუხედავად სამოქალაქო ომისა და უცხოური ინტერვენციით გამოწვეული ნგრევისა, შეძლო დაზმარებოდა ეროვნულ განაპირა მხარეებს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებასა და სოციალისტური გარდაქმნების პროცესის სწრაფი ტემპით წარმართვამა. საქართველოს მავალითი ამ მხრივ საკმაოდ მრავლისმეტყველია. ფეოდალიზმის მნიშვნელოვანი გადმონაშთებით დამძიმებული და მეტად სუსტი მრეწველობის მქონე აგრარული რაიონი საბჭოთა ხელისუფლების წლებში განვითარებულ ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად გადაიქცა.

„მთელი ძალ-ღონით განავითარეთ მდიდარი მხარის საწარმოო ძალები, თეთრი ნახშირი, მორწყვა“ [2, ტ. 32, 398], — წერდა ვ. ი. ლენინი კავკასიის კომუნისტებს. „ერთბაშად ეცადეთ... დაიწყეთ ელექტრიფიკაციის... დიდი სამუშაოები“ [იქვე, 399]. დღეს რესპუბლიკა ერთ დღე-ღამეში იმდენივე სამრეწველო პროდუქციას აწარმოებს, რამდენსაც მთელ 1921 წელს აწარმოებდა. აქ ინტენსიურად განვითარდა ისეთი დარგები, როგორიცაა მანქანათმშენებლობა, ჩარხმშენებლობა, მეტალურგია, ავტომობილმშენებლობა, თვითმფრინავმშენებლობა, ხელსაწყოთმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა და ა. შ. თბილისში ყოფნისას ლ. ი. ბრეჟნევა ხაზი გაუსვა იმას, რომ „დღეს საქართველოს არსებითად დაუდგა ინდუსტრიალიზაციის ახალი უმნიშვნელოვანესი ეტაპი, თანაც ყველაზე მაღალი ტექნიკური დონისა“ [6, 4]. მხოლოდ უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში სამრეწველო პროდუქციის მოცულობა თითქმის გაროკე-

და. 60 წლის განმავლობაში აშენდა 1200-ზე მეტი სამრეწველო საწარმო, და მათ შორის ინდუსტრიის ნამდვილი გიგანტები. მტკიცედ ვითარდებოდა ენერგეტიკა. 1980 წელს ერთ სულ მოსახლეზე ნაწარმოებია 14-ჯერ მეტი ელექტროენერჯია, ვიდრე 1940 წელს.

არანაკლებ შთამბეჭდავია სოფლის მეურნეობის მიღწევები. სოციალისტურმა გარდაქმნებმა სოფლად საშუალება მოგვცა მოკლე ვადებში დაგვეძლია მისი საუკუნოვანი ჩამორჩენილობა, აგვემადლებინა მიწათმოქმედება თანამედროვე ინდუსტრიულ დონემდე. 60 წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის წარმოების მოცულობა გაიზარდა დაახლოებით 5-ჯერ.

ეკონომიკის განვითარების პარალელურად და მისი პირდაპირი ზეგავლენით სასიკეთო ცვლილებები ხდებოდა ცხოვრების სხვა სფეროებშიც. საქართველო გადაიქცა მთლიანად წიგნიერ რესპუბლიკად, მასწინ, როცა რევოლუციამდე მოსახლეობის სამ მეოთხედს წერა-კითხვა არ შეეძლო. დღეს ჩვენს საერთოსაგანმანათლებლო სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში ვასწავლით ექვს ენაზე — ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე, მოსახლეობის ყოველი 10 ათასიდან 169 სტუდენტია. ეს თითქმის ორჯერ აღემატება ანალოგიურ მაჩვენებლებს დიდ ბრიტანეთში, გერ-ში, ესპანეთში და 3-4-ჯერ მეტია, ვიდრე თურქეთსა და ირანში.

ასაღვარდა სპეციალისტები მზადდება ორ უნივერსიტეტში, ორ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სასოფლო-სამეურნეო პროფილის სამ ინსტიტუტში, შვიდ პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხელოვნებისა და კულტურის სამ უმაღლეს სასწავლებელში, სამედიცინო ინსტიტუტში და ფიზკულტურის ინსტიტუტში, 91 საშუალო სპეციალურ სასწავლებელში ერთდროულად 140 ათასი ჭაბუკი და გოგონა სწავლობს.

1941 წელს შეიქმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რომლის მეცნიერები მსოფლიო მიღწევების დონეზე ამუშავევენ მეცნიერებისა და ტექნიკის აქტუალურ პრობლემებს. მთლიანად რესპუბლიკაში კი დღეს მეცნიერებისა და სამეცნიერო მომსახურების სფეროში 60 ათასზე მეტი ადამიანი მუშაობს. მათგან 1.300-ზე მეტი დოქტორია და 9 ათასამდე — მეცნიერებათა კანდიდატი. უმრავლეს შემთხვევაში ეს ის კადრებია, რომელთაც შეუძლიათ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ურთულესი ამოცანების გადაჭრა.

იანვარში შედგა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა. მან შეაჯამა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მოღვაწეობის შედეგები გასული ხუთი წლის განმავლობაში და დასახა რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების პერსპექტივები. მთლიანად ეს შედეგები ვეზარებს, ხოლო პერსპექტივები ოპტიმიზმსა და მომავლის რწმენას გვიწვავს. ამით კიდევ ერთხელ დასტურდება რეალური სოციალიზმის ძირეული უპირატესობები. არც ერთ სხვა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციას, სოციალიზმის გარდა, არ შეუძლია უზრუნველყოს რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროს ასეთი სწრაფი განვითარება. ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ოქტომბრის რევოლუციამ და საბჭოთა ხელისუფლებამ მოსპეს ექსპლუატაცია და ეროვნული ჩაგვრა და მშრომელთა მრავალმილიონიანი მასები აქციეს თავიანთი ბედის პატრონებად, ახალი ცივილიზაციის შემქმნელებად, განამტკიცეს საბჭოთა ხალხების ძმური მეგობრობა და ურთიერთდახმარება.



საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე, როგორც ამის შესახებ თქვა ლ. ი. ბრეჟნევიმ სკკპ XXVI ყრილობაზე, ჩვენი პარტიის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა „ისე იგებოდა, რომ რაც შეიძლება მალე დაგვეწინაურებინა რუსეთის ყოფილი ვანაპირა მხარეები მისი ცენტრის განვითარების დონემდე. და ეს ამოცანა წარმატებით გადაწყდა. აქ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის ყველა ერის მჭიდრო თანამშრომლობამ და, უწინარეს ყოვლისა, რუსი ხალხის უანგარო დახმარებამ“ [4, 99]. ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრულ განხორციელებაში ჩვენ სოციალისტური ჰუმანიზმის ერთ-ერთ დამაჯერებელ გამოვლენას ვხედავთ.

რა თქმა უნდა, ახალ ცივილიზაციას არ შეეძლო, როგორც კი ფეხი აიდგა, გამოემკვლანებინა მთელი თავისი პოტენციური შესაძლებლობანი. არ შეეძლო თუნდაც იმიტომ, რომ სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის პროცესი მიმდინარეობდა უაღრესად არახელსაყრელ საერთაშორისო ვითარებაში, იმპერიალიზმის მხრივ გააფთრებული შემოტევის პირობებში, რომელსაც სწყუროდა მოესპო მსოფლიოში პირველი მუშებისა და გლეხების სახელმწიფო, უდიდესი მსხვერპლისა და გაჭირვების ფასად, რაც ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხებს ზედათ წილად, კომუნისმის იდეალებისადმი საბჭოთა ადამიანების თავდადებული ერთგულების, რამდენიმე ომის ფრონტებზე და შრომით ფრონტზე მათი უმაგალითო გმირობის წყალობით სოციალიზმი საბჭოთა კავშირში აშენდა. ახლა ის თავის საკუთარ საფუძველზე ვითარდება.

მომწიფებული სოციალიზმის ეტაპზე, როცა საზოგადოებრივი შენობისათვის მყარი ეკონომიური საძირკველია ჩადგმული და ის მტკიცედ და ურყევად დგას, როცა სოციალიზმი თანამედროვეობის განსაზღვრულ ტენდენციად გადაიქცა და მსოფლიო ისტორიის მასშტაბით ეს ტენდენცია შეუქცევადი გახდა, წინა პლანზე სულ უფრო მეტად დგება ის პრობლემები, რომელთა გადაწყვეტასთანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალიზმის უმაღლესი მიზნის განხორციელება — მშრომელთა ფართო მასეების მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების სულ უფრო სრული დაკმაყოფილება, პროცესების ყოველმხრივი პარმონიული განვითარება. „სხვაგვარად რომ ვთქვათ, — როგორც ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავს, — ახლა სოციალისტური წარმოების უმაღლესი მიზანი პირდაპირ და უშუალოდ დგება პარტიის პრაქტიკული პოლიტიკის ცენტრში. ამით უფრო სრულად და მკაფიოდ ვლინდება სოციალიზმის, როგორც წარმოების წესისა და ცხოვრების წესის ისტორიული უპირატესობანი, მისი ჭეშმარიტად ჰუმანური არსი“ [5, 6].

II

მომწიფებული სოციალიზმის ეტაპზე ერთ-ერთი პირველხარისხოვანი მნიშვნელობა მოიპოვა ადამიანის ზნეობრივი აღზრდის პრობლემამ. მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდას, თუკი მას თან არ ახლავს მათი ზნეობრივ-სულიერი ზრდა, შეიძლება მეშხანური, მომხმარებლური ფსიქოლოგიისა და მორალის რეციდივები მოჰყვეს. ამაში ჩვენ საკუთარმა სამწუხარო გამოცდილებამ დაგვარწმუნა.

არაშორეულ წარსულში ჩვენს რესპუბლიკაში პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის ამკარა შესუსტების, პასუხისმგებლობის გრძნობის დაქვეითების გამო ადვილი ჰქონდა მომხმარებლობისა და მეშხანობის ფსიქო-



ლოგის გამოვლენებს, კერძომესაკუთრული ტენდენციების რეციდივებს, უსუსულ-გულო, ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას მშრომელთა მოთხოვნებისა და ინტერესებისადმი. გახშირდა სოციალისტური საკუთრების დატაცების, მექრთამეობის, კარიერიზმის და სხვა ნეგატიური მოვლენების შემთხვევები, რომლებიც ძირეულად ეწინააღმდეგება სოციალისტური ცხოვრების წესის პრინციპებს.

რა თქმა უნდა, ამან, უწინარეს ყოვლისა, უარყოფითი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი წარმოების ზრდაზე. 70-იანი წლების დასაწყისისათვის ეკონომიკური განვითარების ტემპების მიხედვით საქართველომ ქვეყანაში ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზე გადაინაცვლა. ნაკლებად სერიოზული როდი იყო ზნეობრივი სფეროსათვის მიყენებული ზიანი. მოსახლეობის ნაწილის ცნობიერებაში შეიჭრა ეგოიზმისა და ინდივიდუალიზმის, ცინიზმისა და ნიჰილიზმის საშიში მიკრობი, რომელმაც სოციალური განწყობილებისა და ღირებულებითი ორიენტაციების დეფორმაცია გამოიწვია. ყველაფერ ამას არ შეეძლო არ შეეშფოთებინა კომუნისტები, ყველა პატიოსანი მშრომელი, რომლებიც საბჭოთა საქართველოს აყვავებით იყვნენ დაინტერესებული. მწიფდებოდა მომენტი, როცა შექმნილი მდგომარეობის მოთმენა უბრალოდ აღარ შეიძლებოდა.

რესპუბლიკაში ყოველგვარ ნეგატიურ მოვლენებთან და კომუნისტური მორალის ნორმებიდან გადახვევებთან ბრძოლას დასაბამი მისცა სკკპ ცკ-ის 1972 წლის თებერვლის ცნობილმა დადგენილებამ „საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად“. საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ მიიღო მოქმედების კონკრეტული პროგრამა, რომელიც საფუძვლად დაედო დამატებულ მუშაობას პარტიის ხელმძღვანელი როლის განსამტკიცებლად, პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმების აღსადგენად, რესპუბლიკაში ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შესაქმნელად და ამ საფუძველზე მისი ეკონომიკის მკვეთრად ასამაღლებლად.

უდიდესი დახმარება აღმოგვიჩინეს ამ საქმეში სკკპ ცკ-ისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს შემდგომმა დადგენილებებმაც საქართველოს შესახებ. ჩვენს პარტიულ ორგანიზაციას არ ახსოვს პარტიისა და მთავრობის, საკავშირო ორგანოების მხრივ ასეთი ინტენსიური ზრუნვისა და ყურადღების სხვა პერიოდი. თბილისის კომიტეტის გამო მიღებული დადგენილების შემდეგ განვიღო დროში მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ფუნდამენტური დადგენილებები საქართველოს პარტიული ორგანიზაციის თაობაზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები აფხაზეთის თაობაზე, რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და სოფლის მეურნეობის დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

ჩვენ მივიღეთ რჩევები და მითითებები პირადად ლ. ი. ბრეჟნევისაგან, ჩვენ შთავაგონებდა მისი მისალოცი წერილებისა და დეპუტების სტრიქონები, რომლებიც ჩვენი მოქმედების კონკრეტულ პროგრამად გახდა და ამ ზრუნვას, ამ ყურადღებას აკვირვებენ სკკპ XXVI ყრილობის მთავალი შეფასება, რაზეც სტატიის დასაწყისში გვქონდა ლაპარაკი, ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები იმის თაობაზე, რომ საქართველოში საქმეები კარგად მიდის, ლ. ი. ბრეჟნევის მონაწილეობა ჩვენს საიუბილეო ზეიმში, სადაც მან აღნიშნა, რომ „ნამდვილი საზეიმო განწყობილება მაშინ იქმნება ხოლმე, როცა საქმე კარგად მიდის“ [7]. რესპუბლიკის მშრომელებისადმი ამგვარ დამოკიდებულებაში ჩვენ ვხედავთ ამხანაგ



ლ. ი. ბრეჟნევის — ლენინის საქმის დიადი განმგრძობის, კომუნისტური მშენებლობის დიადი ორგანიზატორის ჭეშმარიტად ლენინური ზრუნვის, ნამდვილი დემოკრატიზმისა და ჰუმანიზმის გამოვლენას. ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა შეიტანა უდიდესი წვლილი განვითარებული სოციალიზმის ერთიანი, მწყობრი კონცეფციის გამოქვეყნებაში, დაასაბუთა დებულება იმის შესახებ, რომ მომწიფებულ სოციალიზმის პირობებში სულ უფრო მეტად იზრდება ხელმძღვანელები და წარმმართველი როლი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა, რომელიც მთელი ხალხის პარტიად გადაიქცა. ლ. ი. ბრეჟნევის სახელთან მჭიდროდაა დაკავშირებული მშვიდობის გრანდიოზული პროგრამა, ბრძოლა პლანეტაზე მშვიდობისათვის, კაცობრიობის ამ უმაღლესი მიზნის მიღწევისათვის.

საქმიან მხარდაჭერაზე დაყრდნობით რესპუბლიკის კომუნისტებმა პრინციპულად გამოააშკარავეს ნაკლოვანებანი და ეკონომიკური და სოციალური პროცესების მართვაში დაშვებული შეცდომები და კიდევ უფრო მძაფრად წარმართეს ბრძოლა ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ხელს უშლიდა მის განვითარებას, აბრკოლებდა ჩვენს წინსვლას; ხოლო გასული წლების მთავარი შედეგი, დღეს შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, სწორედ ისაა, რომ ჩვენ ძირითადად მოვიგეთ ბრძოლა ადამიანისათვის, მასში ყველაზე ადამიანურის, მისი სულის საუკეთესო თვისებების გამოვლენისათვის, მივადწიეთ ყველა მშრომელის თვითშეგნების ამძღვრებას.

ეს პროცესი სულაც არ აღმოჩნდა მარტივი. საჭირო იყო გვესწავლა ბრძოლა საზოგადოების თითოეული წევრისათვის, გვეპოვნა ახალი ბერკეტები და საშუალებები ადამიანებში ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის გრძნობის, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და საზოგადოებრივი საქმეებისადმი პირადი თანაზიარების გრძნობის ჩამოყალიბებისათვის. ამ მიმართულებით მუშაობის პრაქტიკამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა იმ მარქსისტული დებულების სამართლიანობაში, რომ საზოგადოებრივი ცნობიერება ჩამორჩება საზოგადოებრივ ყოფიერებას, რომ ადამიანთა ცხოვრების პირობების შეცვლა უფრო ადვილია, ვიდრე მათი ცნობიერებისა, რომ ეს პროცესი ნელი და ხანგრძლივია. ამ ჭეშმარიტების მართებულებაში ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ვრწმუნდებოდით. ეკონომიკური ჩამორჩენის გადალახვა გაცილებით ადვილი აღმოჩნდა, ვიდრე ბრძოლა ინდივიდუალიზმთან, ეგოიზმთან და კომუნისტური მორალის ნორმებისაგან სხვა გადახრებთან.

როგორც ეკონომიკურ, ისე მორალურ-ფსიქოლოგიურ სფეროებში სოციალიზმის ანტიპოლემის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც თბილისის ქალაქკომის თაობაზე დიდგენილების მომენტიდან დაიწყო, რესპუბლიკაში ყოველწლიურად მწვავედა. პარტიული ორგანიზაციის, ყველა პარტიული კომიტეტის, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყურადღების ცენტრშია საბჭოთა ცხოვრების წესის განმტკიცების ამოცანები. სწორედ ამ თვალთახედვით ვფასებთ ადამიანთა შეგნებიდან წერილობრივუზიული, ობიექტუური ფსიქოლოგიის ელემენტების ამოძიკვის ღონისძიებების შედეგებს.

საერთო წარმატებები აქ უდავოა და პარტიულმა ორგანიზაციებმა, როგორც აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა, შეძლეს გაეჩაღებიათ „პრინციპული და უკომპრომისო ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის, სწორი საკადრო პოლიტიკისათვის“ [6, 6]. თუ



წინამდევალ წლებში, მაგალითად, კერძომესაკუთრულ ტენდენციებზე ლაპარაკობდნენ როგორც მიშვებულ და სერიოზულ ავადმყოფობაზე, დღეს შეიძლება კმაყოფილებით აღვნიშნოთ, რომ მიღებულმა ზომებმა მნიშვნელოვნად შეზღუდეს ავადმყოფობის კერა. მაგრამ ავადმყოფობა დაძლეული არ არის და ჩვენ ვაგრძელებთ მასზე გადამწვევტ შეტევას. ჩვენ მზად ვართ კიდევ უფრო თანმიმდევრულად და მიზანდასახულად შევასრულოთ ეს სამუშაო, ვხელმძღვანელობთ რა ლ. ი. ბრეჟნევის მითითებით იმის შესახებ, რომ „კვლავაც ნიადაგ უნდა იზრუნოთ იმისათვის, რომ საქართველოში მორალური ატმოსფერო ისეთივე წმინდა იყოს, როგორიც თქვენებური მთის ჰაერია...“ [6, 6].

კერძომესაკუთრულ ტენდენციებთან ბრძოლაზე ლაპარაკი იყო საქართველოს კომპარტიის XXV და XXVI ყრილობებზე. ეს ბრძოლა არის ხალხის კეთილდღეობის ყოველმხრივი ამაღლებსადმი მიმართული პარტიის კურსი, ამ პროგრამული მიზნის მიღწევის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა. კერძომესაკუთრული ტენდენციების დაძლევის არაფერი საერთო არა აქვს ასკეტიზმისა და ვგრეთ წოდებული „ღატაკების კომუნისმის“ ქადაგებასთან. ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ მშრომელი ადამიანები ყოველწლიურად სულ უფრო უკეთ ცხოვრობდნენ, ყოველდღიურად მადლდებოდეს მათი ცხოვრების დონე. და სწორედ ეს გულისხმობს გადამწვევტ ბრძოლას სოციალიზმის ეკონომიკური პრინციპების დარღვევების წინააღმდეგ და, ბუნებრივია, საზოგადოების იმ წევრების წინააღმდეგ, რომელთათვისაც მთავარია წაგლიჯონ, რაც შეიძლება, ხოლო შემდეგ „სულ ერთია, რა იქნება“.

ჩვენ სავსებით ვუწევთ ანგარიშს იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, „ორგანიზაციული, ფინანსური და იურიდიული საშუალებებით მაგრად... ამოუქოლოთ მუქთახორობის, მექრთამეობის, სპეკულაციის, უშრომლო შემოსავლის, სოციალისტური საკუთრების ყოველგვარი ხელყოფის ყოველგვარი ხერხი“, რაზეც მიუთითებდა სკკპ XXVI ყრილობაზე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი [4, 99].

ახლა სულ უფრო ცხადი ხდება, რომ ამ გადახვევების ახსნა არ შეიძლება მხოლოდ „წარსულის გადმონაშთებით“, არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ცხოვრების საბჭოთა წესისადმი ანტიბოლდური ნეგატიური მოვლენები მხოლოდ „კაპიტალიზმის გადმონაშთებია“ და თავისთავად მოისპობიან. გარდა ამგვარი ახსნისა, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ წარსულის გადმონაშთებს ადამიანის ცნობიერებაში აქვთ და დიდ ხანს ექნებათ თავისი გავლენა. ჩვენ ვთვლით, რომ ზოგიერთი პრობლემა, რასაც ყოველდღიურ სინამდვილეში ვხვდებით, ღრმა მეცნიერულ ანალიზს მოითხოვს. კერძოდ, ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორცაა მიმართება ადამიანთა მოთხოვნილებების ზრდასა და მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობებს შორის, მოითხოვს ყოველმხრივ, მეცნიერულ ანალიზს როგორც მეცნიერთა ძალებით, ისევე პრაქტიკული მუშაკების ძალებით, მთელი საზოგადოებრიობის მონაწილეობით.

ზოგიერთი იმ შეხედულებას გამოთქვამს, რომ საბჭოთა ადამიანის შრომითი მოღვაწეობის მამოძრავებელ მოტივებს შორის ხელფასის მნიშვნელობა ნელა, მაგრამ განუხრევლად მცირდება. სოციოლოგიური გამოკვლევების მონაცემებზე დაყრდნობით ისინი იმ დასკვნისაკენ იხრებიან, რომ ხელფასი აღარ არის საბჭოთა ადამიანების შრომითი აქტიუობის მთავარი მოტივი, რომ მათი მოქმედების მოტივაციის სტრუქტურაში მატერიალური დაინტერესების როლი სისტემატურად მცირდება და ადგილს უთმობს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა

შრომის საზოგადოებრივი მნიშვნელობის აღიარება, მისი შინაარსით კმაყოფილება.

რა თქმა უნდა, ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ მოტივაციის სფეროში იზრდება მორალური და სოციალურად პრესტიჟული ფაქტორების როლი, რომლებიც პიროვნებას შემოქმედებითი შრომისაკენ წარმართავს. ეს ზოგადი კანონზომიერებაა, რომლისათვის თვალის გადავხედა რთული არ არის. შრომითი საქმიანობისადმი დამოკიდებულების განმსაზღვრელი მოტივების იერარქიის ანალიზი, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა საზოგადოებრივი აზრის საბჭომ მოახდინა, ადასტურებს საბჭოთა სოციოლოგების დასკვნებს სოციალურ-კულტურული რივის სტიმულების ზრდის შესახებ მოქმედების მოტივების სტრუქტურაში. მაგრამ ნაჩქარევ იქნებოდა აქედან ის დასკვნა გავკეკოთებინა, თითქოს მატერიალური სტიმულების, კერძოდ, ხელფასის როლი მცირდება. ეს არა მარტო პრაქტიკას ეწინააღმდეგება, არამედ არაფრით არ ეგუება ჩვენი პარტიისა და მთავრობის კურსს, რომელიც მიმართულია ხელფასის საშუალო დონის ამაღლებისაკენ. და საერთოდც იბადება კითხვა, შეიძლება კი ასე გამარტივებულად წარმოვიდგინოთ მატერიალური და მორალური სტიმულების თანაფარდობა, ანდა რამდენად გამართლებულია ხელფასის მორალური მხარის უგულებელყოფა?

ხელფასი, რომელიც ინდივიდის ეკონომიკური ინტერესების უშუალო გამოხატულებაა, ჩვენს ქვეყანაში, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით, მთელი საზოგადოების ინტერესებთან ინდივიდის პირადი ინტერესების დაკავშირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა და საჭიროა შევეცადოთ განუზრებლად დავიცვათ განაწილების სოციალისტური პრინციპი: „თითოეულისაგან უნარის მიხედვით, თითოეულს შრომის მიხედვით“. მაშასადამე, ამოცანა ისაა, რომ დახარჯული საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ოდენობა კვლავაც იყოს მიღებული დოვლათის მთავარ საზომად, რომ ეს შრომა კეთილდღეობის ამაღლების ერთადერთი წყარო იყოს საზოგადოების ყველა წევრისათვის. ამ მხრივ ბევრი რამ უნდა გავითვალისწინოთ, რადგან ამ პრინციპის მოქმედების მექანიზმი მხოლოდ განაწილების სფეროს როლი ეხება. როგორც ჩანს, მისი განხორციელების ხასიათზეა დამოკიდებული აგრეთვე შრომითი აღზრდის, ადამიანებში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩამოყალიბების ეფექტიანობა.

„სოციალიზმის დროს, — ხაზგასმით აღნიშნავდა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, — განაწილების მთავარი კრიტერიუმი შეიძლება იყოს მხოლოდ შრომა — მისი რაოდენობა და ხარისხი. სამწუხაროდ, პრაქტიკულად ყოველთვის ასე არ ხდება. ყოველგვარი გათანაბრება, ხელფასის გამოწერა არსებითად მხოლოდ სამუშაოზე გამოცხადებისათვის და არა მისი რეალური შედეგებისათვის, დაუმსახურებელი პრემიების გაცემა — ყოველივე ეს უაღრესად მავნე გავლენას ახდენს საწარმოო მაჩვენებლებზე და ადამიანთა ფსიქოლოგიაზეც“ [4, 98].

ამრიგად, ამოცანა მხოლოდ ის კი არ არის, რომ წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის მატარებლებზე ადმინისტრაციული და იურიდიული სანქციებით, იძულების ზომებით ვიმოქმედოთ, როდესაც ეს აუცილებელია. ეს, უეჭველად მნიშვნელოვანი ასპექტია, მაგრამ არანაკლებად მნიშვნელოვანია მეორეც — „გარემოებანი გააადამიანურით“, საზოგადოების წევრები ისეთ პირობებში ჩააყენოთ, რომლებიც გამორიცხავს ქცევის დრომოჭმული სოციალური სტერეოტიპების დაბრუნებას.

ამოცანა ისაა, რომ დღეიდანვე ვზრუნავდეთ არა მარტო ხელფასის აბსოლუტურ ზრდაზე, არამედ მანეთის მსყიდველობით უნარიანობაზე, მომხმარებლური მოთხოვნილებების უკეთესად დაკმაყოფილებაზე. აუცილებელია რომ მთელსაველი და აქ ბევრი რამ დამოკიდებულია ადგილობრივ ინიციატივაზე, თავად ადამიანების, ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოთა მოქმედებაზე, მათ უნარზე აღმოაჩინონ სოციალისტური ეკონომიკის რეზერვების სიღრმისეული ფენები.

ამავე დროს ამოცანა ისაა, რომ ღრმად გავერკვეთ ამ ფსიქოლოგიის გამძლეობის მიზეზებში. სასაქონლო წარმოებისა და საბაზრო ურთიერთობების სფეროს სოლიდური მეცნიერული ანალიზის გარეშე ძნელია კერძომესაკუთრულ ტენდენციებთან ბრძოლის პროგნოზირება. სამწუხაროდ, ჩვენი მეცნიერება არც თუ ხალისით მიმართავს ამ პრობლემებს. პარტია კი ვკასწავლის — გვერდი არ აუვართო მწვავე თემებს, არ შევეუშინდეთ „ძნელ საკითხებს“ და უფრო გაბედულად გავცეთ მათ პასუხი.

III

ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის პრობლემას სხვა მხარეც აქვს, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული ადამიანის ზნობრივ სფეროსთან, მის სოციალურ განწყობებთან, ცხოვრებაზე შეხედულებებთან, ღირებულებებითი ორიენტაციების სისტემასთან, რომლითაც ის ხელმძღვანელობს თავის მოღვაწეობაში. გამოცდილება გვიდასტურებს ვ. ი. ლენინის აზრს იმის შესახებ, რომ „მართვა-გამგეობის ფორმების შეცვლა — ძნელი საქმე არ არის, რომ შემამულებებისა და კაპიტალისტების გაბატონებული კლასის ჩამოშორება — შესაძლებელია მოკლე ვადაში, რევოლუციის წარმატებით განვითარებისას რამდენიმე კვირაშიც კი, მაგრამ ეკონომიური ცხოვრების ძირითადი პირობების გარდაქმნა, იმ ჩვეულებებთან ბრძოლა, რომლებითაც ასეული და ათასეული წლების განმავლობაში იმსჯვლებოდა თვითეული წვრილი მეურნე, ეს ისეთი საქმეა, რომელიც ექსპლუატატორული კლასების სრული დამხობის პირობებში, მოითხოვს მრავალი წლის შეუპოვარ ორგანიზაციულ მუშაობას“ [2, ტ. 29, 621].

მონობის, ბატონყმობისა და კაპიტალიზმის პირობებში საუკუნეობით ფესვგადგმული ჩვეულებები, რომლებიც თითქმის ინსტინქტებად იქცა, ერთობ სიცოცხლისუნარიანია. ამ ჩვეულებათა და ტრადიციათა წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს სოციალისტური შეგნებულობის ბრძოლას წერილმესაკუთრული მისწრაფებებით წარმოშობილი ბურჟუაზიულ-ანარქისტული სტიქიურობის წინააღმდეგ. კომუნისში ნამდვილად უძლეველი გახდება, როგორც სამართლიანად მიიჩნეულა ვ. ი. ლენინი, როცა განმტკიცდება გამარჯვება მეურნეობის გაძლიერის წერილბურჟუაზიულ ჩვეულებებზე და ყაიდაზე, პირად ეგოიზმზე, უგერგილობაზე და თავაშვებულობაზე, როცა დამყარდება შეგნებული სოციალისტური დისციპლინა და ძველი სამყაროდან მემკვიდრეობით მიღებული წესის „ყველა თავისთვის, მარტოდენ ღმერთი — ყველასათვის“ ნაცვლად ადამიანები ისწავლიან დაიცვან კომუნისტური ანუ კოლექტივისტური მორალის ნორმები. ეკომუნისში, — წერდა ის, — იწყება იქ, სადაც ჩნდება უბრალო მუშების თავგანწირული, მძიმე შრომის დამძლევი ზრუნვა შრომის ნყოფიერების გადიდებაზე, თვითეული ფუთი პურის, ქვანახშირის, რკინის და სხვა პროდუქტების დაცვაზე, რომლებიც ხვდება არა მომუშავე-



ებს პირადად და არა მათ „მახლობლებს“, არამედ „მორეულებს“, ე. ი. საერთოდ მთელ საზოგადოებასა [2, ტ. 29, 499—500].

ასეთი სოციალურ-ზნეობრივი მიმართულების საწინააღმდეგო წერილობრივ-ჟურნალური მისწრაფებები დიდ საშიშროებას წარმოადგენს საზოგადოებისათვის. მაგრამ ისინი უფრო მეტად საშიშია ცალკეული პიროვნების ზნეობრივი სიჯანსაღისათვის. კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიით წარმოშობილი ანგარება, სიხარბე ასახიჩრებს ადამიანებს, ამახინჯებს, ზრწნის მათ სულს. ხდება ადამიანის გარდუვალი გაუცხოება საზოგადოებისაგან, მის გარეშე კი, როგორც ცნობილია, შეუძლებელია სრულფასოვანი პიროვნება. მაშასადამე, ამ მოვლენებთან ბრძოლა წარიმართება, უპირველეს ყოვლისა, თვით ადამიანისათვის, მისი სულიერი სიღალისა და ზნეობრივი სიღამაზისათვის.

აქ უპირველეს როლს იძენს მიველი იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდევლობითი მუშაობის სრულყოფა. ახლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მტკიცედ გარდაქმნის მას ცხოვრების განვითარების ლოგიკისა და ჩვენი საზოგადოებრივი პროგრესის მიღწეული ეტაპის, ე. ი. XXVI ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიურ საკითხებზე ცნობილი დადგენილების შესაბამისად.

დღესდღეობით ასეთი მიდგომა ერთადერთი სწორი მიდგომაა, რამდენადაც სუბიექტური ფაქტორის როლის ზრდა თვით სოციალიზმის ბუნებიდან გამომდინარეობს. სოციალიზმი მასების შეგნებული შემოქმედების პროდუქტია. თუ საზოგადოების ორგანიზაციის ანტაგონისტური ფორმები მათრახისა და შიმშილის დისციპლინას მიმართავენ, სოციალისტური საზოგადოება გულისხმობს მშრომელთა შეგნებულ დისციპლინას; ის ძლიერია, როგორც ამბობდა ვ. ი. ლენინი, მასების შეგნებულობით. საბჭოთა ადამიანების სულიერ მოთხოვნილებათა მაღალი დონე, მათი განათლებულობის, საერთო ერუდიციის, ინფორმირებულობის, კულტურის ზრდა მოითხოვს იდეოლოგიური და აღმზრდევლობითი მუშაობიდან ყოველივე იმის უთუო განდევნას, რაც დაკავშირებულია შაბლონთან, მომაბუზრებელ შტამთან, გაზეპარებულ და ზემოქმედების ეფექტდაკარგულ პროპაგანდისტულ ფორმულებთან. ჩვენ ახლა გვაქვს საშუალებათა უფართოესი არსენალი იმისათვის, რომ წარმატებით დაეიყვანოთ მასებამდე პარტიის გადაწყვეტილებანი, გავაძლიეროთ მათზე იდეოლოგიური ზემოქმედება და გადაეწყვიტოთ იდეურ-პოლიტიკური აღზრდის მრავალი პრობლემა. საქმე ის არის, რომ კარგად გამოვიყენოთ ყველა ეს საშუალება.

აი, რატომ უთმობს ასეთ დიდ ყურადღებას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი იდეოლოგიის სფეროს. დღეს სწორედ ამ სფეროში წყდება იმ ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის მრავალი საკითხი, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. ჩვენ ვცდილობთ უფრო მეტად და თანმიმდევრულად გადავიყვანოთ ეს მუშაობა ფუნდამენტურ რელსებზე, დაგამყაროთ ის ღრმა მეცნიერულ საფუძვლზე. ამას ადასტურებს, მაგალითად, თბილისში 1976 წელს ჩატარებული საკავშირო მეცნიერულ-პრაქტიკული კონფერენცია, მიძღვნილი ლენინური ეროვნული პოლიტიკისა და ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებისადმი. როგორც ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა, მომწიფებული სოციალიზმის საზოგადოებაში ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს განვითარების დინამიკა წარმოშობს არაერთ პრობლემას, რომელსაც ესაჭიროება პარტიის გულისხმიერი ყურადღება. ჩვენი გამოცდილება მოწმობს, რომ ამ საკითხებისადმი სისტემატური ყურადღება გვეხმარება მოვებნით სწორი გადა-

წყვეტილება ზოგიერთ რთულ სიტუაციაში. და სრულიადაც არ იყო შემთხვევითი, რომ თბილისის ზეიმზე აშ. ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „საბჭოთა საქართველოში ნამდვილი ინტერნაციონალური მეგობრობის ატმოსფერო სუფევს“ [6, 5].

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით მოეწყო აგრეთვე სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა კერძომესაკუთრული ტენდენციების დაძლევასა და სოციალისტური ცხოვრების წესის პრინციპების განმტკიცებას. მისი მონაწილენი — მეცნიერები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, პროფკავშირული მოღვაწეები, ჟურნალისტები — შეეხებნენ მტკაღ მწვავე საკითხებს, რომლებიც ადგელებს ჩვენს საზოგადოებრიობას. ასეთ ღონისძიებებს, რომელთაც რესპუბლიკაში სისტემატური ხასიათი მიეცა, ფართოდ აშუქებს პრესა, ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალები, ტელევიზია და რადიო.

ეს, კერძოდ, იმასაც გვიჩვენებს, რომ ბოლო წლებში შესაძინეადა გაიზარდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა იდეოლოგიური როლი. მათ ბევრი რამ გააკეთეს რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის, აქტიურად და შემოქმედებითად უჭერენ მხარს ცენტრალურ კომიტეტს მის მიერ შემოქმედებული მნიშვნელოვანი მიმართულებების განხორციელებაში. მაგრამ, თუ ძალადი მომთხოვნელობის პოზიციებიდან შევაფასებთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაობას, არ შეიძლება ისიც არ ვთქვათ, რომ აქ უკერ ბოლომდე აღმოფხვრილი არ არის ნაჩქარეობის, ზერელობის, ხანდახან არაობიექტურობის ელემენტები, რაც ხელს უშლის ჩვენი ცხოვრების ზოგიერთი მოკლენის სწორ პარტიულ შეფასებას. წუნი კი აქ განსაკუთრებით მოუთმენელია, რამდენადაც ყოველ გამოსვლას, როგორც წესი, ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი ახლავს.

იდეოლოგიური პრობლემების გადაჭრისადმი კომპლექსურმა მიდგომამ მოითხოვა მუშაობის ისეთი ახალი მეთოდებისა და ფორმების გამუდმებით ძიება, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა აგვემადლებინა პირთვინებაზე პროპაგანდისტული ზემოქმედების დონე კომუნისტური აღზრდის პროცესში. მაგალითად, პარტიის ერთგული პოლიტიკის საკითხების უფრო ღრმა და კომპეტენტურად გადაჭრისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან მოქმედებს საერთონებათაშორისო კავშირებისა და მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის შემდგომი განვითარების საკოორდინაციო საბჭო. საბჭომ დიდი მუშაობა ჩაატარა საბჭოთა საქართველოს, მისი კომპარტიის, რესპუბლიკის ავტონომიურ ფორმირებათა ნს წლისთავის მზადების პროცესში. ჩვენ მივეაჩნია, რომ ის მნიშვნელოვან როლს შეასრულებს გეორგიევსკის ტრაქტატის — იმ ისტორიული აქტის 200 წლისთავის აღმნიშვნელი ზეიმის მომზადებაში, რომელმაც მეგობრობითა და მშობით დააკავშირა რუსი და ქართველი ხალხი და რომელსაც ჩვენ აღენიშნავთ 1983 წელს.

სხვა ფორმათა შორის, რომლებსაც ჩვენ მივმართეთ, ყურადღების ღირსია საზოგადოებრივი აზრის საბჭოს საქმიანობა, რომელიც შეიქმნა საქართველოს ცკ-თან უკერ კიდე 1975 წელს და რომელიც ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ სტატიაში. სოციალოგიურ გამოკითხვათა საფუძველზე საბჭომ შეიმუშავა არაერთი სასარგებლო პრაქტიკული რეკომენდაცია, რომლებიც ჩვენ დაგვეხმარა ზოგიერთი პრობლემის ოპტიმალურ გადაჭრაში.

ჩვენს იდეოლოგიურ მუშაობაში დიდი ადგილი განეკუთვნება მის ისეთ მიმართულებას, როგორცაა ახალი სოციალისტური წეს-ჩვეულებების და რი-

კ. მარქსის საბ. საქ. სს
სახელმწიფო რესპუბლიკა



ტუალების პოპულარიზაცია. დაგროვილია მდიდარი გამოცდილება, რომელსაც აქტიურად ვიყენებთ ზოგიერთი კონსერვატიული, სოციალისტური ცხოვრების წესთან შეუთავსებელი ტრადიციის და ზნე-ჩვეულების დასაძლევად. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის რამდენიმე წლის წინათ მიღებული დადგენილების — „მავენე ტრადიციებთან და წეს-ჩვეულებებთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ — საფუძველზე გვემაზომიერად წარმოებს შეტევა მავენე, ჩვენი სინამდვილისათვის უცხო ზნე-ჩვეულებებთან. მათ უპირისპირდება ახალი სოციალისტური დღესასწაულები. ავიღოთ, მაგალითად, „თბილისობის“ დღესასწაული, რომელიც მხოლოდ ორჯერ ჩატარდა, მაგრამ უკვე საყოველთაო მიწონება დაიმსახურა; ის იქცა მეგობრობისა და ძმობის, მაღალი ჰუმანიზმისა და ინტერნაციონალიზმის სიმბოლოდ. ახალი ფერებით აელვარდა მრავალი ტრადიციული სახალხო დღესასწაული, მაგალითად „ალავერდობა“, „შუამთობა“ და სხვა, რომლებმაც მოიცვალეს რა რელიგიური საბურველი, შეავსეს ჩვენი აღმზრდელობითი საშუალებების არსენალი. ამგვარად, პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ თუ მიზანდასახულად ვიმოქმედებთ, მაშინ ასეთ, მე ვიტყვოდი, დელიკატურ სფეროშიც არაერთ წარმატებას მივაღწევთ.

და როგორი ძალით გამოვლინდა ჩვენი მშრომელების საუკეთესო სულიერი თვისებები ამასწინანდელ საიუბილეო ზეიმზე! შემთხვევითი არაა, რომ ლ. ი. ბრეჟნევმა, — ყველა საზეიმო ღონისძიებათა მთავარმა მონაწილემ, — შეაფასა რა ეს დიდი და ნათელი დღესასწაული, აღნიშნა, რომ ის წარმატებული იყო. ჩვენ კვლავ დაერწმუნდით, რომ სწორედ ასეთი მოვლენების დროს ყველაზე სრულყოფილი სახით ვლინდება იდეოლოგიური და აღმზრდელობითი მუშაობის შედეგები. ამასთანავე, მსგავსი აქციები თვითონ წარმოადგენს ადამიანთა აღზრდის, მათი მაღალი ზნეობრივი თვისებების გამოვლენის საშუალებას.

კომუნისტური მსოფლმხედველობის განმტკიცებისათვის მუშაობის ფორმათა შორის განსაკუთრებით უნდა გამოვეყნოთ რესპუბლიკის კომპარტიის ხელმძღვანელთა შეზვედრები მეცნიერულ და შემოქმედებით ინტელიგენციასთან. საზოგადოებისთვის ჭეშმარიტ სულიერ ღირებულებათა შექმნის პრობლემა ისევე აქტუალურია, როგორც მისი მატერიალური სიმდიდრის ზრდის პრობლემა. ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ მომწიფებული სოციალიზმის ეპოქაში გაიზარდა სულიერ ღირებულებათა უშუალო შემოქმედებითი ძალა. კომუნისმი უნდა აევაგოთ ადამიანთა გულსა და გონებაში. ამ ამოცანის შესრულება ევალებათ ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების, საერთოდ კულტურის მოღვაწეებსაც. პარტიული მუშაკები მოწოდებულნი არიან შეუქმნან მათ ნაყოფიერი შემოქმედებისათვის ხელსაყრელი პირობები. ამ მიმართულებით გატარებულმა ღონისძიებებმა სასიკეთო გავლენა მოახდინა რესპუბლიკის მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატზე.

სოციალისტური ცხოვრების წესი, ამასთანავე, მომავალზე მუდმივი გამიზნულობაც არის, ზვალინდელი დღის მყოფობაა დღევანდელ საქმეებში და მიღწევებში. ჩვენ მომავლისათვის ეცხოვრობთ და ვქმნით და ყველაზე მეტად მას განასახიერებს ჩვენი ჩინებული ახალგაზრდობა. პარტია დიდ ყურადღებას უთმობს მომავალი თაობის აღზრდისა და ზნეობრივი სახის ჩამოყალიბების პრობლემებს. უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა ახალგაზრდობასთან აღმზრდელობითი მუშაობის დონის ასამაღლებლად, ყოველი ჭაბუკის, ყოველი ქალის-შვილის მიერ აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის, პოლიტიკური მებრძოლის ჩვევების შემუშავებისათვის. ჩვენ დაჟინებით ვძლევთ იმ მტკივნეულ ზე-

მოქმედებას, რაც ახალგაზრდობის გარკვეულ ნაწილში გამოიწვია ნეგატიურმა მოვლენებმა უახლოეს წარსულში. რესპუბლიკის კომუნისტებისათვის წესად იქცა ყოველმხრივ მხარი დაუჭირონ ახალგაზრდების ინიციატივას, გაზარდონ მათი როლი აქტუალური სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური, სამეურნეო, სასოფლო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში. ფართოდ გავრცელდა სტუდენტთა სისტემატური ანგარიშები თავიანთი რაიონების მშრომელებისა და შრომითი კოლექტივების წინაშე.

მაგრამ ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ ახალგაზრდობის აღზრდის ხელოვნება ძალზე რთული ხელოვნებაა და ჩვენ ჯერ კიდევ მთლიანად როდი გვაქვს ამოცნობილი მისი ყველა საიდუმლო. ვისწავლოთ, ვისწავლოთ და ვისწავლოთ ეს ხელოვნება — ეს არის ყოველი კომუნისტის, ყოველი აღმზრდელისა და მშობლის საზოგადოებრივი და მოქალაქეობრივი ვალი. ჩვენ მუდმივად უნდა ვითვალისწინებდეთ ლ. ი. ბრეჟნევის რჩევას იმის შესახებ, რომ ახალგაზრდობამ უნდა იცოდეს და გააგრძელოს უფროსი თაობის საუკეთესო ტრადიციები თავდადებული მშრომელების და სამშობლოსადმი უსაზღვროდ თავდადებული პატრიოტებისა.

ამჟამად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობა ნეგატიურ მოვლენათა გადალახვისა და აღმძვინკვების მძალადი ჰუმანიზმის პრინციპების დასამკვიდრებლად ახალ ფაზაში შედის. ეს იმით არის განპირობებული, რომ დღეს მოსახლეობის დიდ ნაწილს კვლავ აღუდგა მძალადი სოციალურ-ეთიკური იდეებისა და ღირებულებების რწმენა, აღუდგა თავისი ქვეყნისა და ბედის პატრონის გრძნობა. აღამიანები საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ ჩვენს საზოგადოებაში აღამიანური ღირსებისა და სოციალური პრესტიჟის საზომი მხოლოდ პატიოსანი შრომაა. რესპუბლიკაში კომუნისტებისა და უპარტიოთა შრომითი და სოციალური აქტივობის ამაღლებას თან ახლავს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის იდეურ-პოლიტიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური დარაზმულობის განუხრელი ზრდა. სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებსა და ფენებს შორის, რიგით მშრომელებსა და ხელმძღვანელ კადრებს შორის შექმნილია ურთიერთნდობისა და პატივისცემის ვითარება.

რესპუბლიკაში გამეფებული შემოქმედებითი ატმოსფერო ნათლად გამოვლინდა 70-იან წლებში საბჭოთა საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მნიშვნელოვან მიღწევებში. „და აქ, რა თქმა უნდა, — აღნიშნავდა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი, — თავის როლს ასრულებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმმართველი საქმიანობა, რომელმაც კულტურის ოსტატებთან მუშაობაში სწორ ტონს მიაგნო, ეხმარება მათ, აქტიურად უწყობს ხელს შემოქმედებითს ძიებას“ [6, 5]. ქართული, აფხაზური და ოსური ხელოვნების ოსტატთა მთელმა რიგმა მნიშვნელოვანმა ნაწარმოებებმა პოეზიისა და პროზის, თეატრისა და კინოს, ფერწერისა და ქანდაკების, მუსიკისა და ქორეოგრაფიის, არქიტექტურისა და გამოყენებითი ხელოვნების დარგში, რომელთაგან საუკეთესოებს ლენინური და სსრკ და საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიები და საერთაშორისო ფესტივალების პრიზები მიენიჭათ, ღირსეული წვლილი შეიტანეს საბჭოთა მხატვრული კულტურის განვითარებაში. მათი პოპულარობის მთავარი წყაროა ღრმა მოქალაქეობრიობა, ხალხურობა და პარტიულობა, ის, რომ მათში წამოყენებული და მხატვრული საშუალებებით გაშუქებულია თანამედროვე სამყაროში აღამიანური ყოფიერების ღრმა ფენები, გადაწყვეტილია

ადამიანის სიცოცხლის საზრისის, მისი დანიშნულების, სოციალურ-ეთიკურ ღირებულებათა და იდეალების პრობლემები.

როდესაც საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების საკითხს შევხვ, ლ. ი. ბრეჟნევიძე, საანგარიშო მოხსენებაში სკკპ XXVI ყრილობისადმი, ყურადღება მიიქცია იმას, რომ „ჩვენი საზოგადოების მზარდ ყურადღებას ზნეობის საკითხებისადმი“ [4, 104] სათანადოდ გამოეხმაურა თავის საუკეთესო ნაწარმოებში მრავალი საბჭოთა მწერალი, დრამატურგი, თეატრისა და კინოს მოღვაწე. სრული უფლებით შეიძლება ითქვას ითქვას ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ჩვენი პროზაიკოსი იყო პირველი მათ შორის, ვინც ხმა აღიმადლა ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ და გამოუტანა მათ დაუნდობელი განაჩენი. მწერლებისა და პუბლიცისტების გულახდილმა კრიტიკულმა გამოსვლებმა ადამიანებს ჩამოუყალიბეს პროტესტის გრძობა მიმხვეჭელობის, შეუგნებლობის, უსულგულობისა და ზნეობრივი გამოფიტვის წინააღმდეგ. ისინი განამტკიცებენ ადამიანებში ადამიანური სიამაყისა და ღირსების გრძობას.

ჩვენს საზოგადოებაში ლიტერატურა და ხელოვნება ზალხის ინტერესებით ცაცხლობენ, ეწვეიან უმადლესი ჰუმანიტური იდეალების პროპაგანდას და ამით ასრულებენ თავიანთ სოციალურ დანიშნულებას—აღზარდოს ადამიანები კომუნისტური მორალის სულისკვებით. ბუნებრივია, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია თავის მოღვაწეობაში ევრდნობა შემოქმედებით ინტელიგენციას, ამ უკანასკნელს კი, თავის მხრივ, კარგად აქვს შეგნებული მთელი პასუხისმგებლობა, რაც მას აკისრია მაღალი მორალური ღირებულებების დამკვიდრებისათვის ბრძოლაში. საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების, კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლისა და აქტივობის გაძლიერების საკითხებს. უნდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ნეგატიური მოვლენების ვაგრცელების პეროდშიც კი, ჩვენი მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლებმა არ უღალატეს თავიანთ მოწოდებას და საზოგადოებრივ ვალს, აქტიურად წინ აღუდგნენ მემშანური და კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის მოწილას. და დღეს, როცა უკვე ვველა ამ მოვლენათა სრული გადალახვის, დამღვეის აუცილებლობა დგას დღის წესრიგში, სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენცია, ბუნებრივია, წარმოადგენს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ყველა პარტიული კომიტეტის საიმედო თანამეგწეს.

საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელი ორგანოების მოღვაწეობაში დამკვიდრდა სასახლო მეურნეობის, კულტურის, განათლების, ჯანმრთელობისა და სხვა ასეთი დარგების ხანგრძლივ განვითარებასთან დაკავშირებული პრინციპული საკითხების გადაწყვეტაში სპეციალისტთა ფართო წრის ჩაბმის პრაქტიკა. არსებით დახმარებას ვეწვევენ ეკონომისტები, სოციოლოგები, იურიისტები, ისტორიკოსები. ჩვენ დიდად ვაფასებთ ფილოსოფოსთა მუშაობას. საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა, რომლის მუშაობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ერთ-ერთი სხდომის სპეციალური მსჯელობის საგანი გახდა, ამჟამად ყურადღება გაამახვილა ადამიანის, კულტურისა და ღირებულებათა პრობლემების კვლევაზე. ეს თემატიკა არსებით კავშირშია რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ბრძოლასთან კომუნისტური აქტიური მშენებელი ახალი ადამიანის ჩამოყალიბებისა და სოციალისტური ჰუმანიზმის პრინციპების დამკვიდრებისათვის.

მაგრამ, ამასთანავე, აუცილებელია აღინიშნოს, რომ საზოგადოებათმცოდნეთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ჯერ კიდევ ვერ მონახა თავისი ადგილი ამ მუშაობაში. ბევრ მათგანს უშუალოდ ეხება ის კრიტიკა, რაც მოცემულია სკკპ XXVI ყრილობისადმი საანგარიშო მოხსენებაში, სადაც ლ. ი. ბრეჟნევმა სამართლიანად უსაყვედურა ჩვენს ფილოსოფოსებს იმის გამო, რომ ისინი „ხშირად ამჯობინებენ დაამტკიცონ ის, რაც უკვე დამტკიცებულია, ნაცვლად იმისა, რომ გაიაზრონ ცხოვრების ახალი მოვლენები“ [4, 131]. მსგავსი მდგომარეობის მიზეზი ხშირად არის განცალკევებულობა, რაც იწვევს თემატიკის დაწვრილმანებას, პრაქტიკისა და რეალური პრობლემებისაგან მოწყვეტა. ამჟამად რესპუბლიკაში არსებული ნაკლოვანებების დასაძლევად მიმდინარეობს 80-იანი წლებისათვის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარების კომპლექსური პროგრამის შედგენა. იგი გახდება საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში მარქსისტულ-ლენინური თეორიის ფუნდამენტური პრობლემების, კვლევის იდეოლოგიური და აღმზრდელითი მუშაობის გაერთიანებისა და კოორდინაციის საფუძველი.

ასეთი პროგრამის შედგენის აუცილებლობა ამჟამად აშკარაა, რადგან მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, სულიერი კულტურის სფეროში ჯერ კიდევ გვაქვს ბევრი გადაუწყვეტელი პრობლემა და სერიოზული სიძნელე. ახალ ხუთწლეულში ჩვენ განზრახული გვაქვს მნიშვნელოვანად გვაძლიეროთ ყურადღება ამ საკითხებისადმი და, პირველ რიგში, სულიერი კულტურის ყველა სფეროს გეგმაზომიერი და პროპორციული განვითარების საკითხზე.

ჩვენ ბევრი რამ უნდა გვაგვეთოთ ქალაქისა და სოფლის სულიერი კულტურის განვითარების დონეების გასათანაბრებლად, უნდა შევქმნათ ყველა პირობა ჩვენი სოფლების, განსაკუთრებით მაღალმთიანი სოფლების, მოსახლეობის კულტურული დონის ასაძლიერებლად. ამისათვის ჩვენ ყველას — პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკებს და მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლებს მოგვიწევს დიდი მუშაობა.

რესპუბლიკის დინამიკური და გეგმაზომიერი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული განვითარების უზრუნველსაყოფად დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქისა და სოფლის შემდგომი დაახლოების, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების წაშლის პროცესების სწორ წარმართვას. ჩვენი საზოგადოების სოციალური ერთგვაროვნების ზრდა, როგორც ცნობილია, სოციალიზმის განვითარებისათვის დამახასიათებელი კანონზომიერი მოვლენა და, ამავე დროს, ჩვენს წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი ამოცანაა. ამ ამოცანის სწორ გადაწყვეტაზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი საზოგადოების მატერიალური და სულიერი სიმდიდრის ზრდა, სოციალიზმიდან კომუნისმზე თანდათანობით გადასვლის ტემპები. განზოგადა რა დაგროვილი გამოცდილება, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXVI ყრილობაზე გამოთქვა მეტად მნიშვნელოვანი ვარაუდი იმის თაობაზე, რომ საზოგადოების უკლასო სტრუქტურის ჩამოყალიბება უმთავრესად და ძირითადად მომწიფებული სოციალიზმის ფარგლებში მოხდება.

ქალაქისა და სოფლის, გონებრივი და ფიზიკური შრომის დაახლოება, მათ შორის არსებითი განსხვავების წაშლა — ეს ერთდროულად ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ამოცანაა. მეათე ხუთწლეულში რესპუბლიკაში ცოტა რამ როდი გავკეთდა. წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა სულ უფრო მეტად დანერგვის შედეგად განმტკიცდა კომლექსური მიზნებისა



და საბჭოთა მეურნეობათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში გაიზარდა შრომის ინტელექტუალიზაცია, უმჯობესდებოდა დარგთშორისი კავშირები სახალხო მეურნეობაში, ყოველივე ამან ხელი შეუწყო ქალაქებისა და სოფლის მცხოვრებლების, გონებრივი და ფიზიკური შრომის მუშაობის შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების დაახლოების პროცესების დაჩქარებასა და გაღრმავებას.

ამასთან, პრობლემები ჩვენ აქაც კვლავ საკმაოდ გვაქვს. მათი ნაწილი დაკავშირებულია ურბანიზაციის არასასურველ სოციალურ-დემოგრაფიულ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ შედეგებთან, რაც, თავის მხრივ, რესპუბლიკის შემდგომი ინდუსტრიალიზაციის გარდუვალი შედეგია. ქალაქებში მოსახლეობის თავმოყრის ზრდა და სოფელთა, განსაკუთრებით მაღალმთიან სოფელთა, დაცარიელება წარმოშობს ბევრ რთულ ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემას. მაგრამ ამის გამო ინდუსტრიალური ბაზის შემდგომ განვითარებაზე უარის თქმა, ცხადია, ღრმა შეცდომა იქნებოდა.

გამოსავალი, როგორც ჩანს, უნდა ვეძიოთ არა ინდუსტრიალიზაციის ტემპების შემცირებაში, არამედ მწარმოებლური ძალების უფრო რაციონალურ განლაგებაში, ამასთან გათვალისწინებული უნდა იყოს არა მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორები, არამედ სოციალური, დემოგრაფიული, კულტურული, ეკოლოგიური ფაქტორების ზემოქმედების შედეგებიც. ჩვენ უნდა ვცდილობდეთ, როგორც ამას ჩვენგან მოითხოვს პარტია, მაქსიმალურად შევინარჩუნოთ ყოველივე ღირებული, რასაც თანამედროვე ქალაქი და სოფელი აძლევს ადამიანს. ჩვენს რესპუბლიკაში სოციალიზმის ამ ძირული ამოცანის გადაწყვეტის ერთ-ერთ არსებით ფაქტორად იქცა მსხვილი სამრეწველო საწარმოების ფილიალების ქსელის გაფართოება სოფლებში, რაც შესაძლებლობას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ მოსახლეობის სოფლებიდან ქალაქში მიგრაციასთან დაკავშირებული მრავალი რთული სოციალური შედეგი.

ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების წაშლა, ცხადია არ უნდა გავივით როგორც ქალაქის მიერ სოფლის შთანთქმა, მთლიანი ურბანიზაცია. ამოცანა ისაა, რომ სოფლის ცხოვრების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული დონე ავამაღლოთ ქალაქის დონემდე, ამასთან შევინარჩუნოთ სოფლის ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ყოველივე ღირებული და ამით გავამდიდროთ ქალაქის ცხოვრება. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება შემოფოთებას არ იწვევდეს ჩვენი ინტელიგენციის წამყვანი კადრების ფაქტიური მონყვეტა მშობლიური სოფლებისაგან. საიდუმლო არაა, რომ მხოლოდ ცალკეული ენთუზიასტები ინარჩუნებენ მათთან მუდმივ კავშირს, ეს კი არ შეიძლება უარყოფით გავლენას არ ახდენდეს ჩვენი სოფლის ცხოვრების კულტურული დონის ამაღლებაზე. როგორც ჩანს, უნდა ვეძიოთ სოფლის კულტურულ ცხოვრებაში ჩვენი მეცნიერული და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლების რეალური მონაწილეობის ოპტიმალური ფორმები.

ქალაქისა და სოფლის დაახლოების ამოცანა, როგორც უკვე ითქვა, კომპლექსური ამოცანაა — ეკონომიკურიც, სოციალურიც და კულტურულიც. ამ ამოცანის გადაჭრისაკენ მიმართული ყოველი ღონისძიება მაშინ და მხოლოდ მაშინ მიგვიყვანს სასურველ შედეგებამდე, თუ იგი განხორციელებული იქნება, როგორც უშუალო, ასევე შორეული შედეგების გათვალისწინებით. ამასთან, სოციალისტურ საზოგადოებაში ყოველი საქმის, ყოველი წამოწყების საბო-

ლო მიზანი შეიძლება და უნდა იყოს ადამიანთა კეთილდღეობა, მათი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილება.

სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა შევავასოთ ქალაქსა და სოფელს შორის არსებული სოციალური განსხვავების დაძლევისაკენ მიმართული მთელი ჩვენი მოღვაწეობა. როგორც ჩანს, ამ თვალსაზრისით უნდა მიეუდგეთ ფართო რეზონანსის მქონე ექსპერიმენტებს აბაშის, გურჯაანის, მახარაძის და ჩვენი რესპუბლიკის სხვა რაიონებში. გამოდიოდა რა ზეიმზე თბილისში, ლ. ი. ბრეჟნევა ისინი დაახასიათა როგორც საინტერესო, აღნიშნა, რომ ჩვენს ქვეყანაში მათ ყურადღებით სწავლობენ. ეს ექსპერიმენტები მიზნად ისახავს საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციის სრულყოფას, შრომის ნაყოფიერების ზრდის ორგანიზაციული, მორალურ-ფსიქოლოგიური და სოციალური რეზერვების გამოვლენას.

ქალაქისა და სოფლის დაახლოება, გონებრივი და ფიზიკური შრომის წარმომადგენლებს შორის სოციალური განსხვავებების წაშლა, საზოგადოების სოციალური ერთგვაროვნების განმტკიცება სოციალისტური განვითარების, სოციალიზმიდან კომუნისმზე თანდათანობით გადასვლის მაგისტრალური ხაზია. ყოველნაირად მხარი უნდა დაუჭიროთ ყოველივე იმას, რაც ხელს უწყობს ამ პროცესის დაჩქარებასა და გაღრმავებას. დაბეჯითებით და მიზანდასახულად უნდა ვიბრძოლოთ ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ხელს უშლის ამ პროცესს.

IV

იდეოლოგიური მუშაობის უპირველესი ამოცანის განსაზღვრის დროს ამოვიდიოდით და ამოვიდვართ ჩვენი საბჭოთა სინამდვილის საფუძველმდებარე ფაქტიდან, იმ ფაქტიდან, რომ ჩვენი საზოგადოება იმყოფება მომწიფებული, განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე. აქედან ჩანს, რომ ჩვენს წინაშე — 70—80-იანი წლების კომუნისტების წინაშე, 20—30-იანი წლების კომუნისტებისაგან განსხვავებით, რომლებიც სოციალიზმის საფუძველს აშენებდნენ და მთავარ ძალებს მისი ეკონომიკური საფუძვლის შექმნას ახმარდნენ, ან 40—60-იანი წლების კომუნისტებისაგან განსხვავებით, რომლებიც სოციალისტურ მონაპოვრებს იცავდნენ და სახალხო მეურნეობას ადაღვენდნენ, — უფრო მეტი სიმწვავეით დგას ამოცანა სრულყოფით სოციალიზმის მთელი სისტემა და განსაკუთრებით საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამართლებრივი, ზნეობრივი, ერთი სიტყვით, იდეოლოგიური ურთიერთობები.

საკითხი ეხება იმას, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ სოციალიზმის ყველა კულტურულ-ისტორიული უპირატესობა ადამიანთა თავისუფალი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის, პიროვნების, პიროვნებათაშორისი ურთიერთობების ჰარმონიული განვითარებისათვის, ანუ ყოველივე იმისათვის, რაც იგულისხმება ცხოვრების საბჭოური წესის განსაზღვრებაში და განუწყველადა დაკავშირებული ისეთ ცნებებთან, როგორებიცაა ხალხთა მეგობრობა, პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი, პიროვნების ადამიანური ღირსების პატივისცემა. რა თქმა უნდა, არ შეიძლება საქმე თვითდინებაზე მივუშვათ და ვიფიქროთ, რომ ეს პროცესი ავტომატურად მიიღებს ყველაზე უფრო მიზანშეწონილ ფორმას. პირიქით, სწორედ ამ საქმეშია საჭირო შეუპოვრობა, თანმიმდევრობა, მიზან-



სწრაფვა, მოქნილობა და წინდახედულობა, რაც, რა თქმა უნდა, არ უნდა გადაიზარდოს ვაუბელობაში.

ნათქვამი ნათელს ხდის იმის მიზეზებს, თუ რატომ წამოიწიეს წინ პარტიის მოღვაწეობაში სოციალიზმის პოლიტიკური სისტემის სრულყოფის, სოციალისტური დემოკრატიის პრინციპების შემდგომი გაფართოებისა და განვითარების საკითხებმა და რატომ შეიძინეს მათ, უკანასკნელ ხანს, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა. ჩვენი სახელმწიფოებრიობის დემოკრატიული საფუძვლების შემდგომი განვითარების საკითხებზე თავის გადაწყვეტილებებში სკკპ მტკიცედ იცავს და თანმიმდევრულად განახორციელებს ფუძემდებლურ ღონისძიებებს იმის შესახებ, რომ „სოციალიზმი შეუძლებელია დემოკრატიის მუდმივი განვითარების გარეშე“ [8, 117]. გამოცდილება გვარწმუნებს, რომ არ შეიძლება ჯეროვნად არ შევავასოთ ზედნაშენური ელემენტების ფუნქციები, რომელთა გავლენა საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ მომენტში გადაწყვეტი ზდება.

ჩვენ მნიშვნელოვანი დასკვნები გამოგვაქვს პოლიტიკის, როგორც ეკონომიკის კონცენტრირებული გამოხატულების, ბრწყინვალე ლენინური განსაზღვრებიდან. სწორედ ამიტომ ვამბობთ დღეს, რომ ჩვენი სამეურნეო წარმატებანი მნიშვნელოვნად იმაზეა დამოკიდებული, შევძელით თუ არა პრაქტიკულად განგვიხორციელებინა სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპები, უზრუნველგვეყო საზოგადოების ყველა საქმეში მშრომელთა ნამდვილად ფართო მონაწილეობა, შევძელით თუ არა შევვქმნა მშრომელთა შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინიციატივის სრული გამოვლენის პირობები. საბჭოთა საქართველოსა და მისი კომპარტიის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ლ. ი. ბრეჟნევმა კვლავ ხაზგასმით აღნიშნა: „წესად უნდა შემოვიღოთ — კი არ შევუშალოთ ხელი ადგილობრივ ინიციატივას, არამედ წავახალისოთ, თუკი, რა თქმა უნდა, იგი არ ეწინააღმდეგება საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებს“ [6, 8-9].

მომწიფებული, განვითარებული სოციალიზმის ეტაპი მისი შინაგანი აყვავების ხანაა. ეს ახლა კარგადაა ცნობილი და ამაზე დამაჯერებლად წერენ ჩვენი საზოგადოებათმცოდნეები, მაგრამ, როგორც ჩანს, მუდმივად უნდა გვახსოვდეს, რომ რაც არ უნდა კარგი იყოს საზოგადოებრივ წყობაში არსებული შესაძლებლობები და ტენდენციები, ისინი შეიძლება განხორციელდნენ მხოლოდ მასების მიზანდასახული და გეგმაზომიერი მოღვაწეობის შედეგად. ვინ უნდა იდგეს სახალხო ინიციატივის სათავეებთან, ვინ უნდა ნერგავდეს ჩვენი საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში დემოკრატიზმისა და ჰუმანიზმის იდეებს, თუ არა კომუნისტები — საბჭოთა ხალხის, მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობისა და ინტელიგენციის მოწინავე რაზმი!

მომწიფებული სოციალიზმის ეტაპზე სოციალისტურ დემოკრატიას მიეცა შესაძლებლობა გამოავლინოს სახალხო ხელისუფლების ჭეშმარიტი არსი, ფართოვდება დემოკრატიის სოციალური ბაზა, უფრო სრულყოფილი ხდება მისი ინსტიტუტები. მთავარი კი, რაც, ჩვენი აზრით, საქართველოს კომპარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის მუშაობას ახასიათებს, ესაა სწორედ დემოკრატიული საწყისების გაძლიერება რესპუბლიკის ცხოვრების ყოველ სფეროში. სწორედ ესაა მშრომელთა ფართო მასების ინიციატივის, შემოქმედებითი ენერჯისა და შრომითი ერთუზიანობის გამოვლენის უძირითადესი პირობა, ხოლო ეს იმ ამოცანების რეალიზაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომლებიც სკკპ

XXVI ყრილობამ საქართველოს სსრ-სა და მისი კომპარტიის წინაშე დასახა. ვითვალისწინებთ რა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებებს, ჩვენ უფრო გაბედულად ვიმოქმედებთ, უფრო დაძაბულად ვიმუშავებთ და შემდგომ ავაძალდებთ საბჭოთა საქართველოს ავტორიტეტს.

* * *

მომწიფებული სოციალიზმის პოლიტიკური სისტემის განვითარების პროცესი სულ უფრო წინა პლანზე წამოიწევა იმ სტრატეგიულ ამოცანებს შორის, რომლებსაც ჩვენი ლენინური პარტია წყვეტს. ჩვენს დროში სოციალიზმის სიცოცხლისუნარიანობა და მიმზიდველი ძალა ბევრად განისაზღვრება პოლიტიკური სისტემის უნარით სრულყოფილად თავის თავს, შემდგომ გამოამყლავნოს თავისი მაღალი დემოკრატიული და ჰუმანისტური შინაარსი. საბოლოო ანგარიშით, ესაა სწორედ ის გზა, რომლითაც საერთო-სახალხო სახელმწიფო გარდაუვლად უნდა მივიდეს და მივა კიდევ კომუნისტურ თვითმმართველობამდე.

ურნ. «Вопросы философии», 1981, № 6.

ლიტერატურა

1. კ. შარქსი, კაბიტალი. ტ. 3, ნაწ. 11, თბ., 1959.
2. ვ. ი. ლენინი, თხზ., მე-4 გამ., ტტ. 29, 32, 35.
3. ლ. ი. ბრეჟნევი, ლენინური კურსით, ტ. 3, თბ., 1973.
4. ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება. XXVI ყრილობის და პარტიის შორევი ამოცანები სამინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში. თბ., 1981.
5. ლ. ი. ბრეჟნევი, კომუნისმის გზის ისტორიული მიჯნა, თბ., 1981.
6. ლ. ი. ბრეჟნევი, სიტყვა საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის 60 წლის-თავისადმი მიძღვნილ საზეიმო ახლომავტ. თბ., 1981.
7. ვახუთი „კომუნისტი“, 1981 წ. 24 მაისი, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა.
8. სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976.

ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა

ირაკლი კალანდია

კულტურა და ადამიანის თავისუფლება

სულიერი კულტურის პროგრესის მთავარი მაჩვენებელია ადამიანის ჰარმონიული განვითარების, თავისუფლება-ჰუმანიზაციის დონე. ადამიანის ჰარმონიული განვითარება კი, თავის მხრივ, სულიერი კულტურის ჰარმონიული განვითარების საფუძველზეა შესაძლებელი.

პიროვნების ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარება, არსებითად, ადამიანის გაუცხოების ლიკვიდაციას, ადამიანის განთავისუფლებას ნიშნავს. როგორც კ. მარქსი ამბობს, ადამიანის ყოველმხრივი განვითარება გულისხმობს მისი ეკონომიკური და სულიერი გაუცხოების დაძლევას, რაც მიუღწეველი რჩებოდა ყოველგვარ ექსპლოატატორულ საზოგადოებაში.

კანონზომიერებათა შეცნობაზე დამყარებული სრული ბატონობა ბუნების, ადამიანისა და საზოგადოების სფეროებზე, ფ. ენგელსის აზრით, არის ნამდვილი ადამიანური თავისუფლება, რომელიც კომუნისტურ საზოგადოებაში მიიღწევა. „ადამიანთა გარემომცველი პირობების წრე, რომელიც დღემდე ბატონობდა, ახლა ადამიანთა ბატონობასა და კონტროლს დაექვემდებარება, ხოლო ადამიანები პირველად ხდებიან ბუნების შეგნებული, ნამდვილი ბატონები, სწორედ იმიტომ და იმდენად, რამდენადაც ისინი თავისი საკუთარი განსაზოგადოებრივებული ცხოვრების ბატონები ხდებიან... მხოლოდ ამიერიდან შექმნიან თვით ადამიანები თავიანთ ისტორიას სრული შეგნებით, მხოლოდ ამიერიდან მოჰყვება მათ მიერ ამოძრავებულ საზოგადოებრივ მიზეზებს უმთავრესად და თანდათან გაზრდილი ზომით მათ მიერ სასურველად მიჩნეული შედეგები. ესაა კაცობრიობის ნახტომი აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოში“ [1,337—338].

მაშასადამე, პიროვნების თავისუფლება გულისხმობს ბუნებისა და საზოგადოების კანონზომიერებათა შემეცნების საფუძველზე ისეთ მოქმედებას, რომელიც მიმართულია ნამდვილი ადამიანური, ადამიანის | არსების შესატყვისი მოთხოვნილებებისა და მიზნების დაკმაყოფილებისაკენ.

გარდაქმნიან რა ბუნებას, ადამიანები ცხოველებსაგან განსხვავებით, ქმნიან ახალ სინამდვილეს — კულტურის სამყაროს.

ეს გარემოება არ არის შემთხვევითი ადამიანისათვის: ცხოველი ბიოლოგიურად უკეთ არის შეგუებული გარემო პირობებთან, ვიდრე ადამიანი. თუ ცხოველს „შზამზარეულად ეძლევა“ საარსებო საშუალებანი, ადამიანი ვერ იარსებებს ისე, თუ თავისი სომატური შეუგუებლობა გარემო პირობებთან არ მოსპო ახალი სინამდვილის შექმნის გზით. ანუ, ადამიანი ცხოველის მსგავსად, მხოლოდ მომხმარებელი ვერ იქნება, მან აუცილებლად უნდა აწარმოოს რათა შემდეგ მოიხმაროს.

მაშასადამე, რომ იარსებოს, ადამიანმა ბუნების კანონზომიერებანი უნდა შეიმეცნოს, ბუნება უნდა დაიმორჩილოს, გარდაქმნას. ამისათვის კი ბუ-

ნებისაგან განსხვავებული ისეთი ფენომენი უნდა შექმნას, რომლის მეშვეობითაც სასურველ მიზანს მიაღწევს. ასეთი ფენომენია კულტურა.

ნათქვამიდან ჭერ მხოლოდ ის არის ნათელი, რომ კულტურა ბუნებაზე ადამიანის გაბატონების და, შესაბამისად, ადამიანის თვითშენახვის ინტერესების დამაკმაყოფილებელი საშუალებაა. ეს მომენტი მართლაც აუცილებელია ადამიანისათვის და, შესაბამისად, კულტურისათვის, მაგრამ ადამიანის ადამიანურობა როდი დაიყვანება თვითშენახვის ინტერესებზე (ასე რომ იყოს, არსებითი განსხვავება არც იქნებოდა ცხოველსა და ადამიანს შორის). თუმცა, კულტურის, როგორც საშუალების გაგება, კარგად ასახავს კულტურის წარმოშობას, მის თავდაპირველ დანიშნულებას. კერძოდ იმას, რომ საზოგადოების ჩამოყალიბება, საზოგადოებრივი ურთიერთობის წარმოშობა არის პროცესი, რომლის უპირველესი მიზანია ადამიანთა არსებობის უზრუნველყოფა, მათი სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. როგორც ო. ჯიოვევი აღნიშნავს, კულტურის წარმოშობაც სწორედ ამ პროცესის ნაწილია. ადამიანთა არსებობის უზრუნველყოფა დიდი ხნის განმავლობაში ნიშნავდა ადამიანთა თვით სიცოცხლის უზრუნველყოფას, მათი ელემენტარული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე ზრუნვას.

მაგრამ კულტურის დანიშნულება არ ამოიწურება იმით, რომ ის ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებაა. თვით ამ მოთხოვნის შინაარსი უცვლელი როდი დარჩა: «უკვე ძველ რომში პლებებმა მოითხოვედნენ არა მარტო პურს, არამედ სანახაობასაც. როდესაც კულტურის შექმნა პროფესიად იქცა, ის უკვე მარტო საშუალება კი არ იყო ადამიანის არსებობის შესანარჩუნებლად, არამედ ადამიანის არსების გამოვლენის ასპარეზიც: არა მარტო ბერძნული ხელოვნება და მეცნიერება ემსახურებოდა, მაგალითად, მონათმფლობელურ სახელმწიფოს, არამედ ბერძნული მონათმფლობელური საზოგადოებაც იყო ანტიკური კულტურის განვითარების საშუალება» [5,10].

ეს კი იმას ნიშნავს, რომ კულტურა ბუნებაზე ადამიანის გაბატონების დონეს როდი გამოხატავს მხოლოდ, არამედ ამავე დროს კულტურა პასუხობს ადამიანის ისეთ არსებით მოთხოვნილებას, როგორცაა შემოქმედება; კულტურა გვევლინება ადამიანის არსობრივ ძალთა, მისი პოტენციალების გამოვლენის ასპარეზად. კულტურის ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორცაა, მაგალითად, მეცნიერება, რომლის განვითარებაზე დამოკიდებულია ბუნებაზე ადამიანის გაბატონების დონე, მარტო ტექნიკურ პრობლემათა გადაჭრას როდი ემსახურება. იგი გვევლინება ადამიანის შემოქმედებითი უნარების გამოვლენის სარბიელად. შემოქმედება ასევე არსებითია კულტურის სხვა კომპონენტებისათვისაც.

სწორედ შემოქმედება და, შესაბამისად, თავისუფლება არის ის ძირითადი და არსებითი ნიშანი, რითაც ადამიანური მოღვაწეობა განსხვავდება ცხოველთა ერთმნიშვნელოვანად დეტერმინირებული მოქმედებებისაგან.

როგორც ცნობილია, ცხოველის მოქმედება განპირობებულია იმ ბიოლოგიური სახის თავისებურებებით, რომელსაც ეს ცხოველი ეუფენის. ცხოველთა მიერ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ადამიანებისაგან განსხვავებით, ყოველგვარი არჩევანის (თავისუფლების) გარეშე ხდება. ანუ, როგორც კ. მარქსი ამბობს, ცხოველი აფორმებს მატერიას მხოლოდ თავისი სახეობის საზომისა და მოთხოვნილებების მიხედვით.



ამის საპირისპიროდ ადამიანის მოქმედება თავისუფალი ცნობიერი მოქმედებაა. მას შეუძლია აწარმოოს ნებისმიერი ფორმის მიხედვით, აგრეთვე უნარი შესწევს უბრატესობა მისცეს ამა თუ იმ მიზნის განხორციელებას. ადამიანი მატერიას აფორმებს „სილამაზის კანონების მიხედვითაც“. თუ ცხოველი უშუალოდ იგივეობრივია თავისი ცხოველქმედებისა, ადამიანი თავის ცხოველქმედებას საკუთარი ნებისა და ცნობიერების საგნად იხდის. ადამიანის ცხოველქმედება ცნობიერია. ამავე ძალით ის თავისუფალიცაა (კ. მარქსი). სწორედ ადამიანის ცნობიერი თავისუფალი მოქმედების პროდუქტია კულტურა.

რას ნიშნავს, რომ ადამიანი არის თავისუფალი, შემოქმედი არსება. რა კავშირშია ერთმანეთთან ადამიანის თავისუფლება და კულტურა? ამ საკითხის გარკვევა არის ამჟამად ჩვენი მიზანი*.

საზოგადოების ისტორია, როგორც კ. მარქსი ამბობს, „ბუნების ისტორიის ნამდვილი ნაწილია, ბუნების ადამიანად გადაქცევაა“. ადამიანთა ისტორიის პირველი წანამძღვარია მათ მიერ ბუნების გარდაქმნა, ბუნების შეცვლა თავიანთი მოთხოვნილებების შესაბამისად. ახასიათებს რა ბუნებასა და ადამიანს შორის კავშირს, ფ. ენგელსი წერს: „...სწორედ ბუნების შეცვლა ადამიანის მიერ, და არა მარტოდ ბუნება როგორც ასეთი, წარმოადგენს ადამიანის აზროვნების უარსებითესსა და უახლოეს საფუძველს, და ადამიანის გონებაც იმდენად იზრდება, რამდენადაც ადამიანი ბუნების შეცვლას სწავლობდა“ [2,240].

ადამიანებს თავიანთი წარმოებითი საქმიანობით და შემეცნებითი მოღვაწეობით ცვლილება შეაქვთ ბუნებაში, აიძულებენ მას ემსახუროს ადამიანის მიზნებს. განსხვავებით ცხოველებისაგან, რომლებიც იკმაყოფილებენ რა თავიანთ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს, მუდმივად რჩებიან განვითარების ერთ დონეზე, ადამიანები ცდილობენ როგორც გარესამყაროს, ისე საკუთარი თავის გარდაქმნას. გარემომცველი სამყაროსა და საკუთარი თავის შეცვლისაკენ მარადიული მიზანდასახული სწრაფვა ადამიანის ერთ-ერთი არსებითი თვისებაა. ადამიანის ამ გარდამქმნელი მოღვაწეობით იქმნება კულტურა, — როგორც მატერიალური, ისე სულიერი კულტურა. ამ აზრით, „ადამიანის ისტორია სხვა არაფერია თუ არა ადამიანის შესაძლებლობაში არსებული სხვადასხვა რიგის არსობრივ ძალთა რეალიზაციის პროცესი, რაც კულტურის სხვადასხვა დარგის შექმნის პროცესს შეესაბამება. კულტურის ფენომენები ღირებულების მატარებელი არიან, ღირებულ საგნებს წარმოადგენენ... ღირებულება ის საგანი, რომელიც ადამიანის რომელიმე არსობრივ ძალას... აძლევს რეალიზაციის საშუალებას. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისტორია როგორც არსობრივ ძალთა რეალიზაციის ანუ კულტურის ქმნის პროცესი, ამავე დროს არის ღირებულ ფენომენთა შექმნის პროცესი“ [4,35—36].

ადამიანების მიერ კულტურის ქმნის პროცესი ასახავს კულტურის შემქმნელთა განვითარების დონეს, მათი თავისუფლების ხარისხს, საერთოდ ადამიანის „გაადამიანურების“, თვითდამკვიდრების ხარისხს. ამას გულისხმობს ფ. ენგელსი, როცა ამბობს: „თავისუფლება მდგომარეობს ბუნებრივ აუცი-

* ამ პრობლემის სხვადასხვა ასპექტებია გაშუქებული ა. ბოჭორიშვილის სტატიაში „ადამიანის თავისუფლების პრობლემა“ კრებულში „ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხები“, ნაწ. VI, თბ., 1979, რ. ბალანჩივაძის წიგნში „ადამიანი, თავისუფლება, პასუხისმგებლობა“, თბ., 1976 და გ. რუსიას წიგნში „თავისუფლება და პიროვნება“, თბ., 1979.

ლებლობათა შემეცნებაზე დაყრდნობილ ბატონობაში თვით ჩვენ თავზე და გარეგან ბუნებაზე; ამიტომ იგი აუცილებლად ისტორიული განვითარების პროდუქტს წარმოადგენს. ცხოველთა სამეფოდან გამოყოფილი პირველი ადამიანები ყოველივე არსებითში ისევე არათავისუფალი იყვნენ, როგორც თვით ცხოველები; მაგრამ ყოველი ნაბიჯი წინ კულტურის გზაზე იყო ნაბიჯი თავისუფლებისაკენ“ [1, 136].

მაშასადამე, ადამიანის სპეციფიკური თავისებურება, მისი თავისებრივი განსხვავება ყველა სხვა არსებისა თუ ნივთისაგან, იმაში გამოიხატება, რომ იგი ბუნებას გარდაქმნის ღირებულებათა მიხედვით და ამ გზით ქმნის სრულიად ახალ სინამდვილეს — კულტურას. ხოლო ბუნების გარდაქმნა ღირებულებათა მიხედვით, თავის აუცილებელ პირობად, წინამძღვრად გულისხმობს ადამიანის თავისუფლებას, მის თავისუფალ და აქტიურ მოქმედებას. თავისუფალი, აქტიური მოღვაწეობა კი არის შემოქმედება; შემოქმედება არის ფენომენი, რომელიც ადამიანის აქტიური გარდაქმნელი მოღვაწეობის აუცილებელი მომენტია, თანაც ისეთი, რომელიც მის ადამიანურ სპეციფიკას განაპირობებს. მაგრამ როგორც უკვე აღინიშნა, თავისუფალი შემოქმედებითი მოღვაწეობა არსებითია ადამიანისათვის არა უბრალოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ამით ადამიანი განსხვავდება სხვა არსებულთაგან, „არამედ უფრო იმიტომ, რომ მას, როგორც ადამიანის გარდაქმნელი მოღვაწეობის აუცილებელ პირობას, ამხსნელი ძალა აქვს: როდესაც ვაპობთ, რომ ადამიანი სინამდვილის გარდაქმნის პროცესში თავისთავსაც გარდაქმნის, აქ შემოქმედების მნიშვნელობაც იგულისხმება“ [6,26—27].

ადამიანთა მიერ სინამდვილის გარდაქმნა ხორციელდება იმის საფუძველზე, რომ ზღვება სინამდვილის კანონზომიერების შემეცნება, სინამდვილის საგანთა და მოვლენათა არსების დადგენა. შემეცნება რთული, მრავალმხრივი პროცესია. ჰერმარიტება მზამზარეულად როდი ეძლევა ადამიანს, ჰერმარიტების დასადგენად ადამიანმა ცნობიერების მრავალმხრივი აქტივობა უნდა განავითაროს. შემეცნება აუცილებლობით შეიცავს შემეცნების საგნისადმი სუბიექტის აქტიურ დამოკიდებულებას. შემეცნების პროცესში ადამიანის შემოქმედებითობა მკლავდება იმაში, რომ ზღვება „ახალი კულტურული ღირებულებების, ახალი ცოდნის წარმოება... შემეცნება არა მარტო ახალი ცოდნის შემოქმედების წყაროა, არამედ იგი ადამიანის არსობრივი ძალების ფორმირების აუცილებელი კომპონენტია“ [3,110].

მეტწიერული შემეცნების ისტორია ნათელჰყოფს იმ გარემოებას, თუ რა დიდი შემოქმედებითი წევა და ფანტაზიის გამოყენება იყო საჭირო, რათა ადამიანი ნაწილობრივ მაინც ჩაწვდომოდა სამყაროს საიდუმლოებას. ეს პროცესი ასახავს, თუ როგორ ვითარდებოდა თვით ადამიანი, როგორ წარმოებდა მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არსობრივი ძალის — შემეცნებითი უნარის გაშლავანვითარება. ამ აზრით, შემეცნება როგორც სინამდვილის შემოქმედებითი ასახვა, წარმოადგენს არა მარტო ადამიანის პრაქტიკული მოღვაწეობის წარმატებითი ფუნქციონირების პირობას, წინამძღვარს და, შესაბამისად, ადამიანის არსებობის შენარჩუნებისათვის აუცილებელ საშუალებას, არამედ ჰერმარიტ თვითმიზანს — ადამიანის შემოქმედებითი უნარის, მისი პოტენციალების გამოვლენის სარბიელს.

მაშასადამე, სინამდვილისადმი ადამიანის თეორიული დამოკიდებულება, სინამდვილის თეორიული ათვისება გარკვეულ მიზანს ემსახურება. ადამიან-

ნის ცოდნის განვითარება ყოველთვის გარკვეული მიზნით წარიმართება, იგი მიზანდასახულ, შეგნებულ ხასიათს ატარებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სულიერი კულტურის ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტისათვის, როგორც არის თეორიული შემეცნება, მეცნიერება, — არსებითია შემოქმედების მომენტი.

ადამიანის მიმართება სამყაროსთან არ აწიფდება მხოლოდ შემეცნებით. ადამიანი არა მარტო იმეცნებს საგნებს, არამედ გარკვეულ შეფასებას აძლევს მათ, აფასებს მათ იმისდა მიხედვით, თუ რა მიმართებაში არიან ესა თუ ის საგნები, მოვლენები ადამიანური ყოფიერების ამა თუ იმ ასპექტთან. თუ ქეშმარიტების შინაარსში არ აისახება ადამიანის ღირებულებითი მიმართება სინამდვილესთან, ადამიანის ესთეტიკური და ეთიკური მოღვაწეობის პროდუქტებში ცენტრალური ადგილი ენიჭება ღირებულებით მომენტს. კულტურა ღირებულებათა რეალიზაციის პროცესია, რომლის დროსაც ადამიანი სხვა ინტერესებთან და მოთხოვნილებებთან ერთად, იკმაყოფილებს მისთვის ერთ-ერთი არსებითი ხასიათის მოთხოვნილებას — შემოქმედების მოთხოვნილებას. კულტურის სხვა კომპონენტთა შორის, ხელოვნება არის ის სფერო, სადაც ყველაზე ნათლად და აშკარად ვლინდება ადამიანის შემოქმედებითი ბუნება. მართალია, შემოქმედება არსებითია სულიერი კულტურის ყველა კომპონენტისათვის („შემოქმედება და აღმადრენა გეომეტრიაში ისევე საჭიროა, როგორც ხელოვნებაში“, — ამბობს ა. პუშკინი), მაგრამ არის ერთი ასეთი მომენტიც: შემოქმედებისათვის მნიშვნელოვანი და არსებითია არა მხოლოდ ახლის ქმნა (ცხადია, არა ყოველგვარი ახლის შექმნა არის შემოქმედება), არამედ თავისუფლების ხარისხიც. ხელოვანის შემოქმედება მხოლოდ მისი შთავგონებისა და ფანტაზიის ნაყოფი როდია — ხელოვნება ახლის ქმნაა და ბაძეაც არის ამავე დროს, მაგრამ კულტურის სხვა ფენებთან შედარებით, ხელოვნებაში უფრო მაღალია თავისუფლების ხარისხი. როგორც ნ. ჰარტმანი მიუთითებს, მხატვრული თავისუფლება არ მისდევს რაიმე ჯერარსს, ის არ არის აუცილებლობის თავისუფლება როგორცია ჯერარსობა. პირიქით, ის წარმოადგენს შესაძლებლობების თავისუფლებას, ამასთან თითქმის უსაზღვრო შესაძლებლობების თავისუფლებას. თუმცა, ესთეტიკური თავისუფლება როდის ნიშნავს თვითნებობას: შემოქმედს ის აძლევს სრულ თავისუფლებას შეიჭრას იქ, სადაც ის მოისურვებს, მაგრამ მას შეუძლია ისურვოს მხოლოდ ის, რაშიც არის ერთიანობა და აუცილებლობა.

დებულება იმის თაობაზე, რომ ისტორიას ქმნიან ადამიანები, იმას ნიშნავს, რომ ადამიანთა მოქმედება-მოღვაწეობა ძირითადად სხვა არაფერია, თუ არა ახალი იდეალების დასახვა და ძველთა კრიტიკული უარყოფა და გადალახვა. ამ აზრით ამბობენ სწორედ, რომ ადამიანთა ცხოვრება, როგორც მოქმედება, არის ახალი, თვისებრივად ახალი ყოფიერების ქმნა, ანუ შემოქმედება.

ყოველივე ეს კი, როგორც მართებულად აღნიშნავს ზ. კაკაბაძე, იმას ნიშნავს, რომ ხელოვნება, ხელოვნების ნაწარმოები, ცხოვრების ახალი იდეალის დასახვისა და ძველის კრიტიკული გადალახვის, ანუ ისტორიის ქმნის თავდაპირველი აქტია და არა უკვე შესრულებულის უბრალო განმეორება; ხელოვნება ახალი სინამდვილის ქმნა იმდენად, რამდენადაც ახალ იდეალს დასახული სახით კი არ ჰპოვებს და იმეორებს, არამედ თვითონ სახავს.

ამიტომაც არის, რომ ხელოვნება მიჩნეულია სულიერი კულტურის ისეთ

კომპონენტად, რომელშიც ყველაზე თვალნათლივ ვლინდება ადამიანის შემოქმედებითი ბუნება.

თუ ხეცნიერებისა და ხელოვნების შემთხვევაში შედარებით ნათელი და აშკარა ჩანს კულტურის ამ კომპონენტთა ორგანული კავშირი შემოქმედებასთან, ზნეობის, ზნეობრივი ღირებულებებისა და შემოქმედების ურთიერთობის საკითხის ანალიზი უფრო რთულია. საკითხი აქ ასე დგება: იქმნებოდნენ თუ არა ახალი ზნეობრივი ღირებულებანი ადამიანის განვითარებასთან ერთად და გამოხატავდნენ თუ არა ისინი ადამიანთა ურთიერთობების ჰუმანიზაციის უფრო მაღალ დონეს. ამას უკავშირდება აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა შემოქმედებითი ხასიათის არა მხოლოდ ახალი ღირებულებების შექმნის პროცესი, არამედ ამავე დროს მათი ათვისებაც.

ამჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს ამ საკითხთა დაწვრილებითი განხილვა. აღვნიშნავთ მხოლოდ შემდეგს: ის ზნეობრივი ნორმები, ღირებულებანი, რომლებიც ადამიანთა ურთიერთობებს არეგულირებენ კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ადამიანების გაჩენისთანავე, იმთავითვე, მზამზარეული სახით როდი არსებობდნენ. ახალი ზნეობრივი ღირებულებებს შექმნა ხანგრძლივი, მრავალასპექტოვანი პროცესია. ეს არის ადამიანთა „ზნეობრივი ბრძოლა“ ძველი, უვარგისი ზნეობრივი ღირებულებების წინააღმდეგ, ახალი და უფრო მაღალი ზნეობრივი ღირებულებების დამკვიდრებისათვის. ისტორია იცნობს არა მხოლოდ უდიდესი მეცნიერული აღმოჩენებისა და ხელოვნების შედეგების ავტორებს, არამედ ამავე დროს ახალი ზნეობრივი ღირებულებების დამამკვიდრებელ გენიოსებსაც, ისეთ ადამიანებს, რომელთა მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა მათ მიერვე დამკვიდრებული ზნეობრივი ღირებულებების მიხედვით საკუთარი თავის შემოქმედების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენდა. „ზნეობრივ რევოლუციასაც ჰყავს თავისი უსახელო გმირები, რომლებიც ყოველდღე იბრძვიან ადამიანთა ცხოვრების ახალი პრინციპების დამკვიდრებისათვის, და თავისი გამოჩენილი მოღვაწეებიც, ისეთი მოღვაწეები, როგორც იყვნენ, მაგალითად, ლევ ტოლსტოი ან ალბერტ შვაიცერი არა მარტო მხატვრულ ნაწარმოებებსა და ფილოსოფიურ კონცეფციებს ქმნიდნენ, ისინი ზნეობრივი „გმირები“, ზნეობის სფეროში შემოქმედებაც იყვნენ“ [6,49].

მართალია, „ზნეობრივი ბრძოლის“ გზაზე კაცობრიობამ არა ერთი ისეთი ზნეობრივი ღირებულება, ნორმა შექმნა, რომლებიც განვითარების გარკვეულ საფეხურზე თვითონვე უარყო და ამ მხრივ საერთო ცვალებადობას, ღირებულებათა მონაცვლეობას აქვს ადგილი, მაგრამ მიუხედავად ამისა. კაცობრიობის ისტორიაში იქმნებოდა ისეთი ზნეობრივი ღირებულებებიც, რომელნიც არ კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას მანამდე, სანამ იარსებებს ადამიანი, როგორც ზნეობრივი არსება. ასეთ ღირებულებათა რიგს უნდა მივაკუთვნოთ ის ღირებულებანი, რომლებიც სამყაროში ადამიანის ადგილს გამოხატავენ, საკუთარი გვარობითი არსის მიხედვით მოქმედი ადამიანის ცხოვრებასა და მოქმედებას შეესატყვისებთან.

კულტურისა და შემოქმედების ურთიერთობის ანალიზი საგანგებო კვლევის საგანია. ჩვენი მიზანი სულაც არ იყო ამ საკითხის დაწვრილებითი და ამომწურავი განხილვა. ჩვენ მხოლოდ მოკლედ მივანიშნეთ იმ გარემოებაზე, რომ კულტურისათვის აუცილებელი, ორგანული მომენტია შემოქმედება,



რომ კულტურა აუცილებლობით გულისხმობს პიროვნების თავისუფალ, აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას.

აქვე უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: თავისუფალი, აქტიური და შეგნებული მოქმედება ანუ შემოქმედება მხოლოდ გენიალური მეცნიერული აღმოჩენის გაკეთება და ხელოვნების შედეგთა შექმნა როდია, როგორც მართებულად აღნიშნავს თ. ჯიფივი ნაშრომში „კულტურა და საზოგადოებრივი ურთიერთობა“, ადამიანი ყოველ ნაბიჯზე ექცევა ისეთ ვითარებებში, რომლებიც მისგან დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებას, შემოქმედებას მოითხოვს. შემოქმედება მართო კულტურის შექმნა კი არ არის, არამედ, ავრთვე, მისი ათვისება. ასე მაგალითად, მხატვრული ნაწარმოების ნამდვილი აღქმისათვის აუცილებელია თანაგრძნობა, თანაგანცნა, რომელიც იმას უნდა ეხმარებოდეს, რასაც ხელოვანი განიცდიდა ნაწარმოების შექმნისას. ასევე მეცნიერების ათვისება არ არის მხოლოდ გარკვეული შედეგებისა და ფორმულების დამახსოვრება: ის იმ გზის წარმოდგენასაც გულისხმობს, რომელსაც ამ შედეგებამდე მიყვავართ. ანალოგიური ვითარება გვაქვს ზნეობის, ზნეობრივი ღირებულებების შემთხვევაშიც: ცალკეული პიროვნების მიერ ზნეობრივი ღირებულებების მიხედვით თავისი ცხოვრების წარმართვა შემოქმედების მომენტს შეიცავს. ჯერ ერთი, ზოგადი ფორმით გამოხატული ზნეობრივი პრინციპები კონკრეტული ზნეობრივი საქციელის განხორციელებისას, სათანადო დაკონკრეტებას მოითხოვს. ამასთან ერთად, ხშირად, კონკრეტული სიტუაციის დროს, საჭირო ხდება ერთნაირი რანგის ღირებულებათა შორის არჩევანის გაკეთება. ყოველივე ეს პიროვნებისაგან მოითხოვს ზნეობრივი სიტუაციის მრავალმხრივ გათვალისწინებას, ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას ზნეობრივი ღირებულებების არჩევნისა და განხორციელების პროცესში. ანუ, ადამიანის კულტურის მაჩვენებელია ის, თუ რამდენად თავისუფლად და დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას და შეგნებულად განსაზღვრავს თავის ქცევას.

მაშასადამე, ადამიანის თავისუფალი, შემოქმედებითი ბუნება ვლინდება ადამიანური მოღვაწეობის ისეთ ფორმებში, როგორცაა შემეცნებითი, ესთეტიკური, ეთიკური მოღვაწეობანი. მაგრამ კულტურისა და პიროვნების უფრო სრული განხილვა მოითხოვს კიდევ სხვა მომენტების გათვალისწინებას. ერთ-ერთი ასეთი მომენტი არის შემდეგი: პიროვნებისა და კულტურის ურთიერთდამოკიდებულება გაშუალებულია ისეთი ფენომენით, როგორცაა შრომა. შ რ თ ა ლ ი ა, შრომისა და კულტურის სფეროები ერთმანეთს არ ემთხვევიან, მაგრამ ჯერ ერთი, შრომის პროცესის განხორციელების ხერხები და დონე აუცილებლად მიეკუთვნება კულტურას. უკვე ამდენად, შრომისა და კულტურის სფეროები ჰყვეთენ ერთმანეთს. გარდა ამისა, შრომაც და კულტურაც წარმოადგენენ ადამიანის არსებობის უზარუნველყოფისათვის საშუალებას; ამიტომ ორივეს გარკვეული ღირებულებითი მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის. ის, რითაც შრომა და კულტურა ღირებულებითი მნიშვნელობის მქონეა ადამიანისათვის, არის შემოქმედება; შემოქმედება იმ აზრით, რომ როგორც კულტურა, ისე შრომა წარმოადგენენ ადამიანის არსობრივი ძალების გამოვლენის ასპარეზს. ამას გულისხმობს კ. მარქსი, როცა ამბობს: „მრეწველობის ისტორია და მისი შესაბამისი მრეწველობის საგნობრივი ყოფიერება არის ადამიანის არსობრივ ძალთა გაშლილი წიგნი, ჩვენს წინაშე გრძნობადად მოცემული ადამიანური ფსიქოლოგია, რომელსაც დღემდე მხოლოდ სარ-

გებლიანობის კუთხით განიხილავდნენ და არა ადამიანის არსებასთან კავშირში [9,628]. კ. მარქსის ამ სიტყვებში ნათლადაა მოცემული ადამიანისათვის შრომის მნიშვნელობა, რაც მხოლოდ იმაში როდი მდგომარეობს, რომ ადამიანი შრომით მოიპოვებს საარსებო საშუალებებს, შრომით იმკვიდრებს თავს სამყაროში, არამედ იმაში, რომ შრომის მეშვეობით ადამიანი ქმნის თავის თავს, როგორც ადამიანს, გავლის და განავითარებს თავის არსობრივ ძალებს.

შრომისა და კულტურის კატეგორიათა ურთიერთობის ანალიზს სპეციალური თავი ეძღვნება ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის კ. მეგრელიძის წიგნში «Основные проблемы социологии мышления», სადაც ნაჩვენებია თუ რა მჭიდრო ურთიერთკავშირია შრომისა და კულტურას შორის.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, კულტურა ადამიანური შრომის, ადამიანის მოღვაწეობის შედეგს წარმოადგენს. „შრომა, როგორც შრომის ობიექტთან ადამიანის დამოკიდებულება, როგორც ადამიანსა და ბუნებას შორის მიმდინარე პროცესი, შეიძლება ყოველთვის განვიხილოთ როგორც ორმხრივი პროცესი, — წერს კ. მეგრელიძე. ჯერ ერთი, ეს არის ობიექტური პროცესი, რამდენადაც ჩვენ განვიხილავთ ცვლილებებს, რომელთაც განიცდის საგანი, როგორც შრომის ობიექტი; სახელდობრ, შრომის ობიექტი იღებს სხვა ფორმას და იძენს სხვა თვისებებს. მეორეც, ეს არის სუბიექტის მოღვაწეობა, სუბიექტური პროცესი, რადგან ჩვენ ამ პროცესს განვიხილავთ სუბიექტის მიერ განხორციელებულ მოქმედებათა, ინდივიდის მიერ შინაგანი სუბიექტური ენერჯის ხარჯვისა და იმ სუბიექტური მიზნის მხრივაც, რომლის განხორციელებასაც ემსახურება შრომითი მოღვაწეობა“ [10, 37].

შრომის შედეგად შექმნილი პროდუქტის თვისებები არსებითად განსხვავდებიან ბუნებაში მოცემული საგნებისაგან. შრომის პროდუქტი ახალ თვისებებს იძენს მისი შემქმნელის—ადამიანის წყალობით. „შრომის პროდუქტი—ეს ისეთი ობიექტია, რომელიც ატარებს ადამიანის მიერ წინასწარგანზრახვით მისთვის მინიჭებულ სასარგებლო თვისებებს და რომელიც, მაშასადამე, ასრულებს ადამიანისათვის სასარგებლო საზოგადოებრივ ფუნქციებს“ [10, 38].

მიზანდასახული მოღვაწეობისას ადამიანის ენერჯია გროვდება შრომის ობიექტში, რამდენადაც შეცვლილი სახით გადადის შრომის პროდუქტში: „...წარმოების პროცესში ადამიანი თავის მოღვაწეობას გარეთ გაიტანს, თავისი ინდივიდუალობის გარკვეულ ნაწილს გადაიტანს ობიექტში და ტოვებს მას შრომის პროდუქტში. ხდება სუბიექტისაგან მისი ენერჯის გარკვეული ნაწილის გამოყოფა, ინდივიდის მიერ თავისი ინდივიდუალობის ნაწილის განსხვავება. სუბიექტის ეს ენერჯია, ინდივიდის ინდივიდუალობის ნაწილი ილექება შრომის პროდუქტში, თანაც ისე, რომ შრომის ობიექტში ახდენს შესაბამისი ცვლილებებს და ავებს შრომის პროდუქტს სუბიექტის სურვილების, მიზნების მიხედვით. ერთი სიტყვით, შრომის პროცესში ადამიანი თავისი სუბიექტის გარკვეულ ნაწილს გადააქცევს ობიექტურად არსებულ საგნად“ [10,39].

როგორც უკვე აღინიშნა, შრომით შექმნილ საგანთა სამყარო განსხვავდება ბუნებაში მოცემულ საგანთაგან: „შრომის პროდუქტების სამყარო... ბუნების ობიექტებისათვის დამახასიათებელი მიზეზობრივი აუცილებლობის გარდა, ექვემდებარება აგრეთვე მიზანდასახულობის კანონზომიერებასაც... შრომის პროდუქტი არის აუცილებლობისა და მიზანდასახულობის, თავისუფლების ერთიანობა, რადგან იგი იქმნება ობიექტურად არსებული ადამიანების



მიერ რეალურ ობიექტებზე ზემოქმედებით, ობიექტური მოღვაწეობის შედეგად... მაგრამ ამავე დროს შრომის პროდუქტი წარმოადგენს სუბიექტივიზებული ობიექტს, რამდენადაც მასში განხორციელებულია შემქმნელის შეგნებული მიზანი, შემქმნელისა, რომელმაც შრომის პროდუქტში შეიტანა თავისი სუბიექტურობის, თვითობისა და ნების გარკვეული ნაწილი... სხვაგვარად რომ ვთქვათ შრომის პროდუქტში რაღაც ზომით განხორციელებულია „თავისუფალი აუცილებლობა“... რეალიზებულია მიზეზობრიობისა და მიზნობრიობის ერთიანობა“ [11, 43 — 44].

მაგრამ შრომა მხოლოდ გარკვეულ პირობებში შეიძლება იყოს „თავისუფალი აუცილებლობის“ განხორციელება. კერძოდ, შრომის პროდუქტი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება „თავისუფალი აუცილებლობის“ განხორციელება, თუ იგი წარმოადგენს თავისუფალი შრომის პროდუქტს. რომ არა ყოველგვარი შრომა უწყობს ხელს პიროვნების თვითდამკვიდრებას, მისი არსობრივი ძალების გაშლასა და განვითარებას, ამის ბრწყინვალე ნიმუშია კ. მარქსის მიერ კერძო საკუთრების პირობებში მუშის შრომის ვაუცხოების ანალიზი.

ვაუცხოების პირობებში შრომა იქცევა მხოლოდ თვითშენახვის საშუალებად. ვიტალური, თვითშენახვის ინტერესები იქცევიან ერთადერთ და უკანასკნელ მიზნებად, ადგილი აქვს გონითი ინტერესების ქრობას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანი, ცხოველის მსგავსად, შიშველი მომხმარებელი ხდება, ვითარდება ცალმხრივად. ასეთ პირობებში მაღალი ადამიანური გრძნობებისა და ინტერესების ადგილს იკავებს ფლობის გრძნობა, ასე ცალმხრივად განვითარებული ადამიანისათვის საინტერესო ხდება მხოლოდ ის, რისი ფლობა და მოხმარებაა შესაძლებელი. აქედან კი სრულიად ლოგიკურად გამომდინარეობს ის, რომ მომხმარებლური ინტერესი, ფლობის გრძნობა ვრცელდება არა მარტო საგნებზე, არამედ ადამიანებზეც. ვაუცხოებული შრომის პირობებში ერთი ადამიანი მეორეს თვის არა მის ტოლფასოვან, ღირსებებით შემკულ ადამიანად, არამედ საკუთარი ინდივიდუალისტური მოთხოვნულებების დაკმაყოფილების საშუალებად.

ვაუცხოებული შრომისა და კერძო საკუთრების ურთიერთდამოკიდებულების ანალიზის შედეგად მარქსი მიდის დასკვნამდე, რომ დადებითი გაუქმება კერძო საკუთრებისა არის დადებითი გაუქმება ყოველგვარი ვაუცხოებისა, ანუ, რელიგიიდან, ოჯახიდან, სახელმწიფოდან და ა. შ. ადამიანის დაბრუნება თავისი ადამიანური, საზოგადოებრივი ყოფიერებისადმი. კ. მარქსის მიხედვით, შრომის ვაუცხოების მოსახსნელად საზოგადოების ძირეული გარდაქმნაა საჭირო. მაგრამ საზოგადოების გარდაქმნით (კერძო საკუთრებაზე დამყარებული საზოგადოებრივი ურთიერთობების ლიკვიდაციით) როდი წყდება საბოლოოდ შრომის გარდაქმნის ამოცანა. საქმე ის არის, რომ შრომა იმდენად ძირეულად უნდა გარდაქმნას, რომ იქცეს არაშრომად.

კ. მარქსის ეს დებულება შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: შრომა, ჩვეულებრივ, უპირისპირდება თავისუფალ დროს. თუ შრომის პროცესში ადამიანი საზოგადოებრივი, წარმოებითი ურთიერთობით არის შეზღუდული, ამის საპირისპიროდ, თავისუფალ დროს მას შეუძლია რაც მოესურვება, ის აკეთოს; თავისუფალ დროს ადამიანი გამოიყენებს თავისი უნარების განვითარებისათვის, „ძალთა განახლებისათვის“, ხოლო შრომის პროცესში ამ უნარებს მოიხმარს. შრომის „არაშრომად“ გადაქცევა იმას ნიშნავს, რომ აზრი დაეკარგება შრომისა და თავისუფალი დროის დაპირისპირებას. როგორც შრომა,

ისე არაშრომა ადამიანის უნარების, მისი თავისუფალი მოღვაწეობის გამოვლენა იქნება. სწორედ ასეთი შრომა შეიძლება მივიჩნიოთ ადამიანის არსებობის გამოვლენად და არა ყოველგვარი შრომა. შემდგომში, კულტურის მონაპოვართა სისტემატური დანერგვა წარმოების პროცესში, თანდათან უზრუნველყოფს შრომის გათავისუფლებას არაშემოქმედებითი ფუნქციებისგან, ასევე თანდათან შეიცვლება თავისუფალი და სამუშაო დროის თანაფარდობა—სულ უფრო შემცირდება აუცილებელი სამუშაო დროის რაოდენობა და შეიქმნება პირობები შრომის არაშრომად გადაქცევისათვის. პიროვნების სიმდიდრის მაჩვენებელი, როგორც მარქსი აღნიშნავს, იქნება არა სამუშაო, არამედ თავისუფალი დროის სიდიდე, როდესაც შრომის პროცესი და თავისუფალი დრო ერთნაირად იქნება ადამიანის ყველა უნარის გამოვლენისა და განვითარების ასპარეზი და საზოგადოებრივი სიმდიდრის წყარო. ადამიანს ისეთივე მოთხოვნილება ექნება შრომისა, როგორი მოთხოვნილებაც გააჩნია საერთოდ შემოქმედებისა—შემოქმედებისა, როგორც ადამიანური უნარების გამოვლენის ასპარეზისა. ამ აზრით ამბობს მარქსი, რომ შრომა გადაიქცევა სასიცოცხლო მოთხოვნილებად. რაც, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ შრომა აღარ იქნება საზოგადოების არსებობის უზრუნველყოფის საშუალება, არამედ იმას, რომ ცალკეული ადამიანისათვის შრომითი მოქმედების მიზანი იქნება უკვე არა თავისი საკუთარი არსებობის უზრუნველყოფა, არამედ სპეციფიკური მოთხოვნილების—შრომის მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

მართალია, სოციალისტურ საზოგადოებაშიც ჯერ კიდევ ყველა პირობა როდია შექმნილი იმისათვის, რომ „შრომა არაშრომად იქცეს“ და, მაშასადამე, გაუცხოება სრულიად გაუქმდეს, მაგრამ ზემოთ ნათქვამიდან ნათელი უნდა იყოს, რომ ექსისტენციალისტების თვალსაზრისი ყოველგვარი საზოგადოების, როგორც პიროვნების გაუცხოების ძირითადი წყაროს შესახებ, არაა სწორი. ექსისტენციალისტები, როგორც ცნობილია, ამტკიცებენ რომ კოლექტიურობის ყოველგვარი ტენდენცია, ნებისმიერი საზოგადოება, როგორი სოციალური წყობაც არ უნდა იყოს—დემოკრატიული, ფაშისტური თუ სოციალისტური—ერთნაირად უწყობს ხელს პიროვნების გაუცხოებას, დებერსონალიზირებას, ადამიანის აუტენტურობის (პიროვნულობის) დაკარგვას (12, 17—21). საყოველთაოდ ცნობილია აგრეთვე ექსისტენციალისტთა საყვედური მარქსიზმის მიმართ იმის თაობაზე, რომ თითქოს მარქსიზმში პიროვნება ან საერთოდ უყურადღებოდ არის დატოვებული, ან იგი მთელი თავისი ინტერესებით ეწირება საზოგადოებას. ექსისტენციალისტები თვლიან, რომ მარქსიზმში პიროვნება, მისი სპეციფიკა მთლიანად საზოგადოებით არის განსაზღვრული.

მარქსიზმის მიხედვით, მართლაც „ადამიანის არსება არის საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა“, მხოლოდ კოლექტივში (სხვებთან ერთად) ლებულობს ყოველი ინდივიდი იმის საშუალებას, რომ თავისი ნიჭი ყოველნაირად განავითაროს. მაშასადამე, მხოლოდ კოლექტივში ხდება შესაძლებელი პირადი თავისუფლება.

მარქსიზმი პიროვნების ჩამოყალიბებაში უდავოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოებას, მაგრამ არც იმის უგულებელყოფა შეიძლება, რომ მარქსიზმს პიროვნების ყოფიერება, მისი თავისებურებანი მთლიანად საზოგადოების ყოფიერებაზე არ დაჰყავს. ეს თეორია აღიარებს და თვლის, რომ პიროვნებისეული ყოფიერების სტრუქტურა შედარებითი დამოუკიდებლობით ხასიათდება და ზეგავლენასაც კი ახდენს საზოგადოებრივ ურთიერთობათა

თავისებურებებზე, ამიტომაც, საზოგადოებისაგან ადამიანური ყოფიერების შედარებითი დამოკიდებულობის იგნორირება, პიროვნების სპეციფიკის სრული დაყვანა საზოგადოებაზე, რასაც ექსისტენციალისტები და ბურჟუაზიული ფილოსოფიის სხვა წარმომადგენელი მიაწერენ მარქსიზმს, მარქსიზმის ვულგარიზაცია და არა მარქსიზმი.

სხვა საკითხია, რომ საზოგადოებაში ზოგჯერ ადამიანთა ინტერესები ცალმხრივად არის წარმართული, რაც ქმნის პირობებს ადამიანის გაუცხოებისათვის და ძირითადად ასეთი ვითარებაა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. საზოგადოებაში ადამიანთა ინტერესებისა და მიზნების ცალმხრივად წარმართვა კი ამხანაგებს თვით კულტურას, რაც უწინარეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ კულტურა ადამიანის არსებით მისწრაფებებს კი აღარ ემსახურება, არამედ იმას, რაც ამ მისწრაფებათა საშუალება უნდა ყოფილიყო. ეს კრიტიკულად განაწყობს ადამიანებს თვით კულტურისა და, შესაბამისად, საზოგადოების მიმართ.

სწორედ საზოგადოების ინტერესთა ცალმხრივად წარმართვას ასახავს თვალსაზრისი, რომელიც თვლის, რომ კულტურის კომპონენტებიდან უმთავრესია მეცნიერება. რამდენადაც მეცნიერება და მისი მატერიალური გამოხატულება—ტექნიკა წარმოადგენენ მატერიალური სიმდიდრის ზრდის პირობას, ამიტომაც, საზოგადოება, რომელიც მატერიალური ფასეულობის ზრდას აქცევს უმთავრეს ყურადღებას, სულთიერი კულტურის კომპონენტთაგან მხოლოდ მეცნიერებას აფასებს. შესაბამისად, მეცნიერული მოღვაწეობა ითვლება საქმედ, ხოლო კულტურის სხვა სფეროების—ხელოვნების, ზნეობის, ფილოსოფიის და ა. შ. ღირებულება ეჭვის ქვეშ დგება.

ცხადია, მეცნიერებაზე ორიენტაცია კულტურისათვის სრულიად ბუნებრივია, თანაც ჩვენს საუკუნეში, მაგრამ როგორც ვერნერ ჰაიზენბერგი აღნიშნავს სტატიაში „ბუნების ვოეთესეული ხატი და ტექნიკურ-მეცნიერული სამყარო“, რაციონალური ანალიზის სასარგებლოდ არ უნდა „მოვამთოთ“ სინამდვილის წვდომის ყველა დანარჩენი ორგანო... „საჭიროა სინამდვილეს მიეწვდეთ ჩვენს ხელთ არსებული ყველა ორგანოთი და გვეჭროდეს, რომ ეს სინამდვილე მაშინაც უმთავრესს — „ერთს, კეთილს, ქეშმარიტს“ — გამოთახავს“ [8,237].

ამავე სტატიაში, რომელიც სინამდვილის ათვისების მხატვრული და თეორიული ფორმების ურთიერთობის ვოეთესეული გაგების ანალიზს ეძღვნება, ვ. ჰაიზენბერგი ასეთ დასკვნას აკეთებს: „თანამედროვე ბუნებისმეცნიერება... გვაწვდის ცოდნას, რომლის სისწორეც მთლიანობაში ეჭვს არ იწვევს; ტექნიკა კი საშუალებას გვაძლევს ეს ცოდნა შორსმიმავალი მიზნებისთვისაც გამოვიყენოთ. მაგრამ მიღწეული წინსვლა ღირებულების შემცველია თუ არა, ამით ვერ გადაწყდება. ამას გადაწყვეტს ის წარმოდგენები ღირებულების შესახებ, რითაც ხელმძღვანელობენ ადამიანები მიზნის დასახვის დროს. ხოლო ეს წარმოდგენები ღირებულების შესახებ არ მომდინარეობს თვით მეცნიერებიდან“ [8,232].

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, მეცნიერებისა და ტექნიკის უპრეცედენტო განვითარების ეპოქაში, კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთა ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი რაციონალურობის ტენდენცია, ანუ გონების ფეტიშიზაციის ტენდენცია, რაც ხშირად ირაციონალიზმამდე მიდის. ამ პრობლემის საინტერესო ანალიზია მო-

ცემული ფრანკფურტის სოციალური ფილოსოფიის სკოლის წარმომადგენელთა, კერძოდ კი, ამ სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის მაქს ჰორკჰაიმერის ნაშრომებში. ნაშრომში „ინსტრუმენტული გონების კრიტიკისათვის“ მ. ჰორკჰაიმერი ასე მსჯელობს: „თუ წინათ სიკეთის, სამართლიანობის და სხვა იდეების მეტაფიზიკურ ჰიპოსტაზირებას ახდენდნენ, უფრო ხშირად კი ღმერთის ავტორიტეტს ეფუძნებოდა მათი უფლებამოსილება, ახლა როცა ყველაფერი გონების, რაციონალურობის პრინციპს უნდა დაემყაროს, ხოლო რადგან რაციონალურობა სარგებლიანობაზე დაყვანილი, ყველაფერი განიხილება როგორც საშუალება, მიზნების შესახებ კი აღარ იხმის საკითხი. აღარ არსებობს მიზანი თავისთავად; უაზრობად ცხადდება დისკუსია იმის შესახებ, თუ რომელ მიზანს მივაკუთვნოთ უპირატესობა სხვებთან შედარებით. აღარ აინტერესებთ, რა აზრი აქვს იმას, რისთვისაც ესა თუ ის სასარგებლოდ ცხადდება.“ [13,17].

მ. ჰორკჰაიმერის მიხედვით, ასეთ პირობებში იდეები შინაარსს კარგავენ, ისინი ცარიელ ფორმებად, „ნაჭუჭებად“ გვევლინებიან, რომელთა ჭეშმარიტებაზე აღარ ლაპარაკობენ. გონების სუბიექტივაციასთან ერთად, ხდება მისი ფორმალიზაცია, რასაც თავისი შორს მიმავალი თეორიული და პრაქტიკული შედეგები აქვს: ეთიკის ან პოლიტიკის პრინციპები იმის მიხედვით კი არ ფასდებიან, თუ რამდენად შეესაბამებიან ისინი სინამდვილეს, არამედ იმის მიხედვით, თუ რამდენად ეგუებიან ისინი არსებული ცხოვრების წესს. შეგუება, ადაპტაცია რაციონალურობის ერთადერთი საზომი ხდება, იმას კი აღარ იძიებენ, თუ რამდენად არის გამართლებული ის, რისადმი შეგუებულად ან შეუსაბამოდ რაიმეს აცხადებენ“ [13,18—19].

რაც უფრო ფორმალიზებული და ინსტრუმენტალიზებული ხდებიან იდეები, მით უფრო ნაკლებად მოჩანს მათში აზრი საკუთარი მნიშვნელობით. ისინი ისევე განიხილებიან სარგებლიანობის თვალსაზრისით, როგორც ნივთები, მანქანები, რის შედეგადაც ხდება მათი განივება, ავტომატიზაცია, — ამტკიცებს მ. ჰორკჰაიმერი.

კიდევ რა შედეგები მოსდევს გონების ფორმალიზაციას? აყენებს კითხვას მ. ჰორკჰაიმერი და შემდეგნაირად პასუხობს: „სამართლიანობა, თანასწორობა, ბედნიერება, ტოლერანტობა და სხვა მსგავსი იდეებია, რომლებიც წინა საუკუნეებში გონების მიერ იყვნენ სანქციონირებულნი, კარგავენ ვრთი საფუძველს. სამართლიანობა და თავისუფლება რომ უსამართლობასა და ჩაგვრაზე კარგია, ამის მტკიცება ისევეა შეუძლებელი ინსტრუმენტული გონებისათვის, როგორც იმის დაჩემება, რომ წითელი ლურჯზე უფრო მშვენიერია. ასევე უაზრობაა და შეუძლებელი ხდება იმის მტკიცება, რომ ერთი რომელიმე ცხოვრების წესი, რომელიმე რელიგია ან ფილოსოფია უკეთესია მეორეზე, უფრო მაღალია ან ჭეშმარიტი“ [13,32—39].

გონების ამგვარი ინტერპრეტაციის დროს ხელოვნებასაც ეკარგება აზრი, სოციალური შინაარსი. იგი მთლიანად ნეიტრალიზებულია. ჩვეულებრივ, საშუალო მაყურებლისათვის, იმათთვის, ვისთვისაც აზრი დაეკარგა სამართლიანობისა და სხვა იდეებს, გაუგებარი იქნება ბეთჰოვენის „გმირული სიმფონიის“ ობიექტური მნიშვნელობა. ასეთი მსმენელისთვის ეს ნაწარმოები წარმოადგენს პროგრამის კომენტატორის შენიშვნათა ილუსტრაციას, — აღნიშნავს მ. ჰორკჰაიმერი.

მაშასადამე, ხელოვნებაც პოლიტიკისა და რელიგიის მსგავსად, ჭეშმარი-



ტობის საკითხისაგან დაცილებული ხდება, იქცევა ერთ-ერთ ისეთ ნივთად, რომელიც უბრალოდ უნდა ნახო, მოისმინო, წაიკითხო, რამდენადაც რომელიმე სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი ხარ.

გონების ინსტრუმენტულმა გაგებამ, როგორც მ. ჰორკჰაიმერი მიუთითებს, ლოგიკურად გამოიწვია მეცნიერებისადმი ბრმა რწმენა და ფილოსოფიაშიც იმ მიმართულებების საფუძვლები განამტკიცა, რომელიც პოზიტივიზმად იწოდება და, რომლის მიხედვითაც, ფილოსოფია მეცნიერების უბრალო დამატარებელია, მეცნიერების მონაპოვართა უბრალო განმარტებაა. ამით მ. ჰორკჰაიმერი მართებულად მიანიშნებს პოზიტივისტური სციენტისმის ნაკლებზე — მეცნიერების როლის ფეტიშიზაციის ტენდენციასზე.

დაბოლოს, მ. ჰორკჰაიმერის აზრით, გონების ინსტრუმენტული გაგებისათვის ერთი უცნაურობაც არის დამახასიათებელი: რამდენადაც ამგვარი გაგებით, გონებას სუბიექტის მიზნებისათვის საშუალებების შემოთავაზება ევალება მხოლოდ, ის სამყაროს უყურებს როგორც მასალას, რომელიც სუბიექტმა თავისი მიზნების შესაბამისად უნდა დაიმორჩილოს და არა როგორც შემეცნების საგანს. მაგრამ რამდენადაც ინსტრუმენტული გონება აუქმებს იმ ღირებულებებს და იღებს, რომლებიც სუბიექტის ავტონომიის საფუძველს უნდა შეადგენდნენ, ამით ის სუბიექტსაც აუქმებს.

ამდენად, ბუნებაზე სუბიექტის გაბატონების პრინციპიდან ქრება სუბიექტი და ბუნება, — რჩება მხოლოდ ბატონობა. ბატონობა ბატონობისათვის ადამიანის მოქმედების მიზანი ხდება და ეს თვით ადამიანზეც ვრცელდება, რამდენადაც ადამიანის გაბატონება ბუნებაზე, ადამიანის ადამიანზე გაბატონებას უკავშირდება: „ადამიანის მისწრაფებათა ისტორია — დამორჩილოს ბუნება — არის აგრეთვე ადამიანის მიერ ადამიანის დამორჩილების ისტორია“ [13,104].

გონების ინსტრუმენტული გაგება, რაც გონების კრიზისის, მისი წინააღმდეგობების გამოწვევების გამოხატულებაა, მ. ჰორკჰაიმერის მიხედვით, წარმოადგენს ინდივიდისა და ინდივიდუალიზმის კრიზისის გამოხატულებასაც.

ეს ვითარება აქამდე კარგადაა გაცნობიერებული თანამედროვე დასავლეთის საზოგადოებაში, მაგრამ ჰორკჰაიმერის დამსახურება ის არის, რომ მან ერთ-ერთმა პირველმა გაამხვილა ყურადღება ამ საკითხზე. თუმცა კრიზისის სოციალური საფუძვლის ჩვენება ვერ შეძლო და, შესაბამისად, ვერც ამ კრიზისიდან თავის დაღწევის გზა დასახა, ხოლო კრიზისის საფუძვლების მისეული ანალიზი და კრიტიკა აბსტრაქტულია, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია ინსტრუმენტული გონების ჰორკჰაიმერისეული ანალიზი იმ მხრივ, რომ ნათელს ხდის, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს საზოგადოებაში კულტურის უმთავრესად ქონაზე, ფლობაზე ორიენტირებას. რა თქმა უნდა, ქონაზე ორიენტირება უცხო არ არის კულტურისათვის, მაგრამ მხოლოდ ქონაზე ორიენტირება ადამიანს „ზოოლოგიური“ ინდივიდუალიზმისაკენ ეწევა, მაშინ როცა კულტურის ნამდვილი დანიშნულება, როგორც ზემოთ არაერთგზის აღინიშნა, ის არის, რომ ემსახუროდეს ადამიანის არსებით მისწრაფებებსა და მიზნებს: კულტურა ადამიანის გაადამიანების დონეს გამოხატავს. როგორც თ. მანი ამბობს, „კულტურა ადამიანურობის სინონიმია“. ამიტომაც, კულტურისათვის არსებითია ყოფნაზე ორიენტირება. თუ ქონაზე ორიენტირება ადამიანს ფაქტიურად ინდივიდუალიზმისაკენ მიმართავს, ყოფნაზე ორიენტირებული კულტურა ადამიანურობაზე მიმართული.

მ. ჰორკვიმერის მსგავსად, თ. აღორნოც, თანამედროვე ცივილიზაციისა და კულტურის ძირითად ნაკლად მის სციენტისტურ ორიენტაციას მიიჩნევს, რაც თ. აღორნოს აზრით, ინდივიდის თავისუფლების შემზღვეველ მოვლენას წარმოადგენს. სწორედ ინდივიდის თავისუფლების დამაბრკოლებელ ფაქტორად გვევლინება კულტურა იმ თვალსაზრისის მიხედვითაც, რომელიც კულტურას „აფირმატიული“ (დადასტურებითი) ხასიათის მოვლენად თვლის. ასეთი თვალსაზრისი აქვს გამოთქმული ჰ. მარკუზეს, რომლის ძირითად დებულებათა ანალიზი მოცემულია ო. ჯიოევის სტატიაში „კულტურა და საზოგადოებრივი ურთიერთობა“, სადაც აღნიშნულია, რომ ერთი მხრივ, კულტურა როგორც ადამიანის სოციალიზაციის საშუალება, თითქოს საზოგადოების განვითარების ძირითადი ტენდენციების შენარჩუნებას უწყობს ხელს და ამით ის „აფირმატიული“ ხასიათისაა. აქვე ნათქვამია, რომ კ. მარკუზეს მიხედვით, „კულტურა თავის აფირმატიულ როლს იმით ახორციელებს, რომ ქმნის ჰუმანიზმის იდეალს, ადამიანისათვის უმაღლეს მიზნად სახავს მისი უნარების განვითარებას. ამისათვის კი ადამიანს მხოლოდ საკუთარი თავი სჭირდება, იდეალი, რომელსაც კულტურა ქმნის, ცხოვრებას არ ეხება. კულტურა მიზნად ისახავს არა უფრო კარგი სამყაროს, არამედ უფრო კეთილშობილური სამყაროს შექმნას, სამყაროსი, რომელიც მატერიალური ცხოვრების წესის შეცვლით კი არ უნდა შეიქმნას, არამედ ადამიანის სულში უნდა განხორციელდეს. კულტურა ინდივიდს ისე ამბლებს, რომ მას ფაქტიური დამცირებისაგან არ ათავისუფლებს“ [7, 49]. მაგრამ მეორე მხრივ, ჰ. მარკუზეს თვალსაზრისის საფუძვლიანი ანალიზის შედეგად ო. ჯიოევი მართებულად ასკვნის: „კულტურას, მართალია, აქვს რიტუალიზაციის ტენდენცია, მაგრამ კულტურის ნამდვილი მოხმარება შემოქმედებასაც გულისხმობს, ხოლო შემოქმედება არსებულის უარყოფისა და ახლის შექმნის გარეშე შეუძლებელია. ამიტომ კულტურა უფრო ცვლილების ფაქტორია, ვიდრე არსებულის შენარჩუნებისა. კულტურის პროცესი პერმანენტური რევოლუციის პროცესია. კულტურას უფრო ნეგაცია ახასიათებს, ვიდრე აფირმაცია“ [7, 51].

ყოველივე ამის გათვალისწინება აუცილებელია საზოგადოების და, შესაბამისად, კულტურის ნამდვილი განვითარებისათვის. საზოგადოების ინტერესების ცალმხრივად წარმართვა საზიანთა როგორც თვით საზოგადოების, ისე კულტურის განვითარებისათვის. ძირითადად სწორედ ასეთი ვითარებაა თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, სადაც კულტურის ღირებულებათა შემქმნელი გაუცხოებულია ამ ღირებულებათაგან.

სოციალისტური კულტურა ბოლოს უღებს პიროვნების გაუცხოებას მის მიერ შექმნილი ღირებულებებისაგან და ამით უზრუნველყოფს კულტურისა და ჰუმანიზმის ორგანულ ერთიანობას.

ნამდვილი კულტურა შემოქმედებითი ხასიათისაა. ამიტომ კულტურისაგან პიროვნების გაუცხოების გადალახვა, უწინარეს ყოველისა, არის პიროვნების დაკავშირება შემოქმედებასთან, თანაც ისეთ შემოქმედებასთან, რომელიც მოცემული პროფესიის ვიწრო ჩარჩოებით კი არ იქნება განსაზღვრული, არამედ გამსჭვალავს ადამიანური ცხოველქმედების ყველა სფეროს. სწორედ ამის გამო, კულტურის განვითარება აუცილებლობითაა დაკავშირებული დემოკრატიის გაფართოებასთან, საზოგადოების ყველა საქმის მართვაში მასების უშუალო მონაწილეობასთან,—ვინაიდან კულტურა პიროვნებისა და საზოგადოების თავისუფლება-ჰუმანიზაციის დონეს გამოხატავს.

ი. დ. კალანდია

КУЛЬТУРА И СВОБОДА ЧЕЛОВЕКА

Резюме

Культура, с одной стороны, отражает уровень господства человека над природой, т. е. показывает, чего достиг человек в направлении развития науки и техники, а с другой — характеризует уровень гуманизации человеческих отношений, так как, преобразуя природу, человек руководствуется не только практическими потребностями и целями, но и ценностями. В этом смысле культура является процессом реализации ценностей, вследствие чего происходит становление самого создателя и субъекта культуры — человека.

Теоретическое познание, ценностно-нравственное отношение к действительности и художественное творчество представляют собой три основные формы духовного освоения мира человеком. Соответственно — наука, нравственность и искусство — три основных компонента духовной культуры. Именно в этих сферах выявляются и реализуются творческие потенции, сущностные силы человека как свободного и «универсального» существа.

Однако при абсолютизации значения того или иного компонента духовной культуры последняя может стать препятствующим фактором для подлинной свободы человека.

ლ ი ბ მ რ ა ბ უ რ ა

1. ენგელსი ფ. ანტი-დიურინგი, თბ., 1952.
2. ენგელსი ფ. ბუნების დიალექტიკა, თბ., 1950.
3. ბაკრაძე არჩ. შემოქმედებითი აქტივობის როლი ახალი ადამიანის ფორმირებაში. კრებულში: ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხები, ნაწ., VI, თბ., 1979.
4. უაჩიძე თ. ისტორიის ფილოსოფია და ისტორიის საზღვრის პრობლემა. კრებულში: ისტორიული მატერიალიზმის საგნის შესახებ, თბ., 1973.
5. ჭიოჯეი თ. კულტურის პრობლემა მარქსისტულ ფილოსოფიაში. კრებულში: კულტურა და სოციალიზმი, თბ., 1975.
6. ჭიოჯეი თ. კულტურა როგორც შემოქმედება. კრებულში: კულტურა როგორც ფილოსოფიური კვლევის საგანი, თბ., 1977.
7. ჭიოჯეი თ. კულტურა და საზოგადოებრივი ურთიერთობა. მაცნე, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1980, № 2.
8. ჰაიზენბერგი ე. ბუნების ვოთესეული ხატი და ტექნიკურ-მეცნიერული სამყარო. საუნჯე, 1979, № 3. თარგმანი ლ. ნაროუსელიძისა.
9. Маркс К., Энгельс Ф. Соч., т. III, М., 1955.
10. Мегрелидзе К. Р. Основные проблемы социологии мышления. Тб., 1973.
11. Чавчавадзе Н. З. Культура и ценности. В сборнике: Культура в свете философии. Тб., 1979.
12. Heinemann Fritz. Existenzphilosophie lebendig oder tot? Stuttgart, 1971.
13. Horkheimer. M. Zur Kritik der instrumentellen Vernunft. Frankfurt a. M. 1974.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 წევრ-კორესპონდენტმა ნ. ჭეპევაძემ

Ш. Я. КВАРАЦХЕЛИА

(Сухуми)

ОБ ОСОБЕННОСТЯХ ФИЛОСОФСКОГО ЗНАНИЯ¹

Исследование особенностей философского знания, его специфики весьма актуально. Оно имеет большое значение как для адекватного понимания и развития философской мысли, так и для современной идейной борьбы. В этом направлении, однако, исследователь наталкивается на немалые трудности, которые проистекают из сложной природы философии, ее своеобразия. Прежде всего, это — двойственная природа философии, состоящая в том, что философия, с одной стороны, входит в сферу науки, теоретического знания, а с другой стороны, она представляет собой особую, отличную от науки форму общественного сознания; это и невозможность установления истинности философских утверждений каким-либо сравнительно простым способом, и существование наряду с научной марксистско-ленинской философией определенно ненаучных философских учений и т. д.

Сложным характером философии объясняется, в основном, наличие у нас различных точек зрения, в частности, относительно философии в целом. Философия интерпретируется либо как наука, либо как наука и мировоззрение, либо как мировоззрение и т. п. При этом она часто определяется как наука о наиболее общих законах природы, общества и мышления [см., напр., 16, 360]. Такое определение философии справедливо подвергается критике [см. 6, 7—8; 14, 239—240; 18, 147—150] и, главным образом, из-за того, что оно, фактически являющееся определением марксистской философии, экстраполируется на всю философию, на иррационализм, интуитивизм, берклианство и другие ненаучные и антинаучные течения и учения².

Не представляется удачным и тезис: «Философия есть наука и мировоззрение» хотя бы потому, что философия не может в равной мере быть и наукой и мировоззрением. Специфику философии следует усматривать в чем-то одном, наиболее характерном для нее, в том, что является общим для самых различных философских учений, безотносительно к конкретному содержанию их в отдельности.

Таким общим многими исследователями признается мировоззрение. Причем в марксистской философии понимание философии как мировоззрения восходит к основоположникам марксизма. К. Маркс и Ф. Энгельс всегда подчеркивали, что их философское учение, отрицающее традиционное понимание философии как «науки наук», есть

¹ Публикуя статью Ш. Я. Кварцхелиа, редакция приглашает специалистов включиться в дискуссию о специфике философского знания.

² Из специфики отдельного учения исходят многие дефиниции философии; примером этого являются определения философии как учения о «нормативной общеобязательности» в Баденской школе [7, 47], как «универсальной феноменологической оптики» [22, 436], как учения «о целостности бытия» [23, 10] в экзистенциализме, как «деятельности, посредством которой утверждается или объясняется смысл высказывания в неопозитивизме» [27, 8]. Такие дефиниции фактически могут быть определениями лишь соответствующих учений, а не философии в целом.



мировоззрение. Говоря о диалектическом материализме как научном мировоззрении, Ф. Энгельс писал: «Это вообще уже больше не философия, а просто мировоззрение, которое должно найти себе подтверждение и проявить себя не в некоей науке, а в реальных науках» [1, 142].

Для правильного понимания философии как мировоззрения, специфики философского знания необходимо прежде всего учесть то радикальное изменение, которое исторически претерпело понятие науки. До нового времени частнонаучное знание не отделялось четко от философии, составляя вместе с нею одну общую область знания. При этом собственно философия («первая философия», «метафизика») считалась самой глубокой наукой. В Новое время в связи с возникновением экспериментальной науки, добывающей достоверное и точное знание, положение существенно изменилось. Под наукой уже имеется в виду только частнонаучное знание. Философия же, чтобы стать научной, начинает ориентироваться на науку, на ее методы.

Научное знание пользуется общим признанием. Общепризнанность сама по себе, конечно, не является объективным критерием истинности. Однако, когда такого признания нет, когда относительно истинности отдельной мысли имеются разные мнения, нет и полного основания утверждать ни то, что данная мысль истинна, ни то, что она ложна. В науке такое положение, как правило, преодолевается, т. е. устанавливается либо подлинно истинный, либо ложный характер отдельной мысли. Так, общая теория относительности, к которой многие ученые относились скептически, в 1919 г. получила блестящее экспериментальное подтверждение. В философии обычно так не происходит. Философские проблемы преимущественно представляют собой так называемые вечные проблемы, проблемы, вокруг которых как в историческом прошлом, так и теперь нет единого окончательного мнения.

Преимущественно проблемный характер философии в то же время не означает, что в ней нет ничего достоверного, однозначного и в частнонаучном отношении ценного, что философские учения всегда и во всем исключают друг друга, т. е. что философия полностью лишена свойственного науке внутреннего единства. У философии с наукой имеется немало точек соприкосновения, тождественных моментов.

В этом плане обращает на себя внимание то, что в лоне философии зарождаются как идеи, весьма важные с точки зрения частнонаучного знания (Анаксагорова идея гомеомерий, в которой высказана догадка о молекулярной структуре материи, выдвинутая Лейбницем идея относительности пространства и времени, которая предвосхитила один из постулатов теории относительности и др.); так и целые научные системы. Это красноречиво свидетельствует об общей с наукой направленности философского мышления на познание объективной реальности.

Связь философии с наукой весьма рельефно обнаруживается и в методологической функции определенных философских принципов. При чем границы этой функции в современной западной философии несколько раздвигаются. Имеется в виду антипозитивистская в определенных отношениях позиция так называемого постпозитивизма, движения, возникшего в конце 50-х — начале 60-х годов XX века в результате крушения неопозитивизма, его сугубо логицистских моделей научного знания и ложных исходных философских установок. Постпозитивизм

тивизм признает роль философского мировоззрения в научном познании. «Далеко не случайно, — пишет Кун, — что появлению физики Ньютона в XVII веке, а теории относительности и квантовой механики в XX веке предшествовали и сопутствовали фундаментальные философские исследования в современной им научной традиции». [10, 124]. Аналогично рассуждают и другие постпозитивисты. Например, И. Лакатос говорит, что философия «представляет собой существенную часть рациональной реконструкции науки». [11, 225]. Необходимость создания целостного мировоззрения, соответствующего современной науке, подчеркивает и У. Селларс. Он пишет: «Главная стратегия философской деятельности сейчас вновь направлена на создание ясной и интегрированной картины человека-во-вселенной» [26, 172].

Следует, однако, указать, что отношение постпозитивизма к философии не свободно от пороков радикального сциентизма и физикализма³. В нем философия представлена как мировоззрение, формирующееся на базе естественно-научного знания. К. Куайн пишет: «Философия, или то, что предстает передо мной под этим названием, является продолжением науки» [24, 3]. Такая трактовка философии лишает философию ее целостной мировоззренческой специфики, а науку — полнокровной философской методологии. Поэтому, хотя постпозитивисты придерживаются идей историзма в интерпретации науки, им, однако, не удалось решить поставленной перед собой задачи обоснования природы, структуры и динамики научного знания. Отношение к научному знанию лишь тогда может быть специфически философским и эффективным, когда философия не сводится к науке, но ориентируется на духовно-практическую деятельность и когда наука рассматривается в аспекте такой деятельности, на основе разнообразного отношения человека к миру.

Потребность науки в разработке философских проблем подчеркивают и многие выдающиеся ученые. «В наше время, — писал Эйнштейн, — физик вынужден заниматься философскими проблемами в гораздо большей степени, чем это приходилось делать физикам предыдущих поколений. К этому физиков вынуждают трудности их собственной науки» [17, 248]⁴. Правильно указывается, что мировоззренческая позиция ученого не есть нечто внешнее для его творческой работы, что она решающим образом влияет на его общий образ мыслей, его подход к объекту исследования [13, 130].

С наукой философию роднит и то, что в философии не все «вечно», что имеет место окончательное преодоление отдельных философских концепций, представлений как ложных или противоречащих общественному прогрессу.

Следует отметить и то обстоятельство, что не все философские учения отличаются абсолютным единством, строгой последовательностью в интерпретации тех или иных вопросов и, соответственно, полным отрицанием противоположных учений. Отдельные из них в ходе своего разветвления, в силу разных причин, время от времени отходят от своих исходных принципов и выдвигают идеи, которые им чужды, но которые характерны для противоположных учений. В результате имеется некоторое взаимосопадение в целом противоположных друг другу учений. В этой связи совершенно не оправдано доводить до край-

³ Подробно о постпозитивизме см. 14, 15, 16, 17, 18.

⁴ Очевидна ошибочность утверждения, что сегодня имеет место «широко прогрессирующее отчуждение между философией и естественными науками» (25, 153).

ности различие философских концепций, систем, взглядов, в частности, утверждать, что в философии «каждая позиция в определенном вопросе есть дело индивидуального убеждения» [8, 3].

У философии имеются и другие тождественные с наукой стороны, моменты. Однако, на наш взгляд, для нее больше характерны особенности, которые отличают ее от частнонаучной формы знания.

В первую очередь следует указать, что ориентированность философии на науку по существу еще ни о чем не говорит. Философия может ориентироваться на научное знание и в то же время оставаться ненаучной (яркий тому пример — неопозитивизм). Решающее значение в этом отношении имеют исходные принципы философии.

Помимо этого, далеко не вся философия обращается к науке или исключительно к науке. Справедливо указывается, что если специальные научные дисциплины в ходе своего развития все более удаляются от обычного опыта, то философия всегда тесно связана с ним, причем это относится как к материализму, так и к самым абстрактным идеалистическим теориям, которые на первый взгляд совершенно оторваны от земли [26, 190]. Философская мысль выходит и на предельно широкую арену общественной жизни — исследует исторический опыт, что особенно характерно для философии марксизма. Обращение к обычному и историческому опыту вызвано тем, что частные науки не могут дать философии ответа на стоящие перед ней «экзистенциальные» вопросы.

Из сказанного явствует, что в философии нет единства и в методологическом отношении. В частности, идеалистические концепции только дезориентируют научную мысль. Широко известно, например, что именно конвенционалистическая позиция А. Пуанкаре помешала ему создать теорию относительности. Положительную и весьма плодотворную роль в научном познании выполняет учение материализма, в особенности марксистский философский материализм. Когда М. Планк писал, что естествознание не может «обойтись без философии» [15, 199], он имел в виду философию, которая признает объективность реальной действительности и действующих в ней законов.

В пользу отождествления философии с наукой не свидетельствует и зарождение в философии как идей, приобретающих очень важное значение в той или иной отрасли частнонаучного знания, так и наук. В философии такие идеи не получают законченного вида, в частности, не представляют собой научных открытий, в ней их истинность не доказывается. Что касается формирования в философии отдельных наук, то, во-первых, оно осуществляется, по существу, в результате не философского познания, а частнонаучного. Во-вторых, как известно, формирующиеся в философии науки, достигнув определенного уровня зрелости, отделяются от нее, что свидетельствует о значительном их расхождении с философией. Весь этот процесс означает, что философия занимается и такими вопросами, которые могут решаться в частнонаучном плане, однозначно и для которых после такого их решения философия оказывается «чужеродным телом».

Решение в указанном смысле отдельных вопросов, которыми занимается философия, отнюдь не говорит, что предмет философии настолько неопределенный, что, возможно, он вообще является предметом частнонаучного познания, что стало быть, и «вечные» философские проблемы постепенно войдут в компетенцию частных наук и что философия как таковая, как в основном область неоднозначно решаемых проблем, прекратит существование. Такая перспектива нереальна. Нау-

ка с ее специфическими средствами и методами (математический аппарат, эксперимент, искусственный язык и т. п.) в состоянии разрабатывать не предельно общие, собственно философские проблемы, но лишь сравнительно общие, касающиеся сравнительно общих закономерностей и явлений реальной действительности. Так, если физике удалось доказать ошибочность перипатетического положения о том, что все, что движется, движется чем-то другим, то это произошло благодаря тому, что оно касается определенной формы движения, физического движения, а не движения вообще, не движения как изменения вообще. Движение вообще, реальность вообще, познание вообще и другие аналогичные «всеобщие вообще» далеко не во всех своих аспектах могут получить характерное для науки какое-либо одно решение. История философии показывает, что такого рода проблемы всегда ставятся и освещаются в обычном для философии духе: в той или иной степени, по-разному.

Отсутствие внутреннего единства философии наиболее выпукло обнаруживается в противоположности учений⁵. Хотя в отдельных случаях элементы одного учения фигурируют в противоположном ему учении и наоборот, но в конечном счете удельный вес взаимопроникновения учений слишком невелик, чтобы можно было говорить о сколько-нибудь значительном их взаимосовпадении. Наличие же противоположных учений означает, что из каких-либо двух таких учений не могут быть истинными оба.

Существование коренным образом различающихся философских учений имеет разные причины. При этом в рамках философского познания его возможность непосредственно вытекает из того обстоятельства, что истинность философских утверждений, поскольку последние обычно не касаются каких-либо конкретных определенностей, невозможно установить конкретно, способом, не оставляющим места для сомнений. Даже такие положения, как исходные принципы отдельных учений, в истинности которых, казалось бы, никак нельзя усомниться, с точки зрения конкретного, сравнительно простого доказательства не защищены от критики. Это, естественно, составляет почву для возникновения учений, противоположных данным учениям. А так как аргументация учений в той или иной мере уязвима, то их признание или отрицание, закрепление или преодоление в значительной мере обусловливается внепознавательными факторами, в том числе классовыми.

Гносеологические и классовые корни имеются, в частности, у идеализма. Гносеологические корни идеализма состоят в метафизичности и субъективизме. «Прямолинейность и односторонность, деревянность и окостенелость, субъективизм и субъективная слепота voilà⁶ гносеологические корни идеализма», [3,322]—указывал В. И. Ленин. Эти корни идеализма, по существу, имеют отношение к его возникновению; ими не обусловлено существование, тем более долгое, данного ложного учения. Правильно, что никаким внутринаучными моментами нельзя объяснить то, что учение, отправляющееся от неверного исходного пункта, существовало столь долго, укреплялось и оказывало значительное негатив-

⁵ Оно также находит свое отражение в наличии в философии «идиом», т. е. терминов, не переводимых на другие языки без утраты ими своего подлинного значения (напр., греческий термин «логос»).

⁶ Вот.

ное влияние на прогресс общества [4,237]. В существовании идеализма важную роль играют его классовые корни. Идеализм находит питательную среду в конкретных исторических условиях классового антагонистического общества, в которых он в той или иной мере, прямо или косвенно, осознанно или неосознанно стимулируется и закрепляется классовым интересом господствующих классов.

Для понимания философии как мировоззрения представляет интерес и следующее обстоятельство: если научные положения, как правило, излагаются в форме, свободной от сомнения и убеждения, то в философии наличие этих моментов обычное явление. В науке, например, обычны утверждения: «Известно, что все металлы проводники электричества», «Доказано, что скорость света конечна», «Установлено, что народ майя имел высокую культуру», и т. п. Для философии характерны выражения: «Надо полагать, что все явления детерминированы», «С точки зрения Гераклита нельзя войти в одну и ту же реку дважды», «Из концепций возникновения философии, по-видимому, правильной является социогенная концепция» и т. п. Так как такие слова, как «надо полагать», «с точки зрения» и «по-видимому» выражают сомнение, они не используются, когда речь идет о твердо установленном, бесспорном знании. Физики, естественно, не скажут: «Надо полагать, что все металлы — проводники электричества». Это потому, что они вовсе не сомневаются в электропроводности всех металлов.

В философии нередко встречаются утверждения и следующей формы: «Бесспорно, все явления детерминированы», «Конечно, нельзя войти в одну ту же реку дважды», «Из концепций возникновения философии, несомненно, правильной является социогенная концепция» и т. д. Ясно, что такие слова, как «бесспорно», «конечно» и «несомненно» выражают убеждение в истинности тех или иных мыслей. Однако убеждение в гносеологическом плане не намного лучше сомнения; оно не представляет собой надежный показатель истинности. Убеждение имеет скорее психологическое и практическое значение, нежели теоретико-познавательное; фактически, объективно оно не свободно от момента сомнения. Когда мы уверены, что отдельная мысль истинна, у нас нет основания не сомневаться в ее истинности. И не случайно то, что мысли, истинность которых никем не оспаривается и не отрицается, обычно не высказывают в форме убеждения (такие мысли не нуждаются в этом).

Философия представляет собой системы определенных взглядов на мир, на место человека в мире, на субъект-объектное отношение и т. п. При этом философские взгляды, как любые другие, предполагают оценочный момент. Философия не довольствуется твердо установленным знанием, знанием всеобщих закономерностей, конкретной сферы, определенного вида явлений, не останавливается на нем. В соответствии со своим предметом, она ищет в частном и общем всеобщее, то, что должно быть присуще вообще всем явлениям или чрезвычайно широкому их кругу. А вскрытие и осмысление всеобщего есть не только то или иное решение философских проблем, но и формирование оценок, точек зрения.

Этот творческий процесс отличается большой сложностью и понятно, что в ходе его могут быть сделаны как правильные, так и ошибочные выводы, тем более, что мышление философа всегда испытывает то или иное влияние различных нефилософских взглядов. Истинность философских выводов, утверждений проверяется в ходе исторического

развития социально-политической, производственно-материальной и научной деятельности с точки зрения соответствия или несоответствия их социальному и научному прогрессу. Исходя из этого критерия истинности и признается истинность, а также большая плодотворность марксистского философского материализма, ложность и негативная роль идеализма. При этом истинность философских положений может подтверждаться многократно, но никак не окончательно; ввиду этого, философия даже в истинной своей части не перестает быть сферой воззрений. Относительная, неокончательная подтверждаемость, истинности философских положений объясняется их всеобщим и бесконечно развивающимся характером. Будучи всеобщим, они, понятно, не могут подтвердиться окончательно, полностью в пределах того или иного исторического опыта и относительного уровня научных знаний. Кроме того, философские положения формируются в результате анализа данного исторического опыта и данного уровня науки. А это значит, что они должны конкретизироваться от эпохи к эпохе, в связи с новыми этапами в развитии общества и науки. Ф. Энгельс отмечал, что «с каждым составляющим эпоху открытием в естественно-исторической области материализм неизбежно должен изменять свою форму» [2, 286]. Конкретизированные философские положения ставят в порядок дня необходимость проверки их истинности заново.

Ориентированность на науку лишь отдельных философских учений к тому же не всегда полная; «извечное» деление философии на несовместимые учения, наличие в ней сплошь и рядом моментов сомнения и убеждения, признания и отрицания, весьма своеобразный, сложный характер верифицируемости истинности философских утверждений и другие аналогичные особенности философии, несомненно, говорят об ее автономности, о том, что философское знание в конечном счете больше отличается от знания частнонаучного, чем совпадает с ним. При этом, хотя частнонаучное знание обладает рядом достоинств, выгодно отличающих его от философского знания, со своей стороны философия, осмысливая реальную действительность предельно широко, тем самым вводит в орбиту человеческого сознания такие ее характеристики, которые не доступны частнонаучному познанию.

Поэтому не должно вызывать сомнения, что отождествление философии с наукой, рассмотрение ее содержания и значения с точки зрения понятия научности, сформировавшегося в жестких рамках частнонаучного знания, ощутимо затушевывает специфические черты философии, особенно в ее «экзистенциальной» части и сковывает развитие философской мысли. Только на широком социокультурном фоне возможно составить адекватное представление о философии, уловить целостную природу ее как определенного мировоззрения, направить развитие философской мысли в русло осознания эпохи в целом. Таким же образом только различие философии от науки, признание их неоднородности позволяет рассматривать и оценивать друг друга, так сказать, со стороны, дает возможность философии установить место науки в разнокачественной картине мира и ее роль в социальной жизни, а науке брать на вооружение определенные философские идеи в качестве всеобщих направляющих регуляторов своей исследовательской деятельности. При этом взаимоотношение философии и науки, разумеется, не всегда является взаимодополняющим. Характер его, наличие гармонии, отчуждения или противопоставления между философией и наукой находится в прямой зависимости от характера понимания ими своего предмета, своего развития и функционального назначения.

ЛИТЕРАТУРА

1. Маркс К. и Энгельс Ф. Соч. 2-ое изд., т. 20.
2. Маркс К. и Энгельс Ф. Соч., т. 21.
3. Ленин В. И. Полн. собр. соч., т. 29.
4. Алексеев П. В. Предмет, структура и функции диалектического материализма. Изд-во Московского университета, 1978.
5. Баллаева С. Д. К проблеме мировоззрения в современной сциентистской философии, Дж. Смарт и У. Селларс о «научном обзоре мира». «Философские науки», 1978, № 6.
6. Вербин А. В., Ковальзон М. Я. Философия и наука как социальные феномены. В кн. Наука в социальных, гносеологических и ценностных аспектах, М., 1980.
7. Виндельбанд В. Прелюдии. СПб., 1904.
8. Гуссерль Э. Философия как строгая наука. «Логос», кн. I, М., 1911.
9. Дубровский Д. И. Научный материализм и психофизическая проблема. «Философские науки». 1975, № 6.
10. Кун Т. Структура научных революций, М., 1977.
11. Лакатос И. История науки и ее рациональные реконструкции. В кн. Структура и развитие науки. М., 1978.
12. Лекторский В. А., Садовский В. И. Проблема методологии и философии науки. «Вопросы философии», 1980, № 3.
13. Лескер Л. Философско-мировоззренческие и гносеологические аспекты научно-творческого труда. В кн. Социализм и научное творчество, М., 1980.
14. Ойзерман Т. И. Проблемы историко-философской науки. М., 1969.
15. Планк М. Физическая закономерность в свете новых исследований. «Успехи физических наук», 1926, т. 6, вып. 3.
16. Философский словарь. М., 1980, с. 390.
17. Эйнштейн А. Собрание научных трудов, т. IV М., 1967.
18. Юдин Э. Г. Отношение философии и науки как методологическая проблема. В кн. Философия в современном мире..., 1972.
19. Юлиа Н. С. Проблема метафизики в американской философии XX века., М., 1978.
20. Юлиа Н. С. Постпозитивизм и «Новая метафизика». «Вопросы философии», 1974, № 1.
21. Carnap R. Logische Syntax der Sprache. Wien, 1934.
22. Heidegger M. Sein und Zeit. Tübingen, 1957.
23. Jaspers K. Einführung in die Philosophie. München, 1953.
24. Quine W. V. Philosophical Progress in the Language Theory. In: «Language Beliefs and Metaphysics», N. Y., 1979.
25. Ruck K. Erkenntnistheorie als Gemeinschaftsaufgabe von Philosophie und Naturwissenschaft. In: Philosophie Naturalis, 1965, Bd. 9, H. 1—2.
26. Sellars W. Science, Perception and Reality. L.—N. Y., 1963.
27. Schlick M. Die Wende der Philosophie. «Erkenntnis», Bd. I, H. I, 1930—1931.

Представлена Институтом философии
АН Грузинской ССР



პასილ გურგენია

რეალობის პრობლემა ვარძახაძელ ფილოსოფიაში

რეალობის ფილოსოფიური პრობლემა ისევე ძველია, როგორც თვითონ ფილოსოფია. იგი სრულიად აშკარად დადგა ჯერ კიდევ წინასოკრატულ ბერძნულ ფილოსოფიაში (განსაკუთრებით პარმენიდეს შემდეგ) და დღემდე ფილოსოფიის ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემად რჩება. ბუნებრივია რომ ფილოსოფიის მრავალსაუკუნოვანი განვითარების მანძილზე ამ პრობლემის შესახებ ბევრი განსხვავებული თვალსაზრისი წარმოიშვა. ფილოსოფიის ისტორია, როგორც მარქსიზმი გვასწავლის, არის მატერიალიზმისა და იდეალიზმის, დიალექტიკისა და მეტაფიზიკის ბრძოლის ისტორია. ეს ბრძოლა სრულიად ნათლად აისახა რეალობის პრობლემის გადაწყვეტის საკითხშიც.

რეალობის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ და ახლებურად წარმოდგა თანამედროვე ფიზიკური თეორიების და, განსაკუთრებით, კვანტური მექანიკის ჩამოყალიბების შემდეგ, სადაც თავი იჩინა სუბიექტური და ობიექტური მომენტების თავისებურმა თანაფარდობამ შემეცნების პროცესში. რეალობის პრობლემის ეს ახლებური გაგება ვერ თავსდება ძველი წარმოდგენების საზღვრებში და გადაწყვეტისათვის მოითხოვდა ამ წარმოდგენების რადიკალურ გარდაქმნას.

მაგრამ ეს არ ნიშნავდა ძველის მთლიანად უარყოფას. ახლის გაგება მხოლოდ ძველთან შედარების საფუძველზეა შესაძლებელი, ვინაიდან ახალს, როგორც ახალს, ძველთან მიმართებაში აქვს აზრი. ახლის გაგება ნიშნავს იმის გაგებას, რითაც ის არის ახალი ძველთან შედარებით. ახლის ნამდვილი, ღრმა ცოდნა მოითხოვს ძველის ცოდნას (სხვანაირად ისტორიის შესწავლას არ ექნებოდა არავითარი ევრისტიკული ღირებულება აწმყოსათვის). ამიტომ ყველა, ვინც აღნიშნული პრობლემის კვლევას ხელს მოჰკიდებს, ვალდებულია ანგარიში გაუწიოს რეალობის შესახებ განვილილ ეპოქებში ჩამოყალიბებულ თეორიებს.

ცხადია, ყველა ამ შეხედულებათა განხილვა ერთ ნაშრომში შეუძლებელია. ამიტომ ჩვენ მიმოვიხილავთ მხოლოდ ძირითად თვალსაზრისებს რეალობის შესახებ, ვაჩვენებთ მათ დადებითსა და უარყოფით მხარეებს, იმ მიზეზებს, რამაც ამ თვალსაზრისების წარმოშობა ან მარცხი განაპირობა. ეს კი, თავის მხრივ, სამსახურს გაგიწევს რეალობის პრობლემის დიალექტიკურ-მატერიალისტური გადაწყვეტის საკითხში, რაც აგრეთვე თანამედროვე ფილოსოფიური აზროვნების ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს.

რეალობის ცნებას სხვადასხვა აზრით ხმარობენ; ყველაზე ფართო გაგებით იგი ნიშნავს „ნამდვილს“, „არსებულს“. ამ გაგებით რეალური არის ის, რაც ნამდვილია, რაც არსებობს. მიუხედავად ამისა ეს ცნება ყოველდღიურსა და მეცნიერულ აზროვნებაში მანც განსხვავებული აზრით მოიხმარება.

ყოველდღიურ სიტყვახმარებაში იგი აღნიშნავს იმას, რასთანაც ადამიანს საქმი აქვს უშუალო პრაქტიკული მოღვაწეობის პროცესში. რეალობა ამ შემ-



თხვევაში გაიგივებულია უშუალოდ არსებულთან, განხორციელებულთან. შესაბამისად „არარეალური“ ნიშნავს იმას, რაც უშუალოდ არ არის მოცემული, ანუ რაც გრძნობადალქმადი არ არის, ან თუნდაც განუხორციელებადია, რისი განხორციელებისათვისაც ჯერჯერობით არა გვაქვს შესაბამისი პირობები

რეალობის ცნებას ხშირად „მნიშვნელობის“ აზრითაც. ამ გავებით რეალობა უპირისპირდება იმას, რაც უმნიშვნელოა, რასაც ადამიანისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ამასთანავე მნიშვნელობას სრულიად კონკრეტული შინაარსი აქვს; იგი გულისხმობს კონკრეტულ ადამიანს და, კიდევ მეტიც, ადამიანის კონკრეტულ მიზანს, ამის შესაბამისად, რასაც ერთი ადამიანისათვის მნიშვნელობა აქვს, შეიძლება არ ჰქონდეს მნიშვნელობა სხვა ადამიანისათვის; კიდევ მეტიც, ერთი და იგივე რამ ერთსა და იმავე ადამიანისათვის სხვადასხვა დროსა და პირობებში შეიძლება იყოს ან არ იყოს მნიშვნელობის მქონე. რეალობის ასეთ გაგებასთან დაკავშირებით მ. ბორნი წერს: „გლუხის ან ხელოსნის, ვაჭრის ან ბანკირის, სახელმწიფო მოღვაწისა და ჯარისკაცის „რეალობებს“ ცოტა რამ აქვთ საერთო. ყოველი მათგანისათვის ის საგნებია ნამდვილი, რომლებიც დგანან მათი ყურადღების ცენტრში, ამავე დროს სიტყვა „რეალობა“ იხმარება თითქმის როგორც სიტყვა „მნიშვნელოვანის“ სინონიმი“ [5, 269].

მეცნიერული აზრით რეალობა არსებობს ნიშნავს, მიუხედავად იმისა თუ არსებობს რა ფორმასთან გვაქვს საქმე. ამდენად, რეალობის ნიშანი მიეწერება არა მხოლოდ მატერიალურს, არამედ იდეალურსაც. მატერიალური და იდეალური ამ შემთხვევაში გამოდიან როგორც რეალობის ფორმები. (ამის შესახებ ლაპარაკი გვექნება ქვემოთ).

მარქსამდელ ფილოსოფიაში რეალობის ცნების სხვადასხვა გაგებიდან განსაკუთრებით გავრცელებული იყო რეალობის მეტაფიზიკური კონცეფცია, რომელიც რეალურს უწოდებდა ნამდვილს, თავისთავად არსებულს, უპირობოს, ე. ი. აბსოლუტურს, ხოლო რელატიურისა და ცვალებადის რეალობას უარყოფდა.

რეალობის მეტაფიზიკური კონცეფცია სისრულით წარმოსდგა ჯერ კიდევ პარმენიდეს ფილოსოფიაში. ბუნება პარმენიდეს ნიხედვით, რომელიც ცვალებადია და არ არსებობს აუცილებლობით, არარეალურია. „რაც არის ის არის, რაც არ არის, ის არ არის“, — აცხადებს პარმენიდე. მაგრამ რა არის ის, რაც არის? ეს არის ის, რაც აუცილებლობით არსებობს. ასეთია არსი, როგორც ერთადერთი რეალური. მისგან განსხვავდება არარსი, რომელიც არ არსებობს, არ არის რეალური. მაგალითად, ბუნებას არა აქვს ნამდვილი არსებობა, ვინაიდან ცვალებადი და შემთხვევითია. ნამდვილად არსებული მხოლოდ წმინდა არსია. ის არის ჭეშმარიტი სინამდვილე და რეალობის ნიშანიც მხოლოდ მას მიეწერება.

რეალობის სულ სხვა კონცეფცია გვაქვს დემოკრიტეს ატომისტურ ფილოსოფიაში, დემოკრიტე აღიარებს როგორც არსის. ასევე არარსის არსებობას. ამავე დროს არარსის ქვეშ მას არარეალური არ ესმის. არსებობს არა მხოლოდ არსი, არამედ არარსიც, ანუ არსებობს არა მხოლოდ აბსოლუტური, არამედ რელატიურიც. არსებობს რელატიური არარსი. დემოკრიტესთან არარსი არ არის აბსოლუტური არარსი. ის არის პირობა არსის არსებობისა და ამდენად არსებობს, რეალურია. მაგრამ მისი რეალობა (არსებო-

ბა) რელატიურია, რადგან იგი რეალობასთან ერთად არარეალობასაც (არარსი) შეიცავს. იგი არის არარსი ატომების მიმართ; თავისთავად კი არსებულა, არსია. იგი სუბსტანციურობას მოკლებულია. სუბსტანციური არსებობა მხოლოდ არსს (ატომს) მიეწერება. ატომები მხოლოდ არსებობენ და თავისთავში (არც ერთ მიმართებაში) არარსებობას (არარსს) არ შეიცავენ. სწორედ ამიტომ არარსთან შედარებით მათ აბსოლუტური არსებობა გააჩნიათ.

პარმენიდესა და დემოკრიტეს თეალსაზრისების დაპირისპირებულობა რეალობის გაგების საკითხში სრულიად აშკარაა. პარმენიდეს რეალობის ქვეშ მარტოოდენ აბსოლუტური არსი ესმის და, შესაბამისად, არარსის არსებობას (მის რეალობას) უარყოფს. არსებობს მხოლოდ არსი, არარსი კი არ არსებობს. დემოკრიტე კი აღიარებს ორგვარ რეალობას: აბსოლუტურსა და რელატიურს აბსოლუტურ რეალობას ატომები წარმოადგენენ, ისინი არის არსი ანუ აბსოლუტურად არსებული. მაგრამ არსებობს სიცარიელეც, რომელიც თავისთავად აგრეთვე რეალურია (არსებობს), მაგრამ არსის (ატომების) მიმართ არარსებულია (არარეალურია). ამრიგად, სიცარიელეს რელატიური რეალობა მიეწერება. როგორც ვხედავთ რეალობისა და არსებობის ცნებებს (რომლებიც დემოკრიტესთან სინონიმური მნიშვნელობისაა) ძველ ატომისტურ ფილოსოფიაში უზოგადესი მნიშვნელობა აქვთ და მხოლოდ აუცილებლობით არსებული (აბსოლუტური არსით) არ ამოიწურება. ამდენად, დემოკრიტემ ახალი ნაბიჯი გადადგა (პარმენიდესთან შედარებით) რეალობის პრობლემის ისტორიაში.

აბსოლუტური და რელატიური რეალობების ერთმანეთისაგან განსხვავება დემოკრიტეს ფილოსოფიის სხვა სფეროშიც გამოჩნდა; ცნობილია, რომ დემოკრიტე ითვლება ე. წ. პირველადი და მეორადი თვისებების თეორიის წინაპრად. პირველად თვისებებს აბსოლუტური რეალობა მიეწერება; მეორადი თვისებები კი არსებობს მხოლოდ ადამიანის მიმართ, ე. ი. რელატიურია. ამრიგად, ამ შემთხვევაშიც დემოკრიტე აბსოლუტურსა და რელატიურ რეალობას ერთმანეთისაგან განასხვავებს. შეიძლება ითქვას, რომ დემოკრიტე ამის შესაბამისად რეალობის ხარისხებზეც ლაპარაკობდა; ატომები და საგანთა პირველადი თვისებები „უფრო მეტად“ რეალურია, ვიდრე რელატიური რეალობა (სიცარიელე და მეორადი თვისებები). ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ რეალობის ხარისხებად დაყოფაც დემოკრიტეს ფილოსოფიაში იღებს სათავეს.

რეალობის (არსებობის) ხარისხობრივ დაყოფას ადგილი აქვს პლატონთანაც, სადაც ხაზგასმულია განსხვავება ქვეშეშეშე, სუბსტანციალურ არსებობასა და ემპირიულ არსებობას შორის. ეს უკანასკნელი არსებობს იმდენად და მ. შ. რეალურია, რამდენადაც მასში სუბსტანციური არსი (იდეა) მონაწილეობს. ემპირიული რეალობა, რამდენადაც მას არსებობა გააჩნია, რელატიურია, რადგან დამოკიდებულია იდეაზე. ის არაა სრულყოფილი რეალობა, რადგან მასში შერეულია მოძრავი სხვა (მატერია). სრულყოფილობა კი პლატონთან გამოირჩევა მოძრავობას. სრული რეალობა არის ის, რაც საგნებში ინვარიანტულია, თავისთავადი და აბსოლუტური. ასეთია არსი (იდეა) და მ. შ. ისაა უმაღლესი რეალობა.

როგორც ვხედავთ, პლატონი რეალობის საკითხში მტკიცედ დგას იმ ხაზზე, რაც ჯერ კიდევ პარმენიდემ გაკაფა. ამ კონცეფციის თანახმად, ნამდვილი არსებობა (რეალობა) მარტოოდენ აუცილებლობით არსებულს მიეწერება; ასეთი კი არის უცვლელი და მარადიული (იდეები პლატონის ფილოსოფიაში).

მხოლოდ ასეთი რეალობა არის აბსოლუტური არსი, რომელიც აგრეთვე აბსოლუტური (აპოდიქტური) ცოდნის ონტოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს. რაც შეეხება მოძრაებას და ცვალებად არსს (ბუნებას), რომელიც იცვლება იმიტომ, რომ აუცილებლობით არ არსებობს, მას მოჩვენებითი რეალობა გააჩნია; მისი მოჩვენებითობა (და ამდენად არარეალობა) მის ცვალებადობას ნიშნავს. იგი სწორედ ასეთი უნდა იყოს, ვინაიდან აბსოლუტური არსის მიბაძვას წარმოადგენს და მეტს არაფერს.

მეორე მხრივ პლატონი სცილდება პარმენიდეს რეალობის გაგების საკითხში და ნებისთ თუ უნებლიეთ დემოკრიტეს კონცეფციის გავლენას განიცდის. იგი, დემოკრიტეს მსგავსად, არ უარყოფს არარსის არსებობას. ბუნება მოჩვენებაა, აჩრდილია ნამდვილი არსისა, მაგრამ იგი არარსებული როდია. ბუნებაც არსებობს, თუმცა მისი არსებობა პრინციპულად განსხვავდება იდეების არსებობისაგან. ერთი სიტყვით, პლატონი აბსოლუტური და რეალატიური რეალობის განსხვავების თვალსაზრისზე დგას, პირველი იდეებს მიეწერება, როგორც დედანს, მეორე კი — ბუნებას, როგორც ასლსა და მოჩვენებას. არ შეიძლება დავეჭვდეთ იმაში, რომ პლატონი ბუნების რეალობას ამცირებდა; ასევე უეჭველია ისიც, რომ იგი იდეებისა და ბუნების რეალობას ერთმანეთისაგან განასხვავებდა, აბსოლუტურისა და რეალატიურის დიალექტიკა პლატონისათვის შშენივრად ცნობილი იყო. ამის საბუთად შეიძლება მოვიშველიოთ მისი დიალოგები „სოფისტი“ და განსაკუთრებით „პარმენიდე“.

რეალობის პრობლემა კიდევ უფრო განვითარდა და დაიხვეწა არისტოტელეს ფილოსოფიაში. არისტოტელე, როგორც ცნობილია, პლატონთან შედარებით, „ზომიერი რეალისტი“ა, რომელიც რეალობას მიაწერს ზოგადთან ერთად ერთეულსაც, ე. ი. გრძობად-კონკრეტულ სინამდვილეს. ამ სინამდვილეს იგი არ თვლის „მოჩვენებად“, „აჩრდილად“, რაღაც მიღმა არსებული რეალობის „მიბაძვად“. ზოგადი არისტოტელემ ოლიმპოს მთიდან ჩამოაგდო და ერთეულში მოათავსა, რითაც მან ხაზი გაუსვა ბუნების — გრძობად-კონკრეტული სამყაროს — მეტ რეალობას, ვიდრე იგი პლატონთან იყო წარმოდგენილი. ეს იყო დიდი ნაბიჯი რეალობის პრობლემის კვლევის ისტორიაში, რაც არისტოტელეს სახელთან არის დაკავშირებული.

მაგრამ არისტოტელე, ძირითადად, იდეალისტი იყო და თანაც პლატონის მოწაფე. ეს ნიშნავს, რომ მან რეალობის პრობლემა, მიუხედავად დიდი პროგრესისა, მაინც იდეალიზმისა და მეტაფიზიკის პოზიციებიდან გადაწყვიტა. ეს იმაში გამოიხატა, რომ იგი ზოგადს იდეალურად თვლის, რომელსაც უფრო მეტ რეალობას მიაწერს, ვიდრე კონკრეტულსა და გრძობადს; იგი არაერთგზის ლაპარაკობს არსების, სინამდვილის, ფორმის პირველადობის შესახებ შესაძლებლობის, მატერიის (მატერიალურის), შინაარსის მიმართ. რეალობის ხარისხებად დაყოფაში ამ შემთხვევაში არა მარტო მეტაფიზიკა, არამედ იდეალიზმიც იფარება. უმაღლესი რეალობა იდეალურს მიეწერება, თუმცა მატერიალურის რეალობაც არ არის უარყოფილი. ამ რეალობათა საფეხურებრივი (იერარქიული) განლაგება სრულიად შეესაბამება არისტოტელეს განვითარების თეორიას, რომელსაც მთლიანად ტელეოლოგიური ხასითი ჰქონდა; გადასვლა შესაძლებლობიდან სინამდვილეში და საბოლოოდ ნამდვილი სინამდვილისაკენ (ფორმის ფორმა), ზეაღმავალი სვლა იმავე დროს უფრო მაღალი, სრულქმნილი რეალობისაკენ სვლასაც ნიშნავდა არისტოტელეს ფილოსოფიაში.

რეალობის საკითხი განსაკუთრებით მწვავედ იდგა შუა საუკუნეების სკოლასტებთან, რეალისტებისა და ნომინალისტების დისკუსიების დროს.

ქრისტიანული ფილოსოფია, ითვისებს რა პლატონისა და არისტოტელეს ძირითად ხაზს, სრული რეალობის ცნებას იყენებს ღმერთის, როგორც სრული ყოფიერების აღსანიშნავად.

რეალისტების მიხედვით, ზოგადი რეალურად არსებობს და ღმერთს, როგორც უმაღლეს ზოგადობას, უმაღლესი რეალობის სტატუსი ენიჭება. ისინი ღმერთს განიხილავდნენ, როგორც სრულყოფილ, უნაკლო არსებას, რომელიც არ არის დამოკიდებული სხვა არსებულთაგან. ღმერთი თვითონ არის შემოქმედი ყოველი არსებულისა. მხოლოდ ასეთი უნაკლო არსებობა შეიძლება იყოს ხამდვილად რეალური. ყოველი სხვა საგანი, თუ მოვლენა იმდენად არის რეალური, რამდენადაც უმაღლეს რეალობას, ღმერთს ეზიარება, მაგრამ ეინადან მხოლოდ ეზიარება და მეტი არაფერი, ამიტომ ისინი ნაკლოვანი არსებობით ხასიათდებიან, სრული რეალობა არ მიეწერებათ.

ანსელმ კენტრბერიელის მიერ ღმერთის ცნების ონტოლოგიური დასაბუთებაც რეალიზმის პრინციპებიდან ამოდის და მიდის დებულებამდე, რომ თუ რაიმე გონებით არის მოაზრებული, იგი სინამდვილეშიც არსებობს და მაშასადამე, რეალურია.

რეალიზმის პრინციპებს და კერძოდ მათ მიერ ზოგადი ცნების გაგებას დაუპირისპირდნენ ნომინალისტები. მათ არ სწამდათ ზოგადობას რეალური და სუბსტანციური არსებობა. რეალობის ნიშანი, მათი აზრით, მარტოოდენ ერთეულს მიეწერება, ხოლო ზოგადი არ არსებობს; იგი ცარიელი სიტყვაა, სახელია და მეტი არაფერი. ერთეულის ქვეშ ისინი უპირატესად გრძნობად-კონკრეტულ რეალობას გულისხმობდნენ. აქედან გამომდინარეობს, რომ რეალობის ნიშანი ნომინალიზმში მარტოოდენ გრძნობად-კონკრეტულ რეალობას მიეწერება და ზოგადის რეალობა უარყოფილია. რეალობის ცნების ამგვარ გაგებასთან არის დაკავშირებული ნომინალისტური კონცეფციის მატერიალისტური ელფერი, რაზეც კ. მარქსი მიუთითებდა.

ცნობილი კამათი ნომინალიზმსა და რეალიზმს შორის შუა საუკუნეებში, რომელიც არსებითად მატერიალიზმისა და იდეალიზმის ბრძოლის გამოხატულება იყო, უპირატესად რეალობის ცნების გარშემო წარმოებდა. რეალობის ნიშანი ზოგადს მიეწერება თუ ერთეულს? ამ კითხვაზე რეალისტები პასუხს იძლეოდნენ ზოგადის სასარგებლოდ, ნომინალისტები კი, პირიქით, რეალობის ნიშანს მარტოოდენ ერთეულს მიაწერდნენ.

რეალობის ხარისხებზე მსჯელობა და საერთოდ, სხვადასხვა ფორმის რეალობის არსებობის იდეა კიდევ უფრო განვითარებული სახით წარმოსდგა ახალ ფილოსოფიაში. დეკარტსთან, როგორც დეკარტსთან, რეალობა ორი დამოუკიდებელი ფორმითაა მოცემული, ამიტომ მათი არსებობის კრიტერიუმებიც განსხვავებული უნდა იყოს. დეკარტეს არსებობა აზროვნებიდან გამოჰყავს (Cogito, ergo, sum) და, მაშასადამე, არსებობის კრიტერიუმად აზროვნებას თვლის. ეს, ცხადია, შეეხება მხოლოდ მოაზროვნე არსების არსებობას ან, თუ გნებავთ, იდეალურის არსებობას; ხოლო მატერიალურის არსებობის კრიტერიუმად იგივე, ცხადია, არ გამოდგება. ამავე დროს დეკარტე, როგორც დეკარტისტი, იდეალური სუბსტანციის გვერდით მატერიალური (განფენილი) სუბსტანციის არსებობასაც აღიარებს. გაიგოვა რა, მატერიალური და განფენილი ერთმანეთთან, დეკარტე, როგორც რაციონალისტი, ცდილობს მატერიალური

სუბსტანციის და, საერთოდ, მატერიალურის გამოყვანას რაციონალიზმის გზით. ასეთ გამოსავლად მას განფენილის ცნება მიაჩნია, განფენილობა კი მატერიალურთან არის გაიგივებული. ამრიგად, დეკარტემ რაციონალიზმის პოზიციებიდან მიიღო იდეალურისაგან განსხვავებული მატერიალური რეალობის ცნება. დეკარტე არ აზნობს, მაგრამ მისი მეტაფიზიკური კონცეფციიდან უშუალოდ გამომდინარეობს იდეალური და მატერიალური რეალობის ხარისხების არსებობა; მართალია, იგი დუალისტიკა, მაგრამ მატერიალური რეალობა მაინც წარმოდგენილი აქვს როგორც უფრო დაბალი დონის, დაბალი ხარისხის რეალობა.

მატერიალურ სამყაროში სიცხადე და თვალსაჩინოება მდგომარეობს იმაში, რომ მატერიას მიეწერება მხოლოდ განფენილობა. საგანი მაშინ ხდება წმინდა აზრის ობიექტი, თუ აზრი მიმართულია ობიექტის წმინდა ვრცეულობრივ ყოფიერებაზე. ამ წმინდა ყოფიერებაში საგანთა რეალობა, მათი ინდივიდუალური არსებობა, განპირობებულია მოძრაობით. მოძრაობა ანიჭებს საგნებს გრძობად-აღქმად თვისებებს. მ. შ. მოძრაობა არის საგანთა რეალობის, მათი ყოფიერების კრიტერიუმი. ის, ასე ვთქვათ, გამოყოფს ცალკეულ საგნებს განფენილი მატერიისაგან. როგორც ვხედავთ, დეკარტე თვითონ მატერიალური სუბსტანციის სფეროშიც კი ერთმანეთისაგან განასხვავებს მატერიის რეალობას და ცალკეული მატერიალური საგნების რეალობას.

აქაც გარკვეულ ასახვას პოულობს ჯერ კიდევ ანტიკურ ფილოსოფიაში ცნობილი თეზისი: იდეალური და მატერიალური რეალობების უძრავობისა (მარადიულობა) და მოძრაობის ნიშნებით დაყოფა.

დეკარტეს შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ მან თავიდანვე ერთმანეთს მოწყვიტა ორი რეალობა, სული და მატერია ბუნებრივად ვერ დააკავშირა, რისთვისაც ღმერთის ცნება მოიშველია. „მხოლოდ ღმერთის ყოფიერება არის დეკარტესათვის სამყაროს არსებობის სრული გარანტია“ — წერს ასმუხი [3,92].

სული და მატერია, დეკარტეს აზრით, დამოუკიდებელი სუბსტანციებია, მაგრამ, გარკვეული აზრით, ისინი ერთმანეთს განსაზღვრავენ და ამიტომ სისრულით არ ხასიათდებიან. ამავე დროს არასირულის იდეა გულისხმობს თავის საპირისპირო სრულყოფას, რომელიც ყოველივე არსებულის საბოლოო კრიტერიუმს წარმოადგენს. ეს კრიტერიუმიცაა ღმერთი; იგი როგორც სრულქმნილი, არსებობს, ვინაიდან სრულქმნილების ცნებაში არსებობაც აუცილებლად იგულისხმება. ამავე დროს, როგორც სრულქმნილი და აუცილებელი არსებობა, იგი უმაღლესი რეალობის გამოხატულებაა, ხოლო სული და მატერია ნაკლებ რეალობას წარმოადგენენ.

ღმერთი, როგორც უმაღლესი სუბსტანცია მეტ რეალობას უნდა შეეცუდეს, ვიდრე ის საგნები და მოვლენები, რომლებიც მის საფუძველზე აიხსნებიან. რეალობის ხარისხებზე („მეტე“ და „ნაკლები“) ლაპარაკი დეკარტეს ფილოსოფიის ერთ-ერთი ცენტრალური ნაწილია.

შეიძლება ითქვას, რომ ღმერთი დეკარტეს ფილოსოფიაში დუალიზმს კი ვერ ხსნის, არამედ სწორედ მას ინარჩუნებს. ორი განსხვავებული სუბსტანციის — სულისა და მატერიის — ურთიერთობაში ღმერთი სულიერ ანუ იდეალურ არსებას წარმოადგენს და, მამასადაამე, პრინციპულად გამორიცხავს მატერიალურ სუბსტანციას. ამრიგად, მატერიალურისა და იდეალურის დუალიზმი ძალაში რჩება. მაგრამ ასეთი ვაგება სწორი არ იქნება, ვინაიდან ღმერთ-

თი, დეკარტეს მიხედვით, მატერიალური და სულიერი სუბსტანციებისაგან განსხვავებით, აბსოლუტურად უსასრულო არსებაა. ეს ნიშნავს, რომ დეკარტეს გათვალისწინებული ჰქონდა დუალისტური კონცეფციის ეს სიძნელე, რომლის ახსნას ცდილობდა, თუმცა მან ეს ვერ შეძლო.

დუალიზმის მოხსნის უფრო სერიოზული ცდა მოცემულია სპინოზას ფილოსოფიაში. ის, რაც დეკარტესთან სუბსტანციებად იყო მიჩნეული (განფენილობა და აზროვნება, მატერიალური და იდეალური) სპინოზამ გაიგო როგორც ერთიანი სუბსტანციის ატრიბუტები და, მისადავად, ისინი სუბსტანციას დაუმორჩილა.

სუბსტანცია სპინოზას ფილოსოფიაში, გარკვეული აზრით, გამოდის როგორც მატერიალურსა და იდეალურზე მალა მდგომი და მათი გამაერთიანებელი რამ. სუბსტანციის ბუნების ამგვარი გაგება საფუძვლად დაედო სპინოზას ფილოსოფიის მატერიალისტურსა და იდეალისტურ ინტერპრეტაციებს.

იმ ცნობილ აზრს, რომ ჰემმარიტი რეალობის ძირითად ნიშანს სრულქმნილება წარმოადგენს, სპინოზა იზიარებს. სუბსტანციის დახასიათება უსასრულო რიცხვის ატრიბუტებით, სწორედ მის სრულყოფილებას გამოხატავს. სრულყოფილება არსებობასაც შეიცავს, მას როგორც სრულყოფილს არც არსებობა აკლია. იგი, როგორც უსასრულო ატრიბუტების მქონე უსასრულოა, ამიტომ მას არაფერი არ განსაზღვრავს; საკუთარი ბუნებითაა განსაზღვრული და ამიტომ თვითმიზეზია, რომლის არსება და არსებობა ერთმანეთს ემთხვევა.

ასეთ სრულყოფილ არსებობას მიეწერება უმაღლესი რეალობა. მაგრამ სუბსტანცია არ არის ერთადერთი რეალური. არსებობენ მოდუსებიც, რომლებიც სუბსტანციის გამოვლინებებს წარმოადგენენ; ისინი არიან წარმოებულ ბუნება, სუბსტანცია კი მწარმოებელი ბუნებაა.

სპინოზა, რომელიც ტრადიციულ მეტაფიზიკიურ კონცეფციას ვერ გასცილდა, უთუოდ თვლიდა რომ სუბსტანცია მეტ რეალობას შეიცავს, ვიდრე მოდუსები; მწარმოებელი ბუნება უფრო მეტი რეალობის შემცველია, ვიდრე წარმოებელი. იგი პირდაპირ ამბობს, რომ საგანს რეალობის ხარისხი მით უფრო მეტი აქვს, რაც უფრო მეტი ატრიბუტი გააჩნია (თეორემა 9); აქედან გამომდინარეობს, რომ უსასრულოდ მრავალი ატრიბუტით დახასიათებული სუბსტანცია, უმაღლესი რეალობაა. ამ შემთხვევაში სპინოზა ასე თუ ისე ხარკს უზღის საშუალო საუქუნეების სქოლასტიკურ ფილოსოფიას, რომელიც რეალობის ხარისხებზე ლაპარაკობდა.

სუბსტანცია აწარმოებს, ქმნის მოდუსებს, მაგრამ ეს „წარმოება“ არ არის დროული პროცესი. ეს იმას ნიშნავს, რომ ბუნება არის არა სუბსტანციის „შემდეგ“, არამედ მასთან ერთადაა. მათ შორის არ არის დროული დამოკიდებულება. წინააღმდეგ შემთხვევაში სუბსტანცია იქნებოდა ბუნების გარეშე, რაც გაუგებარს გახდიდა განფენილობის დახასიათებას სუბსტანციის ატრიბუტით. ბუნება ამ შემთხვევაში „წარმოებული ბუნების“ აზრით იხმარება. საერთოდ კი ბუნებასა და სუბსტანციას სპინოზა ერთმანეთთან აიგივებს (deus sive natura). მან ბუნებას ყოველისშემძლეობა მიაწერა და, ცხადია, ამით მან იგი ღმერთთან გააიგივა.

მ. შ. ერთ შემთხვევაში ბუნება სუბსტანციაა, ხოლო მეორეში მოდუსები. აქაც ადგილი აქვს რეალობის ხარისხებად დაყოფას. როგორც ითქვა, რეალობის უმაღლესი ხარისხი სუბსტანციას მიეწერება.

ისმის საკითხი: როგორ არსებობენ ატრიბუტები, როგორია მათი ბუნება? რა სახის რეალობა მიეწერება მათ?

პასუხი ამ კითხვაზე მოცემული აქვს პროფ. კ. ბაქრაძეს, მისი აზრით, ატრიბუტებს არ გააჩნიათ რეალობის ისეთი ფორმა (არსებობა), როგორიც სუბსტანციასა და მოდუსებს. ატრიბუტი საშუალებაა, ან გზა და წესი, რომლითაც სუბსტანცია გამოვლინდება მოდუსებში [1,185].

ატრიბუტი არის სუბსტანციის არსება და ცხადია, მას სუბსტანციის გარეშე არსებობა (და რეალობა) არ გააჩნია.

სუბსტანცია გამოვლინდება ხან როგორც ცნობიერება და ხან როგორც განფენილობა. გამოვლენილი ცნობიერება და განფენილობა უკვე მოდუსებია, როგორც კონკრეტული არსებული. ისინი ერთმანეთზე არ მოქმედებენ, ერთმანეთს არ იწვევენ, არ განსაზღვრავენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, წესრიგი რეალობის ერთ სფეროში შეესაბამება წესრიგს მეორეში. სწორედ ამიტომა შესაძლებელი რეალობის შემეცნება.

როგორაა შესაძლებელი ეს შესაბამისობა?

სპინოზასთან რეალობის ეს ორი ფორმა: აზროვნება და განფენილობა გარკვეული აზრით ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია, მაგრამ როგორც ერთი სუბსტანციის ატრიბუტები, მათ შორის რაღაც საერთო კანონზომიერებაცაა. ამის გარეშე ისინი ერთი და იმავე სუბსტანციის ატრიბუტები არ იქნებოდნენ. სწორედ ამიტომ ეს ერთნაირი წესრიგი განპირობებულია საერთო კანონზომიერების არსებობით. მათ ერთი საფუძველი აქვთ, რაც შესაძლებელს ხდის ცნობიერების მიერ, მისგან დამოუკიდებელი განფენილი რეალობის შემეცნებას.

იდეათა წესრიგი საგანთა წესრიგს ასახავს, მაგრამ როგორც ყველა რაციონალისტთან, აქაც იდეები საგნებიდან არ-მომდინარეობს. ისინი ჭეშმარიტი არიან ობიექტთან მიმართების გარეშე. იდეებს გონება ქმნის ცხადი (ინტუიციური) დებულებიდან დედუქციის გზით, ხოლო მათი კავშირი საგნებთან სუბსტანციით არის განსაზღვრული. შემეცნების წყარო მხოლოდ გონებაა. იგი უშუალოდ ასახავს ობიექტურ რეალობას.

დეკარტესთან შეპირისპირებაში საინტერესოა ისიც, რომ სპინოზას რეალობის ცნება აზროვნებიდან არ გამოჰყავს, თუმცა ისიც ისევე რაციონალისტია, როგორც დეკარტი. „საგანთა რიგისა“ და „იდეათა რიგის“ შესაბამისობა სპინოზას ფილოსოფიაში არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს პირველის გამოყვანას მეორისაგან. სპინოზა ასეთ გამოყვანას ვერც დაუშვებდა, ვინაიდან განფენილობა (მატერიალობა) და იდეალური მან სუბსტანციის ატრიბუტებად გამოაცხადა და, მაშასადამე, მათ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არსებობა ზიკუთვნა. ამ დამოუკიდებლობის მიუხედავად ამ ორი რიგის ერთმანეთთან შესაბამისობას უზრუნველყოფს სწორედ ის, რომ განფენილობა და აზროვნება ერთი და იმავე სუბსტანციის გამოვლინებანია და, მაშასადამე, ერთი ძირი გააჩნიათ, სპინოზა, როგორც ჭეხდავთ, აქაც დამოუკიდებელი გზით წავიდა. მან მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ დეკარტესთან შედარებით რეალობის მეცნიერულ-ლოგიკური გაგების მიმართულებით, მაგრამ ტრადიციული მეტაფიზიკური თვალსაზრისი რეალობის შესახებ მაინც ვერ დაძლია. მან დაუშვა რეალობის ხარისხების არსებობა, ხოლო უმაღლეს რეალობად აბსოლუტური არსება (სუბსტანცია) გამოაცხადა.

მატერიალური და იდეალური რეალობის დაკავშირების ორიგინალური ცდა რაციონალიზმის ნიადაგზე მოგვეცა ლიბნიცმა. იგი უარყოფს მატერიალური სუბსტანციის არსებობას და თვლის, რომ მატერიას თვითონ არა აქვს შინაგანი ძალა და გარკვეულობა; ბუნება არ არის თავისთავადი რეალობა, თვითმიზიზი, თუმცა იგი გარკვეულ რეალობას წარმოადგენს. ბუნების რეალობის საფუძველი სხვაშია, სახელდობრ ღვთაებრივ სუბსტანციაშია.

როგორია სუბსტანციური რეალობა?

ლიბნიცი პლურალისტიკა; იგი აღიარებს მრავალი სუბსტანციის (მონადეების) არსებობას, რომლებსაც, ცხადია, რეალობად თვლის. ისინი არიან სულიერი სუბსტანციები, ძალები და, მაშასადამე, იდეალური რეალობანი.

ამასთანავე, იგი არც მონიზმის პრინციპს ღალატობს, ვინაიდან ცენტრალური მონადა არის ღმერთი, როგორც უმაღლესი რეალობა. აქაც რეალობის გარკვეული ხარისხები გვაქვს, ვინაიდან თვითონ მონადებს შორისაც ხარისხობრივი განსხვავებაა.

მრავალ სუბსტანციურ რეალობათა განსხვავება, ანუ გარკვეულობა მისი ამგვარად არსებობის ფაქტით დასტურდება. საგანთა გარკვეული არსებობაც სუბსტანციურია, იგი არსებობის თანახმობას ნიშნავს. ვინაიდან გარკვეულად არსებობის გარდა სხვა არსებობა არ არის, ამიტომ ეს გარკვეულობა განუყოფელია. გარკვეულობა, რომ გაყოფადი იყოს, მაშინ სუბსტანციურ რეალობას გარკვეულობა დაეკარგებოდა და ბუნების საგანთა განსხვავების პრინციპიც აღარ გვექნებოდა, რასაც შედეგად ის მოჰყვებოდა, რომ მათ რეალობასაც ვეღარ დავადგენდით.

ლიბნიცს შემოაქვს მონადის, როგორც სულიერი ატომის ცნება. მონადა სულიერი რეალობაა, ის წარმოდგენაა, ყველაფერი მონადებისაგან შედგება. არსებობენ სხვადასხვა მონადები, სხვადასხვა ხარისხის წარმოდგენები. ბნელი და ბუნდოვანი წარმოდგენები მატერიად გვეჩვენება. მაგრამ მონადა თუნდაც ბუნდოვანი, სულიერია, ამიტომ სული და მატერია პრინციპულად ერთმანეთისაგან არ განსხვავდება. აქ გვაქვს ობიექტური იდეალიზმისათვის დამახასიათებელი არსისა და აზრის იგივეობის პრინციპი. ამ იგივეობის დონეები იმავე დროს რეალობის ხარისხებს გამოხატავს.

მაგრამ ისმის საკითხი: ასეთ შემთხვევაში რაღა საჭიროა პრესტაბილუარი ჰარმონია, რომელიც ღმერთის მიერ არის დადგენილი?

საქმე იმაშია, რომ მონადები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან წარმოდგენის ხარისხით. ამიტომ ყველა ისინი გარკვეული ინდივიდია. მართალია, ისინი ყველა წარმოდგენებია და მ. შ. სულიერია, მაგრამ ისინი ჩაკეტილი არიან თავისთავში და ბუნებრივი კავშირი მათ შორის არ არსებობს („მონადებს არა აქვთ ფანჯრები“). სწორედ ამ კავშირის დამყარება მოითხოვს ლიბნიცთან ღმერთის მიერ წინასწარ მოწყობილ ჰარმონიას. ეს ჰარმონია დამყარებულია არა მხოლოდ სულიერ და „მატერიალურ“ მონადებს შორის, არამედ საერთოდ ყველა მონადას შორის. მთელი სამყარო უმაღლესი გონების მიერ მოწყობილებული რეალობაა.

როგორც ვხედავთ, რეალობის ხარისხებად დაყოფას ლიბნიცთანაც აქვს ადგილი. ლიბნიცი, როგორც რაციონალისტი, აუცილებელ ჭეშმარიტებად მხოლოდ გონების ჭეშმარიტებას აცხადებს, ფაქტის ჭეშმარიტება კი, რომელიც გრძობაზეა დამყარებული, შემთხვევითია; ამიტომ მისი შესაბამისი რეალობაც დაბალი ხარისხისაა. უმაღლესი რეალობა აუცილებელი ჭეშმარიტების

შესაბამის ნათელ და გარკვეულ მონადებს მიეწერება და, მაშასადამე, რეალობის კრიტერიუმიც, სიცხადე და გარკვეულობაა, აუცილებლობაა.

მაშასადამე აქაც, ისევე როგორც ძველ მოაზროვნეებთან ერთადერთ ნამდვილ რეალობად აღიარებულა აუცილებელი, აბსოლუტური რეალობა.

უდავოა, რომ ამ მეტაფიზიკურ მოძღვრებათა ძირითადი შეცდომა არის გრძნობადი ცდის იგნორირება და სინამდვილის მხოლოდ დელუქციის გზით, აპრიორული შემეცნება. იგი ლოგიკისაგან უფრო მეტს მოითხოვს, ვიდრე მას შეუძლია მოგვეცეს. რეალობის შესახებ ცოდნას თვით რეალობისაგან დამოუკიდებლად, ლოგიკურად ადგენს, ხოლო შემდეგ მათი შესაბამისობის დადგენისათვის იძულებულია ღმერთს ან პრესტაბელურ ჰარმონიას მიმართოს. ამიტომ ისეთი კრიტერიუმები როგორცაა სრულყოფილობა, აუცილებლობა, სიცხადე, გარკვეულობა და სხვა, რეალობის ცნებას ვერ დაადგენენ, რის გამოც ცოდნისა და საგნის თანხმობის პრობლემაც გადაუწყვეტელი რჩება.

ეს მეტაფიზიკური ფილოსოფია, რომლის ობიექტს მიღმა არსებული, დაუკვირვებელი არსი წარმოადგენდა, უარყოფილ იქნა კანტის მიერ.

კანტმა შეცვალა ფილოსოფიის საგანი და კვლევის ობიექტად შემეცნების შესაძლებლობა და მისი საზღვრების დადგენა აქცია. იგი უარყოფს რა გრძნობადი საწყაროს მიღმა გონების მიერ რეალობის ძიებას, წერს, რომ გონება „ამაოდ შლის თავის ფრთებს, რათა მხოლოდ სპეკულაციის ძალით გავიდეს გრძნობადად აღქმადი საწყაროს ფარგლებს გარეთ“ [7, 516]. ამიტომ კანტი რეალობას ემპირიული სინამდვილით შემოსაზღვრავს, ხოლო მისი არსებობის პირობებს ადამიანის გონების ემპირიულ ფორმებში აღმოაჩენს. კანტის აზრით, კატეგორიები მხოლოდ შესაძლებელი ცდის საგნებზე ვრცელდებიან და მის მიღმა გასვლით კარგავენ ყოველგვარ მნიშვნელობას, რის გამოც შემეცნებას ხელს კი არ უწყობენ, არამედ ბირიქით, ხელს უშლიან.

მიუხედავად ამისა, კანტმა მეტაფიზიკა ბოლომდე ვერ დაძლია. მართალია, მან უარყო ზეგრძნობადი არსის შემეცნება, მაგრამ არა მისი რეალობა. მისი საგანი თავისთავად ასეთი შეუმეცნებელი რეალობაა. იგი ეძებს ამ უკანასკნელის აუცილებლობის პირობებს და რადგან ეს პირობები ცდამი არ არის, მას აპრიორულად აცხადებს. შემეცნება მოწყვეტილი ობიექტსა და ყოფიერების საფუძველს, თვითონ თავის თავში შეიცავს ამ უკანასკნელს. კანტი ებრძვის მეტაფიზიკას, მაგრამ აღიარებს რა საგანს თავისთავად და შემეცნების აპრიორულ ფორმებს (რაც მეტაფიზიკისათვის ზეგრძნობადის წვდომის საშუალებებს წარმოადგენდა), გარკვეულ ხარკსაც უხდის მას.

მეტაფიზიკურ თვალსაზრისს რეალობის შესახებ ვერ ასცდა ისეთი დიდი დიალექტიკოსიც, როგორც იყო ჰეგელი. იგი ერთმანეთისაგან განასხვავებს სინამდვილეს და არსებობას. ეს უკანასკნელი პირველზე უფრო ფართოა; „სინამდვილე არის არსისა და არსებობის ერთიანობა“ [6, 171]. სხვანაირად ეს არის არსებობა, რომელიც გამოხატავს არსებას. აქ არა გვაქვს დაპირისპირება გონებით მისაწვდომ და ემპირიულ არსებობას შორის.

სინამდვილე და არსებობა ჰეგელმა ერთმანეთს მოწყვიტა, ე. ი. სინამდვილე არსებობაზე ძალა დააყენა და ამით ტრადიციულ მეტაფიზიკურ თვალსაზრისს გამოეხმალა.

ჰეგელი სინამდვილეს განიხილავს როგორც გონებით მისაწვდომი არსისა და ემპირიულად შემეცნებადი ქვეყნის სინთეზს, საიდანაც გამოდის ნამდვილისა და გონიერის განუყოფლობა. მაგრამ იდეალისტი ჰეგელისათვის, რომ-

ლისთვისაც ემპირიული რეალობა აბსოლუტური სულის სხვადაყოფნაა, სინამდვილის (რეალობის) ცნება არ ემთხვევა „არსებობას“. არსებობა მოიცავს ყველა გონიერ, თუ არა გონიერ მოვლენებს, სინამდვილე კი არის ის, რაც გონიერია.

სინამდვილის განვითარების პროცესში ცალკეული არსებული ხდება არ-არსებითი, შემთხვევითი, არაგონიერი და მ. შ. არანამდვილი. თუმცა ისინი არსებობას განაგრძობენ. ასეთი არსებობა გონიერი არსებობის სხვადაყოფნა და ნაკლებ რეალობას შეიცავს.

ფილოსოფიის ისტორიაში რაციონალიზმის საპირისპირო პოზიციები რეალობის შესახებ ეჭირა ემპირიზმს.

ყველაფერი, რაც არსებობს, ღირსია შემეცნებისა — ამბობს ბეკონი, რომელიც ახალ დროში ემპირისტული ფილოსოფიის მამამთავარია. ბეკონი არსებობასა და რეალობას ერთმანეთისაგან არ განასხვავებს. ის, რაც არსებობს, იმავე დროს რეალურია. ბუნება რეალობაა, ხოლო ცოდნა არის მასზე უშუალო დაკვირვების შედეგი.

ემპირიზმის მიხედვით, გონების მიერ შექმნილი აბსტრაქციებითა და სილოგიზმებით ჭეშმარიტი ცოდნის მიღწევა შეუძლებელია, ამიტომ, რაციონალიზმის საწინააღმდეგოდ, ცოდნის ერთადერთ წყაროდ იგი ცდას ასახელებს. მართალია, შეგერძნებები ზოგჯერ გვაძლენენ და არ გვაძლენენ რეალობის შესახებ სწორ წარმოდგენას, მაგრამ, ბეკონის მიხედვით, ისინი წარმოადგენენ შემეცნების მხოლოდ წყაროს და არ იძლევიან საგანთა არსების ცოდნას.

ამ უქანაყნელის მისაღწევად საჭიროა ისეთი მეთოდი, რომლითაც შესაძლებელი გახდება დაკვირვების შედეგების განზოგადება. ასეთია ინდუქციური მეთოდი.

ბეკონთან, დეკარტეს მსგავსად, მეთოდის პრობლემა ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა.

თავისებურად ესმის რეალობის პრობლემა ჰობსს. მისი აზრით, რეალურია ის, რისი აგებაც (კონსტრუქცია) შესაძლებელია; ასეთია სხეული; ე. ი. რეალობა არის სხეულები და მათგან შედგენილი ბუნება. ჰობსი აღიარებს ობიექტურ რეალობას, მაგრამ, ვინაიდან, როგორც ითქვა, იგი რეალურად თვლის იმას, რისი კონსტრუქციაც შესაძლებელია, ამიტომ დედუქციურ (მათემატიკურ) მეთოდს უპირატესობა ენიჭება ინდუქციურ მეთოდთან შედარებით.

აქ იგრძნობა რაციონალიზმის გავლენა ჰობსის ნააზრევზე, მაგრამ იგი ცდილობს ეს გავლენა შეუსაბამოს ბეკონიდან მომდინარე ემპირიზმს. მისთვის, აზროვნება არ არის რეალობის საბუთი. მათემატიკური მეთოდის უპირატესობა მხოლოდ შემეცნების წესის უპირატესობაში მდგომარეობს და, რაციონალიზმის მსგავსად, არ გულისხმობს მასში რეალობის, როგორც არსებულის დადგენას.

ემპირიზმისათვის დამახასიათებელია ის, რომ იგი თავს ანებებს სამყაროს არსების კვლევას და მთელ ყურადღებას გნოსეოლოგიისაკენ მიმართავს. ემპირიზმი გნოსეოლოგიური თეორიაა. იგი ცოდნის ერთადერთ წყაროდ ცდას მიიჩნევს; ლოკი, უარყოფს რა თანდაყოლილ იდეებს, გონებას წარმოადგენს სუფთა დაფად, რომელზედაც შეგერძნებები „წერენ“. ცდაში მოცემული რეალობა ობიექტური რეალობაა და სწორედ ისაა წყარო იდეებისა.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ცდაში მოცემული რეალობა ანუ ემპირიული რეალობა ყოველთვის არ ნიშნავს ობიექტურ რეალობას, ამიტომ საკითხი ისმის ემპირიული რეალობის, როგორც ცდაში მოცემულობის ბუნების შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ არსებობს იგი.

პასუხი ამ კითხვაზე დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ გავიგებთ ცდის შინაარსს. სწორედ „ცდის ცნების განმარტება ყოფდა კლასიკურ მატერიალისტებს და იდეალისტებს“ ერთმანეთისაგან, — წერდა ვ. ი. ლენინი, [2. 153].

მიუხედავად იმისა, რომ ლოკი მატერიალისტია, ცდის ორგვარი გაგება თავის ამოსავალს სწორედ მასთან ლეზულობს, ერთ შემთხვევაში ცდის შინაარსი მისთვის ობიექტურია. ცდა ობიექტური რეალობის ასახვას წარმოადგის იქნურ პროცესებს (შინაგანი ცდა). მიუხედავად იმისა, რომ შინაგანი ცდა, არის საშუალება სინამდვილის შემეცნებისა (გარეგანი ცდა). მაგრამ მეორე შემთხვევაში ცდა არის ჩვენი უნარი, ვაკვირდებოდეთ ჩვენშივე მიმდინარე ფსიქიურ პროცესებს (შინაგანი ცდა), მიუხედავად იმისა, რომ შინაგანი ცდა, მხოლოდ გარეგანი ცდის საფუძველზეა შესაძლებელი, იგი მაინც დამოუკიდებელ რეალობას წარმოადგენს. ცდის ასეთი გაგება ნიადგაჲ ქმნის იდეალისტური ემპირიზმის ჩამოყალიბებისათვის, რომლისთვისაც რეალობა თვითონ ცდა და იგია შემეცნების საგანიც. მაგალითად, ბერკლისათვის ცდა მატერიალგან მოწყვეტილი სუბიექტის შეგრძნებებია, რომელიც დამოუკიდებელ რეალობას წარმოადგენს; პირველადი სუბიექტის ცნობიერება და ამიტომ რეალობა მხოლოდ ის, რაც მოცემულია ინდივიდის ცნობიერების სფეროში. ცოდნა სუბიექტის საკუთრებაა და რეალობაც მისი ნაწარმოებია.

ბერკლისთან გრძნობადი საგანი არ განსხვავდება მისი აღქმისაგან, ამიტომ რაიმე არსებობს და რეალობა იმდენად, რამდენადაც სუბიექტი აღიქვამს მას. აღქმის გარეშე არ არსებობს რეალობა. „მე გხედავ ამ ალუბალს, — წერს ბერკლი, — მე ვგრძნობ მის გემოს, მე ვსინჯავ მას; და მე დარწმუნებული ვარ, რომ არ შეიძლება არსებული არ დაინახო, არ იგრძნო, არ გასინჯო, მ. შ. იგი რეალობა“ [4, 345].

აქედან ნათლად ჩანს, რომ „არსებობა უდრის აღქმას“ და ისაა რეალობის კრიტერიუმიც.

ბერკლი, როგორც იდეალისტური ემპირიზმის წარმომადგენელი, ცდას შეგრძნებებითა და აღქმებით შემოსაზღვრავს, რის გამოც რეალობას მხოლოდ იდეალურს შიადწერს, ობიექტური, მატერიალური სამყარო კი, უარყოფილია და მატერია, როგორც ზოგადი, სუბსტანცია, უაზრო ცნებად არის გამოცხადებული.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ რეალობის ცნების ბერკლისეული გაგება (დაკვირვებადობა — რეალობის კრიტერიუმი) საფუძველად დაედო რეალობის ცნების პოზიტივისტურსა და ნეოპოზიტივისტურ გაგებას.

ბერკლისაგან სათავეს იღებს იდეალისტური ემპირიზმის მეორე კლასიკური წარმომადგენელი იუმი, მაგრამ მისგან განსხვავებით, იგი უარყოფს სუბსტანციის ცნებას, სულერთია მატერიალური იქნება ის, თუ იდეალური.

მეტაფიზიკური ფილოსოფია ზეგრძნობადი არსის (სუბსტანციის) დაშვების ლოკიკურ აუცილებლობაზე ლაპარაკობდა. გრძნობადი სინამდვილე, ამ ტიპის მოაზროვნეების მიხედვით, ზეგრძნობადი სინამდვილის არსებობას ამტკიცებს, მაგრამ ამტკიცებს არა ემპირიულად, არამედ ლოკიკურად.

იუმმა უზაროდ მიიჩნია ასეთი მსჯელობები და მათი შესაბამისი ობიექტიც, რითაც უარყოფილ იქნა ზეგრძნობადი, იდეალური არსი, ანუ სუბსტანცია.

რაც შეეხება მატერიალური სამყაროს არსებობის საკითხს, იგი იუმნისათვის, ისევე როგორც ბერკლისათვის, უზარო საკითხია, ვინაიდან ცდა მის შესახებ არაფერს გვეუბნება. სამყარო მხოლოდ გრძნობადი მონაცემებია და მის გარეთ გასვლა არ შეგვიძლია, მისი წვდომა შეუძლებელია. საკითხი შეგრძნებათა გამოწვევი მიზეზების შესახებ მასთან მოხსნილია. „გონებას არასოდეს გააჩნია უშუალოდ მოცემული ნივთები, გარდა აღქმისა და მას არ შეუძლია განახორციელოს ცდა აღქმებისა და ობიექტების მიმართებაზე. ამიტომ დაშვება ასეთი მიმართებების შესახებ მოკლებულია ყოველგვარ ლოგიკურ საფუძველს“ [8, 63].

გარეგანი სამყაროს შესახებ შეიძლება გვექონდეს მხოლოდ რწმენა და არა ცოდნა. მისი არსებობის შესახებ აღქმა არაფერს რა გვეუბნება, ხოლო აღქმის გარეშე ჩვენ არაფერი არ ვიცით, ამიტომ საკითხის დასვა ობიექტური რეალობის შესახებ არამართებულია, მეტაფიზიკური საკითხია.

ცოდნის ამოსავალი იუმთან, ისევე როგორც ბერკლისთან, არის ცდა (აღქმა), მაგრამ მათ შორის განსხვავებაცაა. ბერკლი მსჯელობს საგანთა არსებობის შესახებ (თუმცა საგნების ქვეშ გრძნობადი აღქმების კომპლექსს გულისხმობს). მის წინაშე დგას საგანთა რაობის საკითხი. პასუხი სუბიექტურ-იდეალისტურია: საგანი არის შეგრძნებათა კომპლექსი. საგანი შეგრძნებებთან არის გაიგივებული და ობიექტურად არ არსებობს, ამდენად რეალობის საკითხი ბერკლისთან არ არის უსაზრისო საკითხი. მასთან უარყოფილია არა საკითხი რეალობის შესახებ, არამედ ობიექტური რეალობა.

რაც შეეხება იუმს, მას აინტერესებს არა საგანთა არსებობა (ე. ი. როგორ არსებობენ ისინი, მათი არსება მატერიალურია თუ იდეალური), არამედ თვით არსებობის ცოდნა. როცა საგანს აღვიქვამთ, ამით მის არსებობას კი არ ვადგენთ, არამედ ცოდნას მის შესახებ. ამიტომ აღქმა არაფერს ისეთს არ შეიცავს, რაც მიგვანიშნებდეს საგანთა ბუნების შესახებ. აღქმაში აუცილებლობა არ გვეძლევა და, მაშასადამე, აღქმულის საწინაღმდეგო ყოველთვის შესაძლებელია.

იუმი ვერ ხედავს საფუძველს საგანთა ფაქტიური არსებობის მტკიცებისათვის, რის გამოც აზრი ეკარგება ობიექტური რეალობისა და, მაშასადამე, მატერიალური სუბსტანციის ცნებასაც.

როგორც ვხედავთ, თუ მეტაფიზიკური რაციონალიზმი უმალღეს რეალობად რაღაც ზეგრძნობად, აბსოლუტურ არსს მიიჩნევდა და უარყოფდა თვალხილულ, გრძნობად ქვეყნიერების ასეთსავე რეალობად არსებობას, ემპირიზმისათვის კი, პირიქით, რეალობაზე შესაძლებელია მსჯელობა ცდაში მოცემულობის საფუძველზე, ხოლო ტრანსცენდენტური, მეტაფიზიკური რეალობის შესახებ საკითხი მოხსნილია.

ამ აზრით, ემპირიზმი ანტიმეტაფიზიკური თეორიაა, თუმცა საბოლოოდ იგი მაინც თავს ვერ აღწევს მეტაფიზიკას და ცნობიერად თუ არაცნობიერად კვლავ მის პოზიციებზე დგება.

კლასიკური ფილოსოფიის მეტაფიზიკური ხასიათი განსაკუთრებით იმაში გამოვლინდა, რომ იგი ერთმანეთისაგან წყვეტდა არსებობასა და რეალობას, რეალობად თვლიდა არა ყოველგვარ არსებულს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ



„ქეშმარიტად“, აუცილებლობით არსებულს და, მაშასადამე, უარყოფდა რეალისა ტიურისა და შემთხვევითის რეალობას. აქედან ისიც გამომდინარეობდა, რომ თითქოს არსებობს რეალობის ხარისხები, რაც მეტაფიზიკოს მოაზროვნეთა შორის გავრცელებული თვალსაზრისი იყო.

В. С. ГУРГЕНИДЗЕ

ПРОБЛЕМА РЕАЛЬНОСТИ В ДОМАРКСИСТСКОЙ ФИЛОСОФИИ

Резюме

В работе рассматривается проблема реальности в истории философии. Показаны недостатки и достоинства различных философских теорий в понимании реальности. Основное положение, которое доказывается, состоит в том, что домарксистская философия не сумела дать истинного решения проблемы реальности. Марксистское решение этой проблемы имеет методологическое значение в современной научной картине мира.

ლიტერატურა

1. ბაქრაძე კ. ახალი ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1969.
2. Ленин В. И. Полное собрание сочинений, т. 18.
3. Асмус В. Ф. Декарт, М., 1956.
4. Беркли Дж. Сочинения, М., 1978.
5. Борн М. Физика в жизни моего поколения, М., 1963.
6. Гегель. Наука логики, т. 2, М., 1971.
7. Кант И. Сочинения, т. 3, М., 1964.
8. Юм Д. Исследование о человеческом познании. Сочинения, т. 2, М., 1965.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა

ფსიქოლოგია

რეზ. ლევიძე

იძულებითი ჰეტეროგენული მოტივების გავლენა მოსწავლეთა აზროვნებაზე

სასწავლო ქცევა, გარდა საკუთარი, ჰომოგენური მოტივებისა, შეიძლება აღიძრას ისეთი მოტივების საფუძველზე, რომლებსაც თავისი შინაარსით, არაფერი აქვთ საერთო სასწავლო ქცევის საგანთან. ასეთ მოტივებს ფსიქოლოგიაში გარეგანი, ჰეტეროგენული ეწოდებათ.

ჰეტეროგენული მოტივები ორ მთავარ — თავისუფალი და იძულებითი ჰეტეროგენული მოტივების ჯგუფად არიან დაყოფილი.

ჰეტეროგენული მოტივების საფუძველზე აღძრული სწავლა იმდენადაა მნიშვნელოვანი სუბიექტისათვის, რამდენადაც იგი ხდება საშუალება გარკვეული მიზნის მიღწევისათვის. თვითონ სწავლითი ქცევის პროდუქტს გარკვეული ცოდნა-ჩვევის შექმნა წარმოადგენს, მაგრამ ამ დროს სუბიექტი ცოდნა-ჩვევის შექმნით კი არაა დაინტერესებული, არამედ რაღაც სხვა რაიმეს მიღწევით. სწავლა კი ამ სხვა რაღაცის მიღწევას ემსახურება.

როგორც ვხედავთ, ჰეტეროგენული მოტივებით აღძრული სწავლა ცნობიერია. ამ დროს მიზანიც, ამ მიზნის მიღწევის საშუალებებიც და თვითონ ქცევის მნიშვნელობაც სწავლის სუბიექტისათვის გაცნობიერებულია და იგი შეგნებულად აწარმოებს სასწავლო აქტივობას.

პედაგოგიურ პროცესში ჰეტეროგენული მოტივების გამოყენებას დიდი მნიშვნელობა გააჩნია. მართალია, ის სწავლას მისაღები, რომელიც ცოდნის შექმნის მოტივის დონეზე მიმდინარეობს, მაგრამ მოსწავლეს ამ უკანასკნელის საფუძველზე სასწავლო აქტივობათა ხანგრძლივად განხორციელება არ შეუძლია. სასწავლო ქცევაში თუ არ ჩაერია რაიმე დამატებითი, გარეგანი მოტივი, ისე მოსწავლე წყვეტს მის განხორციელებას. ამიტომ მოსწავლეებს უფრო მეტად უნდა ჰქონდეს მზად ჰეტეროგენულ მოტივთა მთელი სისტემა, რომელიც დახმარებას გაუწევს მას პედაგოგიური პროცესის მაღალ დონეზე განხორციელებაში და მოსწავლეთა სასწავლო აქტივობის გაძლიერებაში.

უნდა აღვნიშნოთ ის, რომ ზოგიერთი ჰეტეროგენული მოტივი სასწავლო ქცევის დეზორგანიზაციას იწვევს. ეს მოტივის სიძლიერებზეა დამოკიდებული და ამ როლში შეიძლება გამოვიდეს როგორც თავისუფალი ისე იძულებითი ჰეტეროგენული მოტივები. აქედან გამომდინარე, პედაგოგიური ფსიქოლოგიის ამოცანას წარმოადგენს ექსპერიმენტულად შეისწავლოს ჰეტეროგენული მოტივების სასწავლო ქცევაზე გავლენის საკითხი და მიაწოდოს პედაგოგებს მეცნიერულად დასაბუთებული მოტივთა სისტემა. სწორედ ამ შემთხვევაში გახდება იგი მოსწავლეების ხელში მძლავრა იარაღი მოსწავლეთა სასწავლო აქტივობის წარმატებითი მართვისათვის.

სწავლა რთული ქცევაა და მასში მრავალი ფსიქიკური ფუნქცია მონაწილეობს. მაგრამ სწავლის დროს რომელიმე ფსიქიკური ფუნქცია კი არ სწავლობს, არამედ პიროვნება. ამდენად, როცა მოტივაციური ფაქტორის სწავლა-



ზე გავლენის შესახებ ვლაპარაკობთ, ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს არა იმ ფაქტორის სასწავლო ქცევაში შემავალ ფუნქციებზე გავლენის საკითხი, არამედ მთლიან პიროვნებაზე მისი ზემოქმედების პროცესი. ამ დროს მთლიანი პიროვნების აქტივობის ამაღლება-დაცემა ს შეიძლება ჰქონდეს ადგილი და სწორედ ეს უკანასკნელი ჰპოვებს თავის ასახვას სწავლაში შემავალ ფსიქიკური ფუნქციების აქტივობისა და პროდუქტიულობის გადიდება-შემცირებაში. ვინაიდან საბოლოო გამოი ფსიქიკურ ფუნქციებში მომხდარი ცვლილებები გამოდიან მოტივის პიროვნებისათვის მნიშვნელობის დამდგენის როლში, ამდენადაა მიზანშეწონილი, ვილაპარაკოთ მოტივაციური ფაქტორების რომელიმე ფსიქიკურ ფუნქციაზე გავლენის შესახებ.

რაც შეეხება წინამდებარე ნაშრომს, მისი მიზანია ექსპერიმენტულად გამოიკვლიოს იძულებითი ჰეტეროგენული მოტივების გავლენა მოსწავლეთა აზროვნებაზე.

იძულებითი ჰეტეროგენული მოტივები გარეგანი იძულებით უკავშირდება მოზარდის რომელიმე ძირითად მოთხოვნილებას, მაგ., რაიმე სასჯელისაგან თავდაცვის მოთხოვნილებას. როგორც შ. ჩხარტიშვილი აღნიშნავს, სწავლა და თავდაცვის მოთხოვნილება, რომელიც ზოგჯერ მისი ჰეტეროგენული მოტივი ხდება, შინაგან კავშირში არაა ერთმანეთთან. სწავლასთან დაკავშირებულია პრესტიჟის მოთხოვნილება. სწავლა ამ უკანასკნელის მოპოვების ყველაზე საიმედო გზაა მოსწავლეთათვის. ამიტომაც, რომ როცა მოტივაციურ სტრუქტურაში პრესტიჟის მოთხოვნილებას მთავარი ადგილი უჭირავს, იგი დიდი ენერგიით აზორციელებს სასწავლო აქტივობას¹.

პრესტიჟის მოთხოვნილება თავისუფალ ჰეტეროგენულ მოტივს წარმოადგენს და იგი მოსწავლის საკუთარი მოტივაციური სტრუქტურიდან გამომდინარეობს. რაც შეეხება იძულებით მოტივებს, იგი სასჯელის მოლოდინის შიშს იწვევს მოსწავლეში. ამიტომ თავისუფალი ჰეტეროგენული მოტივები თუ დადებით ფონს ქმნის სასწავლო აქტივობისათვის, იძულებითი, შიშის გრძობის გამო, შესაძლებელია, უარყოფით გავლენას ახდენდეს მასზე.

ჩვენს მიერ ადრე ჩატარებულმა ექსპერიმენტულმა გამოკვლევებმა დაადასტურა ზემოთ გამოთქმული დებულების სისწორე თავისუფალი ჰეტეროგენული მოტივების შესახებ: ეს მოტივები იწვევენ მოსწავლეთა აზროვნების სწორი მიმართულებით ორგანიზებას და მისი პროდუქტიულობის გაზრდას. რა გავლენას ახდენს იძულებითი მოტივები მოსწავლეთა აზროვნებაზე, ამაზე წარმოდგენას შეგვიქმნის ჩვენს მიერ ამ მიმართულებით ჩატარებული ექსპერიმენტული შედეგების განხილვა.

იძულებითი ჰეტეროგენული მოტივების სახით ჩვენს მიერ გამოყენებული იყო სკოლის მთელი კოლექტივის წინაშე გაიცხვა და სკოლიდან გარიცხვა. ამაზე უფრო კონკრეტულ წარმოდგენას იმ ინსტრუქციათა განხილვა მოგვცემს, რომლებიც მოსწავლეებს ეძლეოდათ ცდების დაწყების წინ და რომლებიც ფაქტიურად მოტივაციურ ფაქტორებს წარმოადგენენ. ინსტრუქციები შემდეგი შინაარსისაა:

მოსწავლეებს ვუცხადებთ, რომ „მე სკოლაში გარკვეული მიზნით ვარ მოსული. ღირექცისათან შეთანხმებით დღეს, გაკვეთილების შემდეგ გაიმარ-

¹ შ. ჩხარტიშვილი, სწავლის მოტივაციური ფორმები, ეურ. „სკოლა და ცხოვრება“, 1975, № 12.

თება მთელი სკოლის კოლექტივის შეკრება. მას დაესწრება ყველა მოსწავლე, მასწავლებლები და მოსწავლეთა მშობლები. ბავშვებო! მე თქვენ რაღაც დაეალებას მოგცემთ, ვინც ამ დაეალებას ვერ შეასრულებს, მას დღეს გამართულ კრებაზე გამოვიყვანთ და საჭაროდ გავკიცხავთ მთელი სკოლის წინაშე. რა თქმა უნდა, ეს მის შერცხვენას გამოიწვევს და გაუფუჭებს მას ავტორიტეტს ყველას თვალში. თუ არ გინდათ რომ ასე მოხდეს, მაშინ ეს დაეალება სწორად გამოკეთეთ“

რაც შეეხება სკოლიდან გარიცხვის ინსტრუქციას — შემდეგი სახისა იყო: „ბავშვებო! მე დაეალებული მაქვს გამოვარკვიო ის ბავშვები, რომლებიც სკოლაში სწავლის ღირსნი არ არიან. საჭიროა ასეთი ბავშვები სკოლიდან გარიცხოს. ასეთი ბავშვების გამოსამჟღავნებლად რაღაც დაეალებას მოგცემთ. ვინც ამ დაეალებას ვერ გააკეთებს სწორად, ის გარიცხული იქნება სკოლიდან. ე. ი. თქვენი სკოლიდან გარიცხვა ამ დაეალების შესრულებაზე დამოკიდებული და შეეცადეთ, რომ ის სწორად გააკეთოთ“.

ორივე მოტივაციური ფაქტორი საკმაოდ ძლიერ სასჯელს წარმოადგენს, რასაც კიდევ უფრო აძლიერებდა ჩვენს მიერ მკაცრი გამომეტყველების მიღება და მასწავლებლების დასტური მიცემულ ინსტრუქციებზე.

ზაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ გარიცხვის მოტივი მეორე კლასის მოსწავლეებთან, ყველას მიერ არ იქნა სერიოზულად მიღებული. მაგრამ ამ არასერიაზულობის მოხსნაში დიდი დახმარება გავიწვია ერთმა შემთხვევამ. ერთ-ერთმა გოგონამ განაცხადა: „მე სკოლაში სიარული არ მინდა. აქ ბევრ დაეალებებს გვაძლევინო“. მაშინ მას წინადადება მივეცით დაეტოვებინა სკოლა და თავი გარიცხულად ჩაეთვალა. იმ წუთსვე გადათქვა მან თავისი სიტყვა და ამის შემყურე სხვა ბავშვებმაც მიიღეს სერიოზული მდგომარეობა. კიდევ უფრო მეტიც. ამის შემდეგ შეიქმნა მათთან დაძაბული სიტუაცია, რაზეც შედეგების განხილვის დროს გვექნება საუბარი.

რაც შეეხება დაეალებას, რომელიც სასჯელის აცილების საშუალებას წარმოადგენს, ანაგრამებია. ანაგრამები წარმოადგენს ბგერების ან მარცვლების გარკვეულ გროვას, რომელთა გადაადგილებით შესაძლებელია აზრიანი სიტყვების მიღება. ალბათ ზედმეტი იქნება იმის თქმა, რომ აქ საქმე გვაქვს აზროვნების სინთეზურ მუშაობასთან. ამდენად, შესაძლებელია, ვილაპარაკოთ სასჯელის სინთეზურ აზროვნებაზე გავლენის შესახებაც.

ანაგრამები შედგენილია აზრიანი სიტყვების დაშლით, გარკვეული წესის მიხედვით. ანაგრამაში, რომლებიც ასოებისაგან არის შედგენილი, ერთი და იგივე ასო არ მეორდება და ეს ასოები არეული წესით არიან მოცემული მასში. პირველი პირობა აღარაა დატული მარცვლებისაგან შედგენილ ანაგრამებში. მართალია, ამ უკანასკნელში, მარცვლების განმეორებას არ აქვს ადგილი. მაგრამ თვითონ ცალკეულ მარცვლებში ერთი და იგივე ასო კი მეორდება. უფრო ნათელი სურათის შესაქმნელად მოვიტანოთ ის ანაგრამები, რომლებიც დიკ ეძღოდათ ბავშვებს დაეალების სახით (ერთმანეთისაგან გადაწერის თვიდან აცილების მიზნით, ანაგრამები ორ რიგად იქნა მიწოდებული).

I რიგი

II რიგი

- | | |
|--------------------------|------------------------------|
| 1. ო — დ — ა — ი — რ | 1. ე — რ — ა — კ — ს |
| 2. ვ — ი — რ — უ — ლ — ე | 2. ნ — ი — ლ — ა — თ — ე — ს |
| 3. ტე — გა — ლი — ხი | 3. ბე — გა — ლი — რი |

5. „მაინე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1981, № 2

ანაგრაძეები მიღებულია შემდეგი აზრიანი სიტყვების დაშლით: პირველ რიგში — 1. რადიო, 2. რვეული და 3. გატეხილი. მეორე რიგში — 1. სარკე, 2. სინათლე და 3. გაბერილი. მაგრამ ბავშვები ახერხებდნენ ზემოთ აღნიშნული სიტყვებისაგან განსხვავებული სიტყვების შედგენას. ეს განსაკუთრებით ითქმის, ორივე რიგში, მეორე ანაგრაძეზე. მაგ., პირველ რიგში, სიტყვა „რვეული“-ს მაგივრად ბავშვები ხშირად სიტყვა „ველური“-ს ადგენდნენ. მეორე რიგში კი სიტყვა „სინათლე“-ს მაგივრად ვხვდებით სიტყვა „სანთელი“-ს შედგენის ფაქტებსაც. ორივე შემთხვევაში პასუხები სწორია და დავალება ზუსტადაა შესრულებული.

ანაგრაძეების შედგენის პირობა შემდეგი იყო: თითოეული ანაგრაძისაგან უნდა შეედგინათ თითო სიტყვა ისე, რომ ამ სიტყვაში გამოყენებული ყოფილიყო ანაგრაძეაში მოცემული ყველა ასო ან მარცვალი. არც დამატება და არც გამოკლება არ შეიძლებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მუშაობა შეცდომად ჩაითვლებოდა და შეპირებულ სასჯელსაც დაიმსახურებდნენ.

ვინაიდან ჩვენი ამოცანაა, შევისწავლოთ აღნიშნული მოტივაციური ფაქტორების (გარიცხვა, გაეცხვა) აზროვნებაზე გავლენა, ამის გასაკეთებლად საჭირო შეიქნა საკონტროლო ჯგუფის შედგენა.

საკონტროლო ჯგუფის წევრები ზემოთ აღწერილ დავალებას ასრულებდნენ ყოველგვარი დამატებითი მოტივაციური ფაქტორების ჩარევის გარეშე. ნოსწავლეებს ვუცხადებთ, რომ: „მე რალაც საქმე მაქვს გასარკვევი მათ მასწავლებელთან. ამის გამო მასწავლებელს აღარ ეცლება გაკვეთილის ჩასატარებლად. თქვენ უსაქმოდ რომ არ დარჩეთ და არ იხმაუროთ, ამისათვის დავალებას მოგცემთ და სანამ მე და თქვენი მასწავლებელი ერთმანეთთან ვისაუბრებთ, თქვენ ამ დავალების შესრულებაზე იმუშავეთ. დავალება საინტერესოა და ვინების ვარჯიშს მოითხოვს. ეს დავალება ჩემს მიერ მოცემულ ფურცლებზე შესრულეთ. ფურცლები თქვენთან დარჩება და იგი გინდათ სახლში წაიღეთ, გინდათ გადაადგეთ. ასე, რომ თქვენ მიერ შესრულებულ სამუშაოს არავინ: არც მე და არც თქვენი მასწავლებელი არ შეამოწმებს. არც არავინ დაგსჯით და არც არავინ შეგაქებთ ამისათვის“.

რა თქმა უნდა, მოსწავლეებს ეკრძალებოდათ ამ ხნის განმავლობაში სხვა რაიმე საქმიანობა. მათ მხოლოდ მიცემულ დავალებაზე უნდა ემუშავათ (მოსწავლეებს მიცემული ფურცლები ცდების დამთავრების შემდეგ ერთმეოდათ ჩვენს მიერ. ინსტრუქციაში მოცემული პირობის შესრულების შემთხვევაში, ვერ გავიგებდით ცდების შედეგებს და ამდენად, სასჯელის გავლენით მიღებული შედეგების შედარება საკონტროლო ჯგუფის მონაცემებთან შეუძლებელი იქნებოდა).

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში, მოსწავლეები გარკვეულ აქტივობას ინიტოვებენ კი არ მიმართავენ, რომ მისი საშუალებით რაიმე ჯილდო დაიმსახურონ ან სასჯელი აიშორონ თავიდან. არა. ამ დროს მათი აზრობრივი აქტივობის აღმძვრელია შემეცნებითი ინტერესი. რაც შეეხება მოტივაციურ ჯგუფებს, იქ იგივე დავალება სასჯელის აშორების საშუალების როლში გამოდის და ამდენად, იგი ამ მიმართულებით მიმართავს მთელ თავის აქტივობას.

ცდების სიტუაციების აღწერის შემდეგ მიზანშეწონილად მიგვაჩნია იმ მოვლენებისა და შედეგების აღწერა, რაც თავს იჩენდა ცდების დაწყების წინ და მის შემდეგ.

ცდების შედეგების თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზი

ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღო დაწყებითი კლასების პირველი და მეორე კლასის მოსწავლეებმა. თითოეულ კლასში შექმნილი იყო ორი საექსპერიმენტო ჯგუფი: საკონტროლო და მოტივირებული. უკანასკნელი ორ ჯგუფს შეიცავდა: ერთი მუშაობდა გაკიცხვის, მეორე კი სკოლიდან გარიცხვის მოტივით.

თითოეულ ჯგუფში გაერთიანებული იყო 45 — 45 ცდისპირი. ამდენად, თითოეული კლასიდან ცდებში მონაწილეობა მიიღო 135 — 135 ცდისპირმა. ერთი ჯგუფის წევრები სხვა ვარიანტში მონაწილეობას არ ღებულობდნენ.

მოტივაციური ფაქტორების პიროვნების ფსიქო-ფიზიკურ აქტივობაზე გავლენის შესწავლის დროს შედეგების რაოდენობრივ მაჩვენებლებზე მეტი თუ არა, ნაკლები მნიშვნელობა არ აქვს იმ სიტუაციებისა და გარეგნული რეაქციების აღწერას, რასაც იწვევს პიროვნების სტრუქტურაში მოტივაციური ფაქტორების შეყვანა. ჩვენც ასეთი სიტუაციების აღწერა-ანალიზით დავიწყებთ შედეგების განხილვას.

იძულებითი მოტივების ინსტრუქციების მიცემისთანავე კლასში თვალსაჩინოდ ჩანს დაძაბული, სტრესული სიტუაციების წარმოქმნა. ამის საფუძველი მოტივის ნიადაგზე წარმოშობილი სასჯელის შიშია. ეს გასაგებია. არაავისთვის არაა სასიამოვნო სასჯელის მიღება. სასჯელი პიროვნების პრესტიჟის მოთხოვნის ფრუსტრაციის მაჩვენებელია, რასაც მისი ავტორიტეტის შელახვა მოსდევს თან. როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი პატარა ასაკის ბავშვებისთვისაც მტკივნეულ საკითხს წარმოადგენს. ამიტომ ავტორიტეტის დაკარგვის შიში მათში ნერვულ დაძაბულობას იწვევს და როგორც გამოირკვა, ეს დებრესიულ მდგომარეობაში აგდებს მათ. ყოველივე ზემოთ თქმულის გამო კი ისინი ვედარ ახერხებენ ამოცანაზე ყურადღების კონცენტრაციას, რაც საბოლოო ჯამში, მათი აზროვნების მუშაობის პროდუქტიულობაშიც იჩენს თავს. აღნიშნული სურათი ყველა ცდისპირთან არ შეინიშნება. ეს ბავშვების განსხვავებულ ნერვულ ტიპებზე მივითითებს.

ჩვენს ექსპერიმენტში ცდისპირების ჯგუფებად დაყოფას ინსტრუქციების მიცემისთანავე აქვს ადგილი. ამ დროს აშკარად ჩანს მათი ორ ჯგუფად დანაწილება. 1. პირველ ჯგუფში შეიძლება მოვათავსოთ ის ბავშვები, რომლებიც სასჯელის შიშის გამო თავიდანვე ვარდებიან სტრესულ მდგომარეობაში. იმის მაგივრად, რომ დავალეებაზე მოახდინონ მთელი ყურადღების მობილიზება და თავიდან აიშორონ სასჯელი, შიში მათ დეზორგანიზაციას იწვევს. ამ ფაქტის გამომჟღავნებაში დახმარებას ცდისპირების მიერ გამოვლენილი ტირილის შემთხვევები გვიწვედა. ასეთი ცდისპირების რაოდენობა არ იყო მაინც და მაინც მცირე. შესაძლებელია მსგავს მდგომარეობაში სხვებიც იყოს, მაგრამ ტირილისაგან იკავებდნენ თავს. ხაზი უნდა გავუსვათ იმასაც, რომ ასეთ შემთხვევებს უფრო ხშირად პირველკლასელებთან ვხვდებით. ეს იმას მიგვიითითებს, რომ ასაკის ზრდასთან ერთად მატულობს სტრესული სიტუაციების უძლებლობა და მისგან თავის დაღწევის ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობები. მაგრამ განვითარების ასეთი დონე დაწყებითი კლასების ასაკში ჯერ არაა მიღწეული, რაც დავალების შესრულების რაოდენობრივ მაჩვენებლებშიც იჩენს თავს.

2. მეორე ჯგუფში ისეთი ცდისპირები თავსდებიან, რომლებიც უძლებენ მოტივით შექმნილ დაძაბულობას და ხელს კიდებენ მისგან თავის დახსნის სა-



შეუღებების შესრულებას. ამ ჯგუფში გაერთიანებული ცდისპირები იწყებენ კითხვების დასმას მიცემული დავალების შესრულების შესახებ და კარგად ინფორმირებულნი ცდილობენ კიდევაც მის შესრულებას.

პირველ ჯგუფში შოხვედრილი ცდისპირების უმრავლესობა ჩვენი რჩევისა და წაქეზების შედეგად ახერხებს ამოცანაზე ყურადღების კონცენტრირებას, მაგრამ მუშაობის პროცესში რაღაც მოუსვენრობას გრძნობდნენ. მათ ნაწერებს ვარკვეული ნიშნით აღვნიშნავდით. გვაინტერესებდა, შეალებდნენ თუ არა ისინი დავალების სწორად შესრულებას.

დავალების შესრულების პროცესში პირველი ჯგუფის ცდისპირებთან შემჩნეული სიტუაცია ისევ იწყებდა განმეორებას. დაინახავდნენ თუ არა, რომ დავალების შესრულება არც ისე იოლი იყო, ბავშვებში თავს კვლავ იჩენდა სასჯელის შიში და ისინი ისევ ტირილს იწყებდნენ. მათი მიბრუნება სამუშაოსკენ უფრო შეუძლებელი აღმოჩნდა.

როგორც ასეთი ბავშვების ნაწერების შემოწმებიდან გამოირკვა, ძალიან ბევრი მათგანი, დავალებას სწორად ვერ ასრულებდა.

რა შეიძლება ამ ფაქტების საფუძველზე ითქვას? პირველ რიგში ის, რომ სასჯელის მოტივატორი ფაქტორები იწვევს დაძაბული, სტრესული სიტუაციების შექმნას, რაც საბოლოო ჯამში მათი აქტივობის დეზორგანიზაციას იწვევს და ხელს უშლის ყურადღების ამოცანების შესრულებაზე კონცენტრირებას.

სასჯელით გამოწვეული სიტუაცია, ცდების დამთავრების შემდეგ, იმდენად მძიმე იყო, რომ იძულებული ვიყავით მის მოსახსნელად ვარკვეული საუბარი ჩავგეტარებინა მათთვის. კერძოდ გვეთქვა, რომ ჩვენ მხოლოდ ვეზუმრეთ მათ და სინამდვილეში შეპირებული-სასჯელი არ განხორციელდებოდა.

ზემოთ აღწერილი სიტუაციების აღწერის შემდეგ ნათელია, თუ ანაგრაშების შესრულების მაჩვენებლები როგორიც იქნებოდა. მაგრამ ამ მიმართულებით იდეალური შედეგების დროსაც კი მისი ხარისხი უფერული ხდება, რადგანაც იგი ბავშვებში დიდ ფსიქო-ნერვულ დაძაბულობას იწვევს.

რა მდგომარეობაშია საკონტროლო ჯგუფის ცდისპირები? აქ ისეთ დაძაბულობას აღარ აქვს ადგილი, როგორც ეს იყო მოტივირებულ ჯგუფებში. ეს გასაგებიცაა. თუ ვერ შეასრულებენ დავალებას, ამისათვის ისინი არაერთარ სასჯელს არ მიიღებენ. საქმე იმაშია, რომ ამისათვის მადლობასაც არაფერ ეტყვიან მათ: ამიტომ თუკი ვინმე მუშაობს, მათი მოტივი ინსტრუქციის საფუძველზე აღძრული შემეცნებითი ინტერესი უნდა იყოს. არ უნდა დავავიწყდეს, რომ ინსტრუქცია მათ მიწოდებულ ამოცანაზე მუშაობას ავალებდა. ეს კი ვარკვეულ კონტროლს მაინც წარმოადგენს და უნდა ვიგულისხმოთ, რომ მათ მუშაობაში ესეც ასრულებდა ვარკვეულ როლს.

აღნიშნული მოტივების საფუძველზე ცდისპირების ერთი ჯგუფი დავალების შესრულებას ჰკიდებს ხელს და ბოლომდე ცდილობს შეასრულოს იგი. მეორე ჯგუფისათვის ეს მოტივები პირველი სიძნელის შეხვედრისთანავე ჰკარგავს ძალას და ისინიც წყვეტენ მუშაობას. მესამე ჯგუფი ცდისპირებისა საერთოდ არ იღებენ დავალებას თავისთავზე და როგორც გამოირკვა ანაგრაშების გაკეთების მაგივრად რაღაცას ჯღაბნიდნენ მიცემულ ფურცლებზე.

უნდა აღვნიშნოთ საკონტროლო ჯგუფის ცდისპირების ზერელე დამოკიდებულება შესრულებული სამუშაოსადმი. ისინი უკან მიბრუნებდნენ სანახევროდ დაგლეჯილ ფურცლებს. აქედან კიდევ უფრო ნათლად ჩანს მოტივის

როლი სასწავლო საქმიანობაში. საქმე, რომელიც მას არაერთაზრად სარგებლობას არ მოუტანს, არც ხდება მოსწავლის ზრუნვისა და მოვლის საგანი.

ახლა კი გადავიდეთ ანაგრაძების შესრულების რაოდენობრივი მაჩვენებლების ანალიზზე. შედეგები იხ. ცხრ. 1-ში.

ცხრილი 1

კლასი	ცდის- პირთა რაოდენობა	მოტივაციური ჯგუფები											
		საკონტროლო				გაკიცხვის მოტივი				გარიცხვის მოტივი			
		1	2	3	ჯამი	1	2	3	ჯამი	1	2	3	ჯამი
პირველი	45	22	19	14	55	14	15	15	44	10	9	12	31
მეორე	45	21	19	19	59	24	16	18	58	23	18	19	60

ცხრილის პირველ სვეტში საექსპერიმენტო კლასებია მოცემული. მეორე სვეტში თითოეულ ჯგუფში გაერთიანებულ ცდისპირთა რაოდენობა ცალ-ცალკე. ცხრილის შემდგომი ნაწილი ცალკეული ჯგუფების ანაგრაძების გავრცელების რაოდენობრივ მაჩვენებლებს აღნიშნავს. ანაგრაძების ნომრები აღნიშნულია არაბული რიცხვებით. ცხრილში აღნიშნულია ანაგრაძათა შესრულების საერთო რაოდენობა ცალკეული ჯგუფების მიხედვით.

ცხრილიდან ჩანს, რომ იძულებითი მოტივაციური ფაქტორები უარყოფით გავლენას ახდენენ მოსწავლეთა აზროვნების პროდუქტიულობაზე. ამ მხრივ პირველი და მეორე კლასელები განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ამიტომ შედეგები ცალ-ცალკე კლასების მიხედვით განვიხილოთ.

პირველი კლასის ცდისპირებთან, საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, ორივე მოტივაციურ ჯგუფში უარესდება შედეგები. გაუარესებას ადგილი აქვს თითქმის ყველა ანაგრაძის ამონახსნებში. გამოჩაყლის წარმოადგენს მხოლოდ ნესამე ანაგრაძის გაკიცხვის მოტივით მიღებული შედეგი. საკონტროლო ჯგუფში აღნიშნულ ანაგრაძას 14 ცდისპირი ასრულებს, გაკიცხვის მოტივის დროს კი — 15 ცდისპირი. სამაგიეროდ, აშკარად გაუარესებულია პირველ და მეორე ანაგრაძათა მაჩვენებლები. მაგ., დასახელებულ ანაგრაძებს საკონტროლო ჯგუფში, შესაბამისად, 22 ცდისპირი და 19 ცდისპირი ასრულებს, გაკიცხვის მოტივაციურ ჯგუფში კი მხოლოდ 14 ცდისპირი და 15 ცდისპირი.

შედეგების კიდევ უფრო გაუარესებას აქვს ადგილი სკოლიდან გარიცხვის მოტივით მიღებულ შედეგებში. ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ არც ერთ პუნქტში გამოჩაყლის არ აქვს ადგილი. შედეგების გაუარესებას ადგილი აქვს არა მარტო საკონტროლო ჯგუფის მონაცემებთან შედარებით, არამედ გარიცხვის მოტივით მიღებულ შედეგებთან შედარებითაც კი. რიგის მიხედვით, ახლა ანაგრაძებს 10 ცდისპირი, 9 ცდისპირი და 12 ცდისპირი ასრულებს.

ყოველივე ამის გამო მცირდება ანაგრაძათა შესრულების საერთო მაჩვენებლები.

როგორც ვიცით, თითოეულ ჯგუფში 45 — 45 ცდისპირი იყო გაერთიანებული. თითოეულ მათგანს 3—3 ანაგრაძის გაკეთება ევალებოდა. ამდენად, მოსალოდნელ სწორ პასუხთა რაოდენობა $45 \times 3 = 135$ -ს შეადგენს.



როგორც ცხრილი გვიჩვენებს, არც ერთ ჯგუფში, როგორც საკონტროლოში, ისე მოტივირებულბში, შედეგების საერთო რაოდენობა საერთო შემთხვევების ნახევარსაც არ შეადგენს. მაგრამ საკონტროლო ჯგუფის მონაცემი საერთო შემთხვევათა ნახევარს ცოტათი თუ მაინც უახლოვდება, ამას ვეღარ ვიტყვი ვერც გაიცხვისა და ვერც გარიცხვის მოტივით მიღებულ საერთო შედეგებზე. პირიქით, ცილებიან მას უარყოფითი მიმართებით. მაგ., საკონტროლო ჯგუფის სწორად შესრულებულ პასუხთა რაოდენობა 55-ია, გაიცხვის მოტივისა — 44 და გარიცხვის მოტივისა კი — 31.

როგორც ვხედავთ, იძულებითი პეტეროვული მოტივები უარყოფით ფონს ქმნის პირველი კლასის მოსწავლეთა სასწავლო აქტივობისათვის და შემეცნებითი ფუნქციების პროდუქტიულობის შემცირებასაც იწვევს.

რა მდგომარეობაა მეორე კლასის მოსწავლეებთან? ცხრილიდან ჩანს, რომ აქ შედეგების ისე გაუარესებას არ აქვს ადგილი, როგორც ეს იყო პირველ კლასელებთან. პირიქით, მეორე კლასის ცდისპირებთან ზოგიერთი ანაგრამის შესრულების მაჩვენებელი გაუმჯობესებულია მოტივირებულ ჯგუფებში, საკონტროლო ჯგუფის მონაცემებთან შედარებით. ყველაზე ნათლად ეს პირველი ანაგრამის მაჩვენებლების შედარებისას ჩანს. მაგ., საკონტროლო ჯგუფში პირველ ანაგრამას 21 ცდისპირი ასრულებს, გაიცხვის მოტივის დროს 24 ცდისპირი, გარიცხვის მოტივის დროს კი — 23 ცდისპირი. სამაგიეროდ დანაჩენი ორი ანაგრამის მაჩვენებლები ან უარესდება, ან ჩვეე რჩება.

საკონტროლო ჯგუფში მეორე და მესამე ანაგრამას 19—19 ცდისპირი ასრულებს. გაიცხვის მოტივის დროს მათი რიცხვი შემცირებულია და ახლა, შესაბამისად, უდრის 16 და 18-ს. რაც შეეხება გარიცხვის მოტივით მიღებულ შედეგებს, თითქმის იგივე რჩება — 18 ცდისპირი და 19 ცდისპირი.

ცალკეულ ჯგუფებში შესრულებულ სწორ პასუხთა საერთო რაოდენობა უმნიშვნელოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან. საკონტროლო ჯგუფში მისი მაჩვენებელი 59-ია, გაიცხვის მოტივით მომუშავე ჯგუფში — 58-ი, ხოლო გარიცხვისა — 60-ი. ხაზი უნდა გაეუსკათ იმას, რომ მეორე კლასშიც, ისე როგორც პირველში, სწორ პასუხთა საერთო რაოდენობა, არც ერთ ჯგუფში, საერთო შემთხვევათა ნახევარს არ შეადგენს (სწორ პასუხთა მოსალოდნელი შესაძლებლობა მეორე კლასშიც 135-ს უდრის). მეორე გარემოება, რაც აღნიშვნის ღირსია, ისაა, რომ გარიცხვის მოტივით მიღებული შედეგები, მართალია უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც უკეთესია გაიცხვის მოტივით მიღებულ შედეგებზე. გაიცხვის მოტივის პირობებში მიღებულ სწორ პასუხთა რაოდენობა 58-ია, გარიცხვისა კი — 60. ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, ზემოთ აღწერილი გარემოება უნდა იყოს. ექსპერიმენტის აღწერის დროს აღვნიშნეთ, რომ მეორე კლასელებთან გარიცხვა, თავიდან, ზოგიერთის მიერ არ იქნა სერიოზულად აღქმული. რაც შეეხება გაიცხვას, ამის შესაძლებლობა სკოლაში ყოველთვის არსებობს. ამიტომაც, რომ უფრო სერიოზულად განიცდიან მას.

რა შეიძლება ითქვას მეორე კლასელების რაოდენობრივი შედეგების ანალიზის საფუძველზე? პირველ რიგში ის, რომ ასაკის ზრდასთან ერთად მატულობს სტრესულ სიტუაციათა გაძლების ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობები. ისინი უფრო ახერხებენ დაძაბულ სიტუაციებში შემეცნებითი ფუნქციების ორგანიზებას და მათ მობილიზებას პრობლემების გადაწყვეტაზე, ვიდრე დაბალი ასაკის ბავშვები. მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იძულებითი მოტივაციური ფაქტორები არ იწვევენ საკონტროლო ჯგუფის მონაცემების

გაუმჯობესებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი არ გამოდიან აზროვნების პროდუქტიულობის დადებითად გამაძლიერებლის როლში. ამას უნდა დამატოს ის დაძაბული სიტუაციების წარმოქმნა, რასაც ადგილი აქვს ცდების პროცესში და ნათელი წარმოდგენა შეგვექმნება მათ მოტივაციურ ღირებულებებზე.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა ექსპერიმენტები, რომლებითაც ვიკვლევდით თავისუფალი პეტეროგენული მოტივაციური ფაქტორების გავლენას მოსწავლეთა აზროვნებაზე. ამოცანების გადაწყვეტა, ამ შემთხვევებში, მოსწავლეთა ავტორიტეტის ან ჯილდოს მიღების საშუალებას წარმოადგენს. ამის გამოა, რომ ისინი დიდი გატაცებით და ბალისით ასრულებენ მას. ამოცანების გადაწყვეტის პროცესში ისეთი დაძაბული სიტუაციები არ შეიძინევა, როგორც ზემოთ აღვწერეთ. ისინი, თუკი რომელიმე ტირილის ფაქტებს გამოავლენს, იმასაც მისი ნაშრომის სიმცდარის შეტყობის შემდეგ. მაგრამ ეს ექსპერიმენტები სულ სხვა მასალაზე იქნა ჩატარებული, ამიტომ არ გვაქვს საშუალება იძულებითი მოტივებით მიღებული შედეგები უშუალოდ შევადაროთ მას. იმისათვის, რომ უფრო ნათლად გვეჩვენებინა ძლიერი იძულებითი მოტივაციური ფაქტორების უარყოფითი როლი აზროვნების სტრუქტურაში, სპეციალურად ჩავატარეთ ექსპერიმენტი თავისუფალი პეტეროგენული მოტივით.

ექსპერიმენტი ჩავატარეთ მხოლოდ პირველი კლასის მოსწავლეებთან. ცდებში მონაწილეობა მიიღო 38 ცდისპირმა. ისინი იმავე სამუშაოს ასრულებდნენ, რაც აღვწერეთ იძულებითი მოტივების დროს. რაც შეეხება მოტივაციურ ფაქტორს, იგი გაკიცხვის საწინააღმდეგო იყო. თუ გაკიცხვის მოტივის დროს ცდისპირებს სკოლის მთელი კოლექტივის წინაშე გალანძღვას, გაკიცხვას ვებრძობოდით, ამ შემთხვევაში ისინი შექებას, მადლობას მიიღებდნენ მიცემული დავალების სწორად შესრულების შემთხვევაში. ინსტრუქციაში არც ერთი სიტყვა არ იყო ნათქვამი სასჯელზე მათი წარუმატებლობის შემთხვევაში. პირიქით, დაწვრილებით ვუხსნიდით, რომ ისინი კი არ დაცხებოდნენ, არამედ მადლობას ვერ დაიმსახურებდნენ მხოლოდ.

შექება, მადლობის გამოცხადება პირდაპირაა დაკავშირებული მოსწავლის პრესტიჟთან. როგორც წინაშე დასაწყისში აღვნიშნეთ, სწავლა სწორედ ამ უკანასკნელის მოპოვების საშუალებაა. ამიტომაც, რომ მოსწავლე მას სიხალისით და მომეტებული ენერგიით ასრულებს, როცა იგი პრესტიჟის მოთხოვნილებას უკავშირდება.

ეს მოსაზრება შექების მოტივით ჩატარებულ ექსპერიმენტში ნათლად დადასტურდა. აქ აღარ შეიძინეოდა ისეთი მძიმე სიტუაციების წარმოქმნა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა იძულებითი მოტივაციური ფაქტორების დროს. პირიქით, მოტივის გამოცხადება კლასში დიდ აფიოტაჟს იწვევს და ბავშვები ერთხმად, სიხარულით აცხადებენ დავალების შესრულებაში მონაწილეობის სურვილს.

რაც შეეხება ანაგრამების შესრულების რაოდენობრივ მაჩვენებლებს, იგი იძულებითი პეტეროგენული მოტივებით მიღებულ შედეგებზე აშკარად უკეთესია. თუ უკანასკნელ შემთხვევებში მიწოდებულ დავალებებს ცდისპირთა ნახევარიც ვერ ასრულებდა, ახლა იგი თითქმის ყველა პუნქტში მეტია მასზე. მაგ., 38 ცდისპირიდან, პირველ ანაგრამას 22 ცდისპირი, მეორე ანაგრამას 22 ცდისპირი, ხოლო მესამეს — 17 ცდისპირი ასრულებს უშეცდომოდ. მხოლოდ



მესამე ანაგრაშის შესრულების მაჩვენებელია მცირე, მაგრამ ისე არ შთაბეჭდილობს საერთო შემთხვევათა რიცხვს, როგორც ეს იყო იძულებითა მოტივების დროს.

ცდისპირთა განსხვავებული რაოდენობის გამო, ჩვენ არა გვაქვს საშუალება ერთმანეთს უშუალოდ შევადაროთ იძულებითი და თავისუფალი მოტივებით მიღებული რაოდენობრივი შედეგები. ამის გამო იძულებული ვართ პროცენტული მაჩვენებლები შევადაროთ ერთმანეთს. ვინაიდან პირველი კლასის მოსწავლეების მაჩვენებლების შედარება ხდება, ამიტომ ცხრილში არ იქნება გამოყოფილი კლასის მაჩვენებელი სვეტი. შედეგები იხილეთ ცხრ. 2-ში.

ცხრილი 2

მ მო ტ ი ვ ა ც ი უ რ ი ჯ გ უ ფ ე ს ი

საკონტროლო				გაკიცხვის მოტივი				გარიცხვის მოტივი				შექების მოტივი			
1	2	3	ჯამი	1	2	3	ჯამი	1	2	3	ჯამი	1	2	3	ჯამი
48,6	42,2	31,1	40,7	31,1	33,3	33,3	32,5	22,2	20	26,6	22,9	57	57	44,4	53,5

ცხრილში, არაბული ციფრებით ანაგრამათა ნომრებია აღნიშნული, მის ქვემოთ კი ამ ანაგრამათა შესრულების პროცენტული მაჩვენებლები. ცალკეული მოტივაციური ჯგუფის მიხედვით.

ცხრილის უბრალო განხილვაც კი ნათლად გვიჩვენებს, თუ რა განსხვავებულ შედეგებს იძლევა შექების მოტივაციური ფაქტორი. ამავე დროს ეს განსხვავება ყოველთვის და ყველგან უკანასკნელის დადებითი მოტივაციური როლის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

ცხრილიდან ჩანს, თუ როგორ აუარესებს საკონტროლო ჯგუფის მაჩვენებელს იძულებითი პეტეროგენული მოტივები. შექების მოტივით მიღებულ მაჩვენებლებში უმჯობესდება შედეგები როგორც საკონტროლო, განსაკუთრებით იძულებითი მოტივებით მიღებულ შედეგებთან შედარებით. მაგ., იძულებითი მოტივებით მიღებული შედეგების თითქმის 2-ჯერ გაუმჯობესებას აქვს ადგილი. ამისათვის საერთო მაჩვენებლების შედარებაც კმარა. გაკიცხვისა და გარიცხვის მოტივების დროს სწორად შესრულებულ პასუხთა რაოდენობა, საერთო შემთხვევების 32,5%-სა 22,9%-ს შეადგენს. შექების მოტივის დროს კი შესაბამისი მაჩვენებელი 53,5%-ია. ვფიქრობთ, განსხვავება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სხვა რაიმე ახსნა-განმარტებას არ საჭიროებს. ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მეტია საკონტროლო ჯგუფის მაჩვენებელზეც (საკონტროლო ჯგუფში სწორად შესრულებულ პასუხთა რაოდენობა საერთო შემთხვევების 40,7%-ს შეადგენს). არაფერს ვიტყვით. იმაზე, რომ შექების მოტივით პირველკლასელებთან მიღებული შედეგები მეტია მეორე კლასის მოსწავლეებთან იძულებითი მოტივებით მიღებულ შედეგებზეც. როგორც აღნიშნული შედეგების ანალიზიდან გვახსოვს, მეორე კლასის მოსწავლეებთანაც სწორ პასუხთა რაოდენობა საერთო შემთხვევების ნახევარს არ შეადგენდა.

რა შეიძლება ითქვას მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე? პირველ რიგში ის, რომ ძლიერი იძულებითი პეტეროგენული მოტივები უარყოფით გავლენას ახდენენ მოსწავლის აზროვნების ორგანიზაციაზე და იწვევენ

მისი პროდუქტიულობის შემცირებას. ისინი წარმოქმნიან სტრესულ სიტუაციებს, რომლებშიც მუშაობა განვითარების უფრო მაღალ ასაკს მოითხოვს. რაც შეეხება დაწყებითი კლასების მოსწავლეებს, ისინი ვერ უძლებენ ასეთ სტრესულ, დაძაბულ სიტუაციებს და საბოლოო ჯამში მარცხს განიცდიან.

ამავე დროს ცნობილია, რომ სასჯელი სწავლის აქტივობის გაძლიერებას უწყობს ხელს. პედაგოგები იყენებენ კიდევაც მას. როგორც ჩვენი ექსპერიმენტიდან ჩანს, ამ მიმართულებით პედაგოგებს დიდი სიფრთხილე მართებთ, რადგანაც ძლიერი სასჯელი სასწავლო აქტივობის შემაფერხებლის როლში შეიძლება გამოვიდეს.

აქედან გამომდინარე, პედაგოგიური ფსიქოლოგიის სადღეისო ამოცანას წარმოადგენს ისეთი იძულებითი მოტივაციური ფაქტორების მონახვა, რომლებიც დაეხმარება სკოლაში მომუშავე პრაქტიკოს მასწავლებლებს მოსწავლეთა შემცენებითი ინტერესების გაძლიერებაში.

О. Л. ДЕВИДЗЕ

ВЛИЯНИЕ ПРИНУДИТЕЛЬНЫХ МОТИВОВ НА МЫШЛЕНИЕ УЧАЩИХСЯ

Резюме

1. Принудительные мотивы являются видами наказания. Хотя учение обычно служит удовлетворению престижных потребностей, однако иногда оно выступает как средство избежания наказания. Вопрос состоит в том, вызывают ли принудительные мотивы усиление продуктивности мышления, входящего в процесс учения?

2. Данный вопрос, где в виде мотивов были использованы довольно сильные наказания, такие, как осуждение перед коллективом и исключение из школы, был изучен экспериментально. Средством избежания этих наказаний являлось решение определенного рода проблем. В эксперименте принимали участие ученики начальных классов.

3. Выяснилось, что сильные принудительные мотивы у детей начальных классов создают стрессовые ситуации, отрицательно влияющие на их мышление.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 დ. უზნაძის საბეღობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

ნ. ვ. ჩრელაშვილი

О СПЕЦИФИЧЕСКОМ ОТКЛОНЕНИИ ДЕЙСТВИЯ ПРОЦЕССОВ СОЗНАНИЯ ПРИ РЕШЕНИИ ОЦЕНОЧНЫХ ЗАДАЧ

Эксперимент, в котором мы имели возможность наблюдать своеобразные факты отклонения в функционировании отдельных процессов сознания, был нами поставлен над группами. Испытуемыми были у нас учащиеся средней школы (VIII, IX, X классов) и учащиеся техникума (в возрасте от 17 до 24 лет).

Во время анализа экспериментального материала наше внимание привлек целый ряд ответов испытуемых (безотносительно от возраста и пола), в которых выступала своеобразная линия обоснования в процессе суждения. В некоторых случаях выявлялось такое следование одного довода за другим, которое указывало на снижение контроля мышления, но, тем не менее, наталкивало на мысль о причастности к этому факту специфического «ослабления» памяти и внимания, а не «ослабления» способности к суждению; т. о. возникал вопрос о факторах, вызывающих такое изменение функционирования внимания и памяти, которое выявляется в ничем не оправданном обосновании и подчас абсурдном суждении.

Методика

Эксперимент проводился методом рассказа, читаемого всей группой. От испытуемых требовалась оценка «неблаговидного поступка», описываемого с разных точек зрения в рассказе, который мы читали по частям. После каждой прочитанной части испытуемые должны были ответить письменно на вопрос и вкратце обосновать свой ответ. При этом важно было не количество позитивных и негативных ответов, а то, в каких отношениях рассматривался испытуемыми обсуждаемый поступок, в каких связях выступал он для каждого из них и какая точка зрения была ведущей и влияла на конкретный характер суждения.

Рассказ, отдельные события которого подлежали оценке и обсуждению, касался школьно-спортивной жизни и товарищеских отношений; сюжет разворачивался описанием подготовки к соревнованию двух волейбольных команд одной школы с выходом на районные соревнования. Дальше события разворачиваются несколько драматически: одна сторона соревнующихся устраивает сговор против другой. В первой части рассказа неблагоприятность обсуждаемого поступка выражается в решении команды десятиклассников помешать капитану девятиклассников принять участие в школьных соревнованиях.

После этой первой части рассказа испытуемые должны были ответить письменно на следующие вопросы:

- 1) Должен ли был обидеться капитан команды девятиклассников ввиду такого решения десятиклассников — и почему?
- 2) Если бы капитан был десятиклассником, а команда соперников состояла из девятиклассников, приняли бы они такое решение, помешали бы помешать ему принять участие или нет — и почему?

3) Можно предположить или нет, что такое решение является несправедливым, но вполне возможным — почему, да, почему нет (и в каких условиях)?

Полученный экспериментальный материал прорабатывался нами двояким образом: анализировались все ответы одного и того же испытуемого и производился сравнительный анализ ответов всех испытуемых на один и тот же вопрос. Цитировать ответы полностью невозможно, поэтому мы ограничиваемся их разбором. Ответы, которые вызвали наш интерес, дают негативный ответ на вопросы, а именно такого рода: 1) «не должен был обижаться»; 2) «нет, не посмели бы»; 3) «может и несправедливо, но вполне возможно», а после ответа следовало обоснование, которое и привлекло наше внимание (суждений испытуемых относительно других частей рассказа мы тут не коснемся, они проанализированы в аспекте своеобразия хода оценочных суждений в моем докладе «К вопросу динамики развития моральных оценок действия среди подростков», прочитанном на V Закавказской конференции психологов в Ереване в 1970 г.).

Результат анализа ответов и выводы

Анализ заинтересовавших нас ответов выявил несколько психологических характерных моментов.

1. На передний план выступает «линия», ведущая обоснования: с оценок «поступка» испытуемые незаметно переходят к описанию «душевного состояния» персонажей, возникает «жалость» к обидчикам, а потом и «сочувствие», переходящее в «единомыслие».

შედარებით ვრცლად განვიხილავთ ბიპვეიორიზმის ცნობილი წარმომადგენლის არნოლდ ბასის [6] შეხედულებას აგრესიის შესახებ.

ბასისთვის, როგორც ბიპვეიორისტისთვის, აგრესია ჩვევაა. იგი გამოპყობს აგრესიული ჩვევების ძალის ოთხ დეტერმინანტს:

1) აგრესიული ჩვევის წინა ისტორია — ესაა იმ შემთხვევების სიხშირე და ინტენსივობა, რომლითაც ინდივიდზე მიიტანეს იერიში, შემთხვევებისა, როცა იგი იყო ფრუსტრირებული, გაღიზიანებული; ინდივიდები, რომლებსაც ბრახის, რისხვის და ა. შ. მჭტი სტიმულები მიუღიათ, უფრო აგრესიულად რეაგირებენ, ვიდრე ისინი, ვინც ნაკლებ მტრულ სტიმულს იღებდა.

2) განმტკიცების ისტორია — აგრესიული ქცევისთვის ხშირ, ძლიერ განმტკიცებებს მოჰყვება ძლიერი შეტევითი ჩვევების ფიქსირება, სუსტ და იშვიათ განმტკიცებას — სუსტი აგრესიული ჩვევებისა. განმტკიცება შეიძლება იყოს შინაგანი (რისხვის დონის მკვეთრი დაცემა) და გარეგანი (მავენ სტიმულის მოცილება ან გილდოს მიღწევა). როცა აგრესიას ხშირად მოსდევს განმტკიცება და განსაკუთრებით ადრეულ ასაკში, შეტევის ტენდენცია ისე მტკიცდება, რომ შესაძლოა წაართვას ინდივიდს შესაძლებლობა განასხვავოს აგრესიის შემცველი სიტუაციები უფრო მშვიდობიანი სიტუაციებისაგან.

3) სოციალური ფაქტორები. ბასი მათ ანიჭებს მნიშვნელოვან როლს, იგებს მათ, როგორც კულტურულ და სუბკულტურულ ნორმებს, რომლებსაც ანგარიშს უწევს აგრესორი. ჯგუფმა შეიძლება გაუადვილოს ინდივიდს აგრესიულობის განვითარება, მოამარაგოს იგი პროვოკაციის და აგრესიის მოძელებით და უკვე მომზდარი აგრესიული აქტის სოციალური მხარდაჭერით. ანთროპოლოგები უჩვენებენ, რომ აგრესიულობა განსხვავდება სხვადასხვა კულტურაში, რომ გარკვეული კავშირი არსებობს აგრესიულობას და ბავშვის აღზრდის პრაქტიკას შორის.

4) ტემპერამენტი. ბასი განმარტავს მას, როგორც ქცევის მახასიათებელს, რომელიც ვლინდება ცხოვრების დასაწყისშივე და რომელიც შედარებით უცვლელი რჩება. ტემპერამენტის ცვლადებს, რომლებიც მოქმედებენ აგრესიულობის განვითარებაზე, მიეკუთვნება იმპულსურობა, რეაქციების ინტენსივობა, აქტივობის და დამოუკიდებლობის დონე.

ბასს მიაჩნია, რომ აგრესიის შესწავლისადმი პიროვნული მიდგომა უნდა ითვალისწინებდეს აგრესიის ცალკეულ სახეებს შორის განსხვავებას, რადგანაც ყოველ ინდივიდს გააჩნია შეტევის მისთვის დამახასიათებელი ხერხები და არ იყენებს ყველა სახის აგრესიულ რეაქციას. აგრესიული ქცევის კლასიფიკაციისას იგი იყენებს სამ დიხოტომიას. ფიზიკურ-ვერბალური, აქტიური-პასიური, მიმართული-არამიმართული. ასეთ გაყოფას იზიარებს ბევრი უცხოელი ფსიქოლოგი. თუმცა აგრესიის სახის არჩევა შესაძლოა იყოს ინდივიდის ერთ-ერთი მახასიათებელი. არაა მართებული დაუშვავათ რომ ქცევის

ამა თუ იმ სახის არჩევა მართო აგრესიულ ქცევას ახსიათებებს. პიროვნება კრომელიც უტევს ფიზიკურად და არა ვერბალურად, ფიზიკური ქცევის ფორმას არჩევს სხვა სფეროშიც, პასიურად აგრესიული ინდივიდები, როგორც ჩანს, პასიურები არიან სხვებთან ყოველგვარ ურთიერთობაში. ბასის ეს მოსაზრება ინდივიდის ქცევის ზოგად სტილს ეხება და, ჩვენის აზრით, შემდგომში განსაკუთრებით საინტერესო იქნება განწყობის ტიპოლოგიასთან მიმართებაში მისი განხილვა.

აგრესიულობის კვლევის მრავალრიცხოვანი მონაცემების ფაქტორული ანალიზის საფუძველზე ბასმა აღმოაჩინა ორი განსხვავებული ფაქტორი: აგრესიულობა და მტრულობა. მტრულობა განისაზღვრება აღშფოთების, წყენის, ეკვიანობის გრძნობით, თუმცა შესაძლოა აგრესიულობა და მტრულობა ერთმანეთს ემთხვეოდნენ, მაგრამ მტრული პიროვნება არაა აუცილებლად აგრესიული და პირიქით. ცვლადები, რომლებიც თრგუნავენ მტრულობას (ნეგატიური განმტკიცება, კულტურული ტაბუ და ა. შ.) არ ახდენენ არავითარ გავლენას აგრესიულობის შესუსტებაზე.

ამ თეორიული მოსაზრებების საფუძველზე შედგენილია აგრესიულობის კვლევის ბას-დარკის კითხვარი, რომელიც ჩვენ გამოვიყენეთ არასრულწლოვანი დამნაშავეის აგრესიულობის კვლევისათვის.

აგრესიულობის ექსპერიმენტული კვლევა გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ემპირიული მონაცემების შეგროვება ხდება ან ლაბორატორიაში (კონტროლირებული პირობების დროს) ან სკოლებს, საბავშვო ბაღებსა და გასწორებით დაწესებულებებში — (ობიექტური დაკვირვების მეთოდით). ასეთ პირობებში გამოვლენილი ფიზიკური აგრესიის ზომა საგრძნობლად მცირდება ეთიკური პრობლემების გამო. ამიტომ მონაცემების უმეტესობა ეხება აგრესიული ქცევების შედარებით მსუბუქ ფორმებს და მკვლევარები იძულებულნი არიან მოახდინონ მათი ექსტრაპოლირება აგრესიულობის უფრო მძიმე ფორმების ახსნისათვის. მიუხედავად ამ სიძნელეებისა, დღეისთვის არსებობს აგრესიულობის კვლევის საკმაოდ ობიექტური და ადექვატური მეთოდები. კვლავ ძალაშია უძველესი ფსიქოლოგიური მეთოდი — დაკვირვება, რომელიც თანამედროვე პირობებში კინო და ტელე ტექნიკის გამოყენების გზით უტყუარ და ფართო ინფორმაციას იძლევა.

მეორე ფართოდ გავრცელებული მეთოდია კითხვარი, რომელიც საშუალებას იძლევა გამოვლინდეს როგორც ინდივიდუალური პირის, ისე ჯგუფის მყარი მიდრეკილებანი, მოტივები. ასევე იგი იძლევა არა მხოლოდ სუბიექტური მხარის, არამედ ობიექტური საქმიანობის შესახებ გარკვეულ ინფორმაციას, მაგრამ აგრესიულობის კვლევაში კითხვარის გამოყენება ძნელდება იმის გამო, რომ კითხვებზე პასუხი ნაწილობრივ დეტერმინირებულია მოპასუხის სურვილით, რაც შეიძლება უკეთესად წარმოაჩინოს თავისი პიროვნება. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ ტენდენციას მტრულობის ფენომენის შესწავლისას, რადგანაც საქმე ეხება ისეთ ქცევას, რომელიც სოციალურად მიუღებელი შინაარსის მატარებელია.

ბას-დარკის კითხვარის შედგენისას ავტორები შეეცადნენ გაეთვალისწინებინათ ეს გარემოება და მინიმუმადე დაეყვანათ ზემოთ აღნიშნული ტენდენციის გამოვლინების შესაძლებლობა. სოციალურად მისაღები პასუხების მოცემის ტენდენციის გამოსარიცხავად კითხვების შედგენის სამნაირი ხერხი იქნა.

გამოყენებული: ბირველი ხერხი იმაში მდგომარეობს, რომ კითხვა უშვებს სოციალურად არასასურველ ვითარებას და კითხულობს მხოლოდ როგორ შეიძლება იყოს ის გამოხატული. მეორე ხერხი გულისხმობს უკვე მომხდარი აგრესიის გამართლებას. ივარაუდება, რომ თუ კითხვა უზრუნველყოფს აგრესიის გონივრულ ანსხას, თავდაცვის და ბრალის რეაქცია სუბიექტთან სუსტდება და ის არ პასუხობს აუცილებლად სოციალურად მისაღები მიმართულებით. მესამე ხერხი კი იმაში მდგომარეობს, რომ კითხვა მოიცავს იდიომებს და კლიშეებს, რომლებიც მაღალი სიხშირით იხმარებიან ყველდღიურ ცხოვრებაში და ხშირად გამოიყენება ადამიანის მიერ თავისი ქცევების და გრძნობების აღსაწერად. ამიტომ, როცა ასეთ ფრაზებს ხედება კითხვებში, ცდისპირი ადვილად ეთანხმება მათ. ამ კითხვარის უპირატესობაა აგრეთვე ისიც, რომ ადვილია მისი გამოყენება და დამუშავება.

აგრესიულობის კვლევისათვის ფართოდ გამოიყენება ტესტირებაც. ცნობილია მტრულობის და აგრესიულობის ტესტი, შექმნილი MMPi-ის საფუძველზე, ასევე გამოიყენება რორშაჩის, თემატიკური აპერცეპციის, ლევენფელდის და ვ. შ. ჰენდ-ტესტი. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია როზენცევიგის ფრუსტრაცია-აგრესიის ტესტი, რომელიც ხშირად გამოიყენება პიროვნების ფსიქოლოგიასა თუ ფსიქიატრიაში. მისი გამოყენების ერთეული ცდები გვაქვს აგრეთვე საბჭოთა კრიმინალურ ფსიქოლოგიაში [3].

ზემოთ აღნიშნული მონაზრებების გამო ჩვენ ავარჩიეთ ბას-დარკის კითხვარი არასრულწლოვან დამნაშავეთა აგრესიულობის კვლევისათვის. კითხვარი ითარგმნა და რედაქტირება გაუკეთდა ქართულ ენაზე. ექსპერიმენტებს საცდელი ხასიათი ჰქონდა და მათში მონაწილეობდა არასრულწლოვან დამნაშავეთა კოლონიის 27 აღსაზრდელი. საკონტროლო ჯგუფად შერჩეული იყვნენ ქ. თბილისის 42 მათემატიკური სკოლის მეცხრეკლასელები, რომლებიც გამოირჩეოდნენ მაღალი მორალური თვისებებით, დისციპლინით და კარგი აკადემიური წარმატებით.

ჩვენს მიერ გამოყენებული აგრესიულობის ბას-დარკის კითხვარი, შეიცავს 75 კითხვას, რომელზეც ცდისპირი პასუხობს „დიახ“ ან „არა“. ამ კითხვების საფუძველზე დგება რვა შკალა: I — ფიზიკური აგრესიის, II — არამიმართული აგრესიის, III — გაღიზიანებადობის, IV — ნეგატივიზმის, V — წყენის, VI — ეჭვიანობის, VII — ვერბალური აგრესიის, VIII — ბრალის. I, II, III და VII შკალის მონაცემების მიხედვით იანგარიშება აგრესიის ფაქტორი, მედიანა უდრის 21,5 (ე. ი. ამაზე მაღალი ქულები მიუთითებენ აგრესიის მაღალ დონეს, 21,5-ზე ნაკლები ქულები კი აგრესიის დაბალ დონეს). V და VI შკალის მონაცემები აღგენენ მტრულობის კოეფიციენტს. აქ მედიანა 9-ს უდრის.

ცდების შედეგებს გამოანგარიშების შედეგად აღმოჩნდა, რომ აგრესიის ფაქტორის მხრივ მაღალი კოეფიციენტი აღმოჩნდა მართლგამოვინათა 85% (20 ცდისპირიდან 17-ს საშუალოზე უფრო მაღალი ქულები აღმოაჩნდა). დამნაშავე არასრულწლოვანების 48 % უჩვენა აგრესიულობის მაღალი დონე (27 ცდისპირიდან 13-ს აღმოაჩნდა საშუალოზე უფრო მაღალი ქულები).

მტრულობის მაღალი კოეფიციენტი შედარებით ნაკლები სიხშირით გვხვდება ორივე პოპულაციაში და მათ შორის განსხვავება მნიშვნელოვანი არ არის (დამნაშავეების 37 % აქვს მაღალი კოეფიციენტი მტრულობის მხრივ, მართლგამომგონებებში 40 %-ს).

ცალკეული შკალების მონაცემების მიხედვით შედარებამ უჩვენა, რომ განსხვავება მართლგამგონეთა და დამნაშავეთა შორის მნიშვნელოვანია ფიზიკური და ვერბალური აგრესიის, ნეგატივიზმის, ბრალის შკალის მონაცემებს შორის. ყველა ამ შკალაზე, გარდა ნეგატივიზმისა, მართლგამგონე ცდისპირებში უფრო ხშირად გვხვდება მაღალი ქულები, ვიდრე დამნაშავეებში (იხ. ცხრილი).

ერთის შეხედვით, თითქოს პარადოქსულია მონაცემები, რომ მართლგამგონეებში უფრო მეტს აღმოაჩნდა აგრესიულობის მაღალი კოეფიციენტი, ვიდრე დამნაშავეებში. ყოველდღიურობაში გავრცელებული აზრის მიხედვით კი, თითქოს, დამნაშავეებს უფრო მეტად უნდა ახასიათებდეთ აგრესიულობა.

ჩვენი აზრით, ამ შედეგების სწორი ინტერპრეტაციისათვის უნდა გავითვალისწინოთ მთელი რიგი ფაქტორები, რომლებიც შესაძლოა მოქმედებდნენ საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფის ცდისპირთა აგრესიულობის დონის დადგენისას.

ცხრილი

აგრესიულობის მონაცემები თითოეული შკალის მიხედვით

ცდისპირები	შ კ ა ლ ე ბ ი								
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
№ 1—20	17	9	9	1	10	9	11	15	I
	85%	45%	45%	5%	50%	45%	55%	75%	II
№ 2—27	17	10	14	8	5	9	6	15	I
	63%	37%	52%	30%	19%	33%	27%	55%	II

№1 — მართლგამგონე არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა.

№2 — დამნაშავე არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა

I, II — შედინაზე მაღალი მონაცემები თითოეული შკალის მიხედვით

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ექსპერიმენტული ჯგუფის ცდისპირებს შეადგენენ არასრულწლოვანი დამნაშავენი, რომლებმაც სულ ახლახან ჩაიდინეს რა საზოგადოებრივად მავნე ქცევა, დაისაჯენ კიდევ და სწორედ სასჯელის მოხდის სიტუაციაში იმყოფებიან. მათი უმრავლესობისთვის ეს არის თავისუფლების აღკვეთის პირველი შემთხვევა, ამასთან, მათ ჯერ კიდევ არ გაუწყვეტიათ თავისი კავშირები ჯანმრთელ სოციალურ გარემოსთან. მათი ბუნებრივი მისწრაფებაა რაც შეიძლება უკეთესად წარმოაჩინონ თავისი პიროვნება, სოციალურად უფრო მისაღები გახადონ იგი ჩვენს თვალში, ამდენად ცდილობენ ნაკლებ გამოავლინონ ისეთი თვისებები და ჩვევები, რაც სოციალურად არაა მოწონებული. და თუმცა მთელი რიგი ხერხები იქნა გამოყენებული რათა აგრესიულობის კითხვარში გამოირიცხულიყო სოციალურად მისაღები პასუხების მოცემის ტენდენცია, კითხვარში ჩვენი აზრით მაინცაა ისეთი კითხვები რომლებზეც ცდისპირს შეუძლია ნაწილობრივ შენიღბოს თავისი აგრესიულობა.



ამიტომ, შესაძლოა, აქ გამოვლინდა შემდეგი გარემოება: მეთოდების ბატარეის გამოყენების შედეგად აღმოჩნდა, რომ გარკვეული კავშირი არსებობს ინდივიდუუმის თვისებებსა და ძალადობითი დანაშაულის ჩადენას შორის. მაგარი [9] ვარაუდობს, რომ ძალადობა პროპორციულია აგრესიისაქენ წაქეზების ხარისხისა, მაგრამ თვით აგრესიული ქცევის გამოვლენა დამოკიდებული იქნება ინდივიდის თვითკონტროლის ხარისხზე. აგრესიული ქცევის გამოვლინების მხრივ შეიძლება განვასხვაოთ ორი ყველაზე უფრო გავრცელებული ტიპი. პირველი, რომელსაც არა აქვს საკმარისად განვითარებული თვითკონტროლის გრძნობა. ეს ისეთი პიროვნებაა, რომელსაც ნაკლებად გააჩნია დათრგუნვილი აგრესიული ტენდენციები. იგი, ჩვეულებრივ, აგრესიულად რეაგირებს ყოველ ფრუსტრაციაზე. მეორე ტიპს ძლიერ განვითარებული აქვს თვითკონტროლი. ასეთი ტიპი სხვაგვარად იქცევა. მისი მედეგობა აგრესიის გამოხატვის წინააღმდეგ ზედმიწევნით მტკიცეა, ამიტომ იგი იშვიათად რეაგირებს აგრესიულად იმის მიუხედავად, რაც უნდა ძლიერი იყოს პროვოკაცია აგრესიისადმი. მაგრამ განსაზღვრული ვითარებისას მას შეუძლია მოახდინოს მთელი თავისი ენერჯის რეალიზაცია ერთ, მაგრამ უკიდურესად აგრესიულ აქტში. შემდგომში იგი უბრუნდება თავის ჩვეულებრივ ზეკონტროლირებულ ქცევას.

ჩვენი ექსპერიმენტების შედეგების ასეთი განაწილება, ნაწილობრივ ამ კანონზომიერების გამოვლენას შეიძლება წარმოადგენდეს. დანაშაულის ჩამდენი და დანაშაულში გამოვლენილი მოზარდები უფრო მეტად აკონტროლებენ თავის ქცევას, ვიდრე მათი ტოლი მართლგამგონე მოზარდები. მართლგამგონე მოზარდები არც დგანან იმის აუცილებლობის წინაშე, რომ ზედმეტად გააკონტროლონ თავისი ქცევა. მოზარდისათვის დამახასიათებელია ავტონომიის და დამოუკიდებლობის მოთხოვნილება, რომელიც ზშირად ქცევის ზოგიერთი საყოველთაოდ მიღებული და მოწონებული ნორმის ოპოზიციაშიც კი ნახულობს გამოვლენას და მართლგამგონე მოზარდი საკუთარი „მე“-ს უფრო მკვეთრად და ხანჯავსმით რეალიზაციის შანსს ნახულობს ისეთი დებულებისადმი თანხმობაში, რაც შესაძლოა ოდნავ შოკისებურ გავლენასაც კი მოახდენს მოზარდილებზე. მართლგამგონე მოზარდი უფრო გაბედულად, თამაზად და ცოტა გამომწვევადაც კი იქცევა და მეტ თავისუფლებას აძლევს თავის აგრესიულ მოთხოვნილებებს, ვიდრე დანაშავე. მართლგამგონე მოზარდს კიდევაც მოსწონს თავი, თუ თავის ქცევათა არსენალში ისეთ ქცევას „აღმოაჩენს“, რომელიც მისი პიროვნების დამოუკიდებლობასა და სიძლიერზე მიუთითებს.

ეს შედეგები შეესაბამება ბასის მოსაზრებას, როდესაც იგი აგრესიულობის ძალის ერთ-ერთი დეტერმინანტის—ტემპერამენტის ცვლადად მიიჩნევს აქტივობის და დამოუკიდებლობის დონეს. დამოუკიდებლობა, მისი აზრით, მიმართებაშია თავის თავის პატივისცემასთან და ჯგუფური დაწროებისაგან თავდაცვასთან. ასეთი ინდივიდებისათვის ყოველდღიურ ცხოვრებაში უფრო მეტი გამოიწიანებული არსებობს აგრესიული ქცევისათვის. დამოუკიდებლობის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს დაუმორჩილებლობისაქენ, ბუნტისაქენ ტენდენცია. ამგვარად, საკუთარი ინდივიდუალობის დაცვის სურვილს მიყვევართ იქითკენ, რომ ასეთ პიროვნებას უფრო ძლიერი აგრესიული ჩვევები აქვს, ვიდრე მორჩილებაში მყოფ, კონფორმულ პიროვნებას. ფსიქოლოგიური გამოკვლევებით დადგენილია, რომ მოზარდობის ასაკის ცენტრალურ ფსიქოლოგიურ თვისებებზე წარმოადგენს, ის, რომ წარმოიქმნება და ძალიან ინტენსიური ხდება დამოუკიდებლობის და თავისუფალი აქტივობის მოთხოვნილება.

მართლგამგონე მოზარდი, სრულად ატარებდა რა თავისი ასაკის ფსიქოლოგიის ნიშნებს, ხასიათდება დამოუკიდებლობის და თავისუფალი აქტივობის ძლიერი მოთხოვნებით, რაც თავისებურად ვლინდება ჩვენ კითხვაზე გაცემულ პასუხებშიც. მართლგამგონე მოზარდები უფრო აგრესიულად პასუხობენ მთელ რიგ კითხვებს, რამდენადაც ეს მათი აზრით უფრო სრულად გამოხატავს მათ ინდივიდუალობას, დამოუკიდებლობას, პიროვნულ „მეს“.

იგივე ასაკის არიან არასრულწლოვანი დამნაშავეებიც, მაგრამ ეს ასაკობრივი თავისებურება მათთან სხვანაირად ვლინდება. საქმე იმაშია, რომ ისინი რეალურად ქცევის აქტებში ახდენენ ამ მოთხოვნების რეალიზაციას. მათ უკვე განახორციელებს დამოუკიდებელი, „ვაჟაკური“, ხშირად დიდებისთვისაც საქმიად „ძნელი“ ქცევა. ამდენად დანაშაულის ჩამდენ მოზარდებს ასეთი დებულებებისადმი თანხმობა-უთანხმოება არ ესაჭიროებათ თავისი „მე“ კონცეფციის დამტკიცებისთვის.

ამასთან, ის გარემოება, რომ მათ უკვე რეალურად განახორციელებს აგრესიული ქცევა და კიდევაც დაისაჯენ ამისთვის, ააქტუალიზირებს მათ თვითკონტროლს და ისინი უკვე სხვაგვარად აღიქვამენ კითხვარში მოცემულ დებულებებს.

ჩვენს ამ შედეგებთან გარკვეულ მიმართებაშია იგოშევის გამოკვლევა [2].

იმ გამოკვლევების საწინააღმდეგოდ, რომელთა მიხედვითაც არასრულწლოვანი დამნაშავეთა უმრავლესობა ხასიათდება თავშეუკავებლობით, უხეშობით, იგოშევა დაადგინა, რომ არასრულწლოვანთა მხოლოდ 12—32 % ხასიათდება ასეთი თვისებებით (დანაშაულის სხვადასხვა სახეების მიხედვით). ასეთი განსვლის მიზეზი ისაა, რომ იგოშევა შეისწავლა ის პირები, რომლებიც იმყოფებოდნენ შრომა-გასწორებით კოლონიაში, ე. ი. მათი ხასიათის გამორმულავნება, ასახვა ხდებოდა არა დანაშაულის მომენტში, არამედ სასჯელის მოხდის პერიოდში. შრომა-გასწორებით დაწესებულლებებში კი სწორედ ეს თვისება (ყოველ შემთხვევაში მისი გარეგნული გამოვლინება მაინც) პირველ რიგში ითვრგუნება ხოლმე. შესაძლოა აგრესიულობის აშკარად გამოხატული ფორმების მიმართაც ასეთ რამეს აქვს ადგილი.

ამდენად, ჩვენი აზრით, ჩვენს ექსპერიმენტში დამნაშავე არასრულწლოვანების აგრესიულობის დაბალი დონე მართლგამგონეებთან შედარებით ამ ფაქტორებით უნდა იყოს განპირობებული და ისიც უსათუოდ უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ჩვენი ცდისპირები ძირითადად ქურდი არასრულწლოვანი დამნაშავეებისგან შედგებოდნენ (გარდა ორი ცდის პირისა, ყველა სასჯელს იხდინა ქურდობისთვის). საბჭოთა მკვლევარის ენიკოპოლოვის [8] კვლევამ უჩვენა რომ, დამნაშავეთა ყველა კატეგორიასთან შედარებით, ქურდებს დაბალი აგრესიულობა ახასიათებთ. მართალია ეს შედეგები მიღებულ იქნა მოზარდილ დამნაშავეებზე, მაგრამ ჩვენი აზრით, შეიძლება მათი ექსტრაპოლირება ყველა ქურდ დამნაშავეზე, მათ შორის არასრულწლოვანზე. დანაშაულის სპეციფიკიდან გამომდინარეც, აგრესიულობის დაბალი დონე უფრო უნდა ახასიათებდეს ქურდ დამნაშავეებს დამნაშავეთა სხვა კატეგორიასთან შედარებით.

საინტერესოა განსხვავებები თითოეული შკალის მონაცემებს შორის. განსხვავება ფიზიკური აგრესიის მიხედვით და შედარებით ნაკლები სხვაობა არამიმართული აგრესიის მიხედვით, ადასტურებს ჩვენს ზემოთ განვითარებულ

მსჯელობას. მართლგამგონე მოზარდებისათვის ისეთ დებულებებზე თანხმობა, რომელიც ფიზიკური ძალის გამოხატულებაზე მიუთითებს, მეტ ღირებულებას შეიცავს თავისი დამოუკიდებელი და ფიზიკურად ძლიერი „მე“-ს დამტკიცებისათვის.

ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მართლგამგონე მოზარდები სპეციალურად ირჩევენ რომელიმე დებულებას და შეცდომაში შეეყვართ, არამედ ეს ხდება თავისთავად, რადგან მათ მოთხოვნილება აქვთ დაემსგავსონ იდეალურ „მე“-ს, მოზარდობის ასაკის სპეციფიკიდან გამომდინარე იდეალური „მე“ — კი ფიზიკურად ძლიერი, გამბედავი, მამაცი, დამოუკიდებელია. ამდენად, როცა ისეთი დებულებები ხვდება, რომელიც მათ აახლოებს იდეალურ „მე“-სთან, მისდა უნებურად მოზარდი თავის თავში აღმოაჩენს ასეთ თვისებებს და უნარებს და იგი საესებით გულწრფელია, როცა დადებით პასუხს ირჩევს ასეთი დებულების მიმართ. არამიმართული აგრესიის შკალას კი ისეთი დებულებები მიეკუთვნება, რომელშიც კითხვები არ შეიცავს ასეთი პირდაპირი შინაარსის დებულებებს, და არც ხდება მოზარდის ზემოთ აღნიშნული მოთხოვნილებების აქტუალიზირება.

დამნაშავე არასრულწლოვანებში კი, პირიქით, უფრო განვითარებულია თვითკონტროლი, რაც ამცირებს გამოვლენილი აგრესიულობის დონეს. ამასთან, შესაძლოა ისიც დავუშვათ, რომ დანაშაულისათვის გარკვეული სასჯელის მისჯა იწვევს კონტრასტულ რეაქციას და გარკვეული პერიოდის განმავლობაში თრგუნავს აგრესიულ მოთხოვნილებებს.

ის ფაქტი, რომ აგრესიულობის დონის დაწვევა მართლაც შესაძლოა ამაზე მიუთითებდეს, რომ თვითკონტროლის მაღალი დონის გამო გამოვლენილი აგრესიისადმი მედეგობა მტკიცეა და იშვიათად რეაგირებს აგრესიულად, თუმცა აგრესიულობა მაქსიმალურად შეიძლება აკუმულირებული იყოს მის პიროვნებაში. გამორჩევა IV შკალაზე (ნეგატივიზმის შკალაზე) მართლგამგონე და დამნაშავე არასრულწლოვანთა მონაცემების მნიშვნელოვან სხვაობაში, აქ უკვე დამნაშავეთა დიდი რაოდენობრივი უპირატესობით. 30% დამნაშავე არასრულწლოვანმა გამოავლინა ნეგატივიზმის მაღალი დონე და მხოლოდ 5 % მართლგამგონემ. თუ მართლგამგონეებთან სოციალურად მოწონებული ქცევის ნორმების და შეხედულებებისადმი ოპოზიცია ასაკობრივი თავისებურებებით შეიძლება იყოს გამოწვეული და არ იყოს საზოგადოებისადმი ნამდვილი დაპირისპირების შედეგი, დამნაშავეთა მაღალი მონაცემები ნეგატივიზმის შკალაზე მიუთითებს მათ რეალურ დაპირისპირებულობაზე სოციალურად მოწონებული ნორმებისადმი.

მსგავსი რამ, რაც ზემოთ შევხებოდან ფიზიკური აგრესიის შკალას, გავრცელდება ვერბალური აგრესიის შკალის მიმართ. ამ შკალაზეც (VII შკალა) მართლგამგონეთ უფრო მაღალი მონაცემები აქვთ, ვიდრე დამნაშავეთ (55% 27 %-ის საწინააღმდეგოდ). აქაც, დამოუკიდებლობის მოთხოვნილების აქტუალიზირების შედეგი უნდა იყოს მართლგამგონეთა მაღალი მონაცემები. მაგ. მართლგამგონე მოზარდთა უმრავლესობა № 75 დებულებაზე „მირჩევნია დავეთანხმო, ვიდრე დავიწყო კამათი“ არ ეთანხმება, რადგან მოზარდის იდეალური „მე“-სთვის დათანხმება ისეთი რამის მიმართ, რაც საკამათოა, ნიშნავს კონფორმიზმს, მორჩილებას, ე. ი. გარკვეული აზრით სიმხდალესაც. მაშინ, როცა დამნაშავე მოზარდი, რომელიც უკვე გარკვეულად დასჯილია თავისი უთანხმოებისათვის საზოგადოებაში გავრცელებულ ნორმებთან, თვლის რომ უმჯობე-

სია დაეთანხმოს, რადგან თავისი პოზიცია სხვადასხვაგვარადაც შეიძლება დაამტკიცოს, სხვებთან კამათს კი შესაძლოა მისთვის არასასურველი შედეგი მოჰყვეს. ამ აზრს გარკვეული ზომით ალბათ მართლმსაჯულების ორგანოებთან მისი ურთიერთობის და კოლონიაში მისი ყოფნის პრაქტიკაც უდასტურებს.

შედარებით მნიშვნელოვანია განსხვავებაც VIII — ბრალის განცდის შკალის მონაცემების მხრივაც. აქაც უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ მართლგამგონეთ, ვიდრე დამნაშავეებს. ჩვენი აზრით, ეს განპირობებულია იმით, რომ მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავეს ბრალი დამტკიცებული აქვს სახელმწიფო ორგანოების მიერ, იგი გაუცნობიერებლად მიმართავს სხვადასხვა ფსიქოლოგიურ მექანიზმებს, რათა თავისი „მე“-ს კონცეფცია შეინარჩუნოს და ფსიქოლოგიურად ბრალეულად არ იცნოს თავი. სწორედ იმიტომ, რომ ის ბრალდებულია, მას ნაკლებ აქვს ნამდვილი ბრალის განცდა, ეს კი მას ეხმარება საკუთარი თავის შესახებ დადებითი წარმოდგენის შენარჩუნებაში. ბრალის თავიდან აცილება ფსიქოლოგიური თავდაცვის ერთ-ერთი მექანიზმია. დამნაშავე არასრულწლოვანებთან საუბარი, მათთან ავტობიოგრაფიული და ღირებულებითი ანკეტის მონაცემები ადასტურებს, რომ მათ ნაკლებად აქვთ ბრალის განცდა, ამას გარკვეული ფსიქოლოგიური ფუნქცია აკისრია „მე“-ს კონცეფციის შენარჩუნებისათვის. დამნაშავე არასრულწლოვანთა მიერ ბრალის დაბალი დონის გამოვლინება ადასტურებს ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ დამნაშავეებს ახასიათებთ გარკვეული სულთწიკი პრიმატივიზმი. მათ არ გააჩნიათ სურვილი ან არ აქვთ უნარი შეაფასონ ზოგიერთი ზოგადსაკაცობრიო ღირებულებანი და დაიცვან შესაბამისი ქცევის ნორმები, ხშირად მათში ძალზეა გავრცელებული დაცვითი მიმიკრია, მისწრაფება რაღაც არ უნდა დაუჯდეს გაამართლონ თავისი, საქციელი, ახასიათებთ თვითკრიტიკის გრძნობის უქონლობა, რაც ერთის მხრივ ეხმარება მათ ნაკლები შინაგანი კონფლიქტები გააჩნდეთ ანტისაზოგადოებრივი, დანაშაულებრივი ქცევის განხორციელების გამო.

ჩვენი ექსპერიმენტის შედეგების, დამნაშავეებთან ავტობიოგრაფიულ ანკეტაზე პასუხების და პირადი საქმეების გაცნობის საფუძველზე ერთი საინტერესო მოსაზრება განმტკიცდა, რომელიც ეხმარება ამერიკელი მეკლევარის ბანდურას [5] აზრს. ხშირად ნეოფროიდისტები აგრესიის პირველად მიზეზად თვლიან უკმარისობის, დაუკმაყოფილებლობის, წარუმატებლობის გაუცნობიერებელ გრძნობას, მაგრამ ბანდურას კვლევებმა უჩვენეს, რომ აგრესიის აღმოცენებისთვის მხოლოდ ეს გრძნობა საკმარისი არ არის, ინდივიდს უნდა გააჩნდეს რაიმე უარყოფითი მაგალითი (ნეგატიური ქცევის მოდელი) სწავლის და მიბაძვისათვის. პიროვნებას, რომელიც აგრესიას მიმართავს, ამ მაგალითის საფუძველზე, ე. ი. ნეგატიური ნიმუშის საფუძველზე, ექმნება გარკვეული ეფექტი ან მიბაძვის ფუნქცია, რომელიც სხვა პირობებთან ერთად ხელს უწყობს აგრესიული აქტის განხორციელებას. ჩვენი მონაცემებიდან აღმოჩნდა, რომ 13 არასრულწლოვან დამნაშავეს, რომელთაც აგრესიულობის მაღალი დონე გამოავლინეს, უფრო ხშირად ჰქონდათ ნეგატიური ქცევის ნიმუში, ვიდრე სხვებს. მათი უახლოესი გარემოციდან ზოგის მამა, ზოგის მამა რეციდივისტია. ზოგიერთი მათგანის მამა ხშირად მიმართავდა აგრესიულ ქცევის აქტებს ოჯახშიც და გარეთაც. ეს მონაცემი ერთხელ კიდევ მიუთითებს აღრუულ ასაკში ჩანს-

ლი სოციალური გარემოსა და დადებითი ქცევის მოდელების მნიშვნელობაზე პიროვნული თვისებების ფორმირებისათვის.

მნიშვნელოვან მიგვაჩნია ჩვენი ექსპერიმენტის კიდევ ერთი შედეგი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მტრულობის კოეფიციენტი საერთოდ არ აღმოჩნდა მაღალი და ამ მხრივ განსხვავება არაა არასრულწლოვან დამნაშავეებსა და მართლგამგონეთა შორის. საზღვარგარეთის ფსიქოლოგიაში მტრულობის ფენომენის კვლევამ უჩვენა, რომ მისი დონის დაწევზე მნიშვნელოვნად მოქმედებს ე. წ. კულტურული ტაბუს შინაარსი. ჩვენს ექსპერიმენტში მტრულობის დაბალი დონე იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენი კულტურის ნორმები არ შეიცავენ მტრული ქცევის მოდელების განმამტკიცებელ შინაარსებს. ამდენად, ინდივიდში აგრესიული და მტრული ქცევების განვითარებასა და განმტკიცებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სხვა ისეთ დეტერმინანტებს, როგორცაა აღზრდის პრაქტიკა, ინდივიდის მიმართ განხორციელებული აგრესიული და მტრული იმპულსების სიხშირე, თვით მის მიერ განხორციელებული აგრესიისათვის დადებითი ან უარყოფითი განმტკიცებების ინტენსივობა, აგრეთვე ტემპერამენტის თვისებებს. ამ ფაქტორების გათვალისწინება აუცილებელია, რათა თავიდან იქნეს აცილებული პიროვნებაში აგრესიულობის და მტრულობის თვისების ჩამოყალიბება.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კვლევა შედარებით მცირერიცხოვან კონტინენტზე წარმოებდა, კვლევის შედეგებმა და ანალიზმა საინტერესო მოსაზრებები წარმოშვა და ცხადყო, რომ აგრესიულობის ფენომენის შესწავლა ღირებულია როგორც თეორიული თვალსაზრისით, ისე პრაქტიკის საჭიროებისათვისაც. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ასეთი ტიპის კვლევებს და მათი შედეგების გათვალისწინებას სასჯელის ინდივიდუალიზაციის და აღზრდის პოლიტიკის სწორი და ეფექტური შერჩევისა და განხორციელებისათვის.

Г. А. МАГРАДЗЕ

ОСОБЕННОСТИ ПРОЯВЛЕНИЯ АГРЕССИВНОСТИ У ЗАКОНОПОСЛУШНЫХ ПОДРОСТКОВ И НЕСОВЕРШЕННОЛЕТНИХ ПРЕСТУПНИКОВ

Резюме

Анализ антиобщественного поведения несовершеннолетних показывает, что не только в т. н. насильственных, но и в иных видах преступной деятельности часто присутствует элемент агрессивности. Исследования агрессивности имеет большое значение как для ранней профилактики, так и для разработки мер исправления и перевоспитания несовершеннолетних правонарушителей.

Для исследования агрессивности несовершеннолетних преступников нами был выбран опросник Басса-Дарки. В связи с этим в статье рассмотрены основные психологические теории, касающиеся проблемы агрессии, и применяемые методы исследования агрессивности.

Эксперимент был проведен на воспитанниках колонии несовершеннолетних преступников МВД ГССР. Для контрольной группы были подобраны старшеклассники тбилисских средних школ.

Данные эксперимента показали, что коэффициент агрессивности более высок у законопослушных, чем у несовершеннолетних преступников (85%—48%). По коэффициенту враждебности различия были незначительны (37%—40%). На основе анализа данных выявилось, что агрессивность характеризуется специфической природой как у несовершеннолетних преступников, так и у законопослушных испытуемых. В статье высказаны соображения о значении для агрессивности личности таких факторов, какими являются уровень самоконтроля, негативные подкрепления, возрастно-психологические особенности, механизмы психологической самозащиты и т. д.

ლიტერატურა

1. Кудрявцев В. Н. Причинность в криминологии. М., 1968.
2. Игощев К. Е. Опыт социально-психологического анализа личности несовершеннолетних правонарушителей. М., 1967.
3. Ениколонов С. Н. Агрессивность как специфическая форма активности и возможности ее исследования на контингенте преступников. Сб. Психологическое изучение личности преступника. М., 1976.
4. Уэлс. Крах психоанализа. М., 1968.
5. Bandure A., Walters R. H. Adolescent Aggression. N. J., 1959.
6. Buss A. The Psychology of Aggression. N. I., 1961.
7. Feshbach, The Stimulating v. s. Cathartic Effects of Vicerious Aggressive Activity. Journal abnormal and Social Psychology. 1961, 63.
8. Karthy J. and Eblling T. (eds). The natural History of Aggression. N. J.
9. Magargee K. J. Untercontrollet and Overcontrolled Personality Types in Extreme Antisocial Aggression. Psych. Monogr. 1966, 80.
10. Storr A. Human Aggression. N. I, 1968.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

საუშრადღებო გამოკვლევა XX საუკუნის ქართული ფილოსოფიის ისტორიაში¹

გამოვიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ფილო ნადიბაიძის ნაშრომი „ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი XX საუკუნის საქართველოში 1900—1921“. მართალია, ამ პერიოდის ფილოსოფიური აზრის გამოკვლევა ჩვენში ადრეც ყოფილა ნაცადი, რაც წინამდებარე წიგნში სათანადოდ არის გათვალისწინებული, მაგრამ, აღნიშნული პერიოდის მთლიანი და სისტემური ხასიათის გამოკვლევა დღემდე არ გვექონია. ამ ხარვეზს ავსებს ფ. ნადიბაიძის წინამდებარე ნაშრომი, დაახლოებით საუკუნის მეოთხედის განმავლობაში საქართველოში გაჩაღებული იდეური ბრძოლა გაშუქებულია მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის მეთოდოლოგიური პრინციპების, განსაკუთრებით კი მატერიალიზმისა და იდეალიზმის ბრძოლის პრინციპის თვალსაწიერიდან.

სარეცენზიო ნაშრომი შედგება შესავლისა და სამი თავისაგან. შესავალში მოცემულია მაშინდელი რუსეთისა და მასში შემავალი საქართველოს სოციალური და კულტურული ვითარების მოკლე დახასიათება. პირველ თავში — „ბურჟუაზიულ მიმდინარეობათა ძირითადი თავისებურებანი და მათი რეაქციული არსი“, კრიტიკულად განხილულია ვ. ჩერქეზიშვილისა და არ. ჯორჯაძის ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები; მეორე თავში — „ლევალური მარქსიზმის“ ორმაგი ბუნება და მისი წვრილბურჟუაზიული არსი“ — მოცემულია ნ. ყორონიასა და ივ. გომართელის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ შეხედულებათა დალაგება და კრიტიკა; მესამე თავში — „ბრძოლა მარქსისტული ფილოსოფიის დაცვისა და გავრცელებისათვის საქართველოში“, — ნაჩვენებია ქართველი მარქსისტების ა. წულუკიძის, ი. სტალინის, ფ. მახარაძის, მ. დავითაშვილის ბრძოლა იდეალიზმის, ანარქიზმის, ოპორტუნიზმისა და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ქართველ წარმომადგენელთა წინააღმდეგ. ფ. ნადიბაიძის წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს გაშლილ სურათს იმ იდეური ბრძოლისა, რომელსაც საქართველოში ჰქონდა ადგილი XX საუკუნის პირველ მეოთხედში.

XIX საუკუნის დასასრულს კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში ფაქტურადაა. ბურჟუაზიული ურთიერთობები შეიქმნნენ საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. ბურჟუაზიის ბატონობის გაძლიერების კვალდაკვალ ძლიერდება მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობაც, პროლეტარიატს XIX საუკუნის 40-იან წლებში ეძლევა ბასრი თეორიული იარაღი მარქსიზმის სახით, რომელიც ასაბუთებს პროლეტარიატის მსოფლიო ისტორიულ მისიას და კაპიტალიზმის დაღუპვის, გარდუევალობას. ამავე დროს მარქსიზმში თავს იჩენს მეორე ნაკადი, რომელიც ცდილობს მუშათა მოძრაობა ბურჟუა-

¹ ფილო ნადიბაიძე, ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი XX საუკუნის საქართველოში 1900—1921, „მეცნიერება“, თბილისი, 1980; რედ. შ. ხიდაშელი.

ზიულ სინამდვილეს დაუმორჩილოს და შეუგუოს. დასავლეთ ევროპაში ამ ვითარების გამოხატველი იყო ედ. ბერნშტეინი, რუსეთში კი — პ. სტრუვეს, ტუგან-ბარანოვსკის, ნ. ბერდიაევის და სხვათა „ლეგალური მარქსიზმი“ — ამ უკანასკნელის მისიას საქართველოში ნ. ყორღანია ახორციელებდა. ახალგაზრდა ქართველ მარქსისტ-ლენინელებს თავიდანვე მოუხდათ ბრძოლა, ერთი მხრივ, ანარქიზმისა და ფეოდალიზმის იმ ლიდერებთან, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ იცავდნენ ბურჟუაზიის ინტერესებს და ამკარად აგრძელებდნენ სუბიექტურ-იდეალისტური ფილოსოფიის იმ ნაკადს, რომელიც ჩვენში ხალხოსნებიდან მოედინებოდა, ხოლო, მეორე მხრივ, „ლეგალური მარქსიზმისა“ და მამასადამე, ოპორტუნიზმის იმ წარმომადგენლებთან, რომლებიც ასევე ამკარად აეულგარებდნენ და ამახინჯებდნენ რევოლუციურ მარქსიზმს.

სარეცენზიო ნაშრომის პირველ თავში წარმოდგენილი და განხილულია ანარქისტთა და ფედერალისტთა ლიდერების ვ. ჩერქეზიშვილისა და ა. ჯორჯაძის ფილოსოფიური შეხედულებები.

ვ. ჩერქეზიშვილი თავის ნაშრომებში უხვად იყენებს მატერიალისტური ფილოსოფიის ტერმინოლოგიას, ცნებებსა და კატეგორიებს, ემყარება მატერიალიზმის ამოსავალ დებულებას, მაგრამ მათს ხმგვარ ინტერპრეტაციას იძლევა, რომ მისი მატერიალიზმისაგან თითქმის აღარაფერი რჩება: „ვ. ჩერქეზიშვილი, — სამართლიანად წერს ავტორი, — ზოგად ფილოსოფიური თვალსაზრისით მატერიალისტურ ხაზს იცავდა, მაგრამ მისი მატერიალიზმი მექანიკურ-მეტაფიზიკური იყო და მეთოდოლოგიურადაც ცალმხრივი ემპირიზმის ფარგლებს ვერ სცილდებოდა. ამიტომ იყო, რომ იგი საბოლოო ჯამში, სინამდვილის მოვლენათა იდეალისტური ინტერპრეტაციის გზას დაადგა“ (გვ. 21—22).

ფ. ნადიბაიძის წინამდებარე ნაშრომში ნათლად არის ნაჩვენები, რომ ვ. ჩერქეზიშვილისათვის გაუგებარი დარჩა მოძრაობისა და განვითარების ჰეგელ-მარტი ბუნება, რამაც განსაზღვრა კიდევაც ცალმხრივი ემპირიზმის პოზიციებზე მისი დარჩენა. მოძრაობისა და განვითარების გაუგებლობამ ვ. ჩერქეზიშვილი მიიყვანა სინამდვილის ობიექტური კანონზომიერების უარყოფამდე.

ვ. ჩერქეზიშვილმა საქართველოში პირველმა წამოაყენა ანარქიზმის ცნობილი დებულება სახელმწიფოს უარყოფის შესახებ. მისი აზრით, ყოველგვარი სახელმწიფო არის იარაღი ერთი კლასის ან ერთი ხალხის მეორეზე ბატონობისა. ამიტომ, ყოველი სახელმწიფო სოციალური რევოლუციის დასაწყისშივე უნდა იქნეს მოსპობილი. ვ. ჩერქეზიშვილის მიხედვით, საქმეს ვერც პროლეტარული სახელმწიფო უშველის, რადგან ისიც აუცილებლობით შეინარჩუნებს ბურჟუაზიული იერარქიის მძიმე „ბოროტებს“ (გვ. 35).

ვ. ჩერქეზიშვილისა და მის თანამოაზრეთა კეთილი სურვილები და თეორია, რომელსაც ისინი იცავდნენ, ერთიმეორესთან დაუძლეველ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა. ამ ვითარების ზუსტ დახასიათებას იძლევა ავტორი: „თავისი მოწოდებით, განზრახვითა და სურვილებით ანარქიზმი, თითქოს, მოსაწონი და მისაღებია, მაგრამ, მეორე მხრივ, იგი არასასურველი და უფრო მეტიც, მავნებელია, რადგან იგი დაუსაბუთებელი, უტოპიური და მამასადამე, ისეთი არასწორი თეორიაა, რომელიც ჩაგრულ კლასებს ხელს კი არ უწყობს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, არამედ, პირიქით, კლასთა ბრძოლის მიჩ-

ქმალვის გზით, გაერთიანებული ბრძოლის სწორ გზას აცილებს მათ და, საბოლოო ჯამში, გაბატონებული კლასების ინტერესების დამცველად იქცევა“ (გვ. 37).

ბურჟუაზიული ფილოსოფიის მეორე წარმომადგენლის — არ. ჯორჯაძის ფილოსოფიური შეხედულებანი, ავტორის მიხედვით, ერთიან, სისტემურ ხასიათს არ ატარებს, დიდი ხნის მანძილზე ჩვენს ფილოსოფიურ და ისტორიულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა იყო არ. ჯორჯაძის ფილოსოფიური კვალიფიკაციის შესახებ. ზოგიერთი მას კანტის ფილოსოფიის მიმდევრად აცხადებდა, სხვები კი მას ცალმხრივი ემპირიზმის წარმომადგენლად თვლიდნენ. უფრო ზუსტი და სამართლიანი ჩანს ავტორისეული დახასიათება, რომლის მიხედვითაც 1908 წლამდე არ. ჯორჯაძე იზიარებდა კანტის სუბიექტურ-იდეალისტურ თვალსაზრისს, ხოლო შემდეგ ცალმხრივი ემპირიზმის პოზიციას დადგა და სექტიციზმამდე დაეშვა. სიცოცხლის ბოლო წლებში მისი ყურადღების ცენტრში სიცოცხლის ფილოსოფიის პრობლემატიკა ექცევა (გვ. 39).

არ. ჯორჯაძე აკრიტიკებს როგორც მატერიალიზმს, ისე იდეალიზმს მათ მიერ ამოსავალ დებულებათა უკრიტიკოდ მიღების გამო. მარქსისტული მატერიალიზმი, არ. ჯორჯაძის მიხედვით, დაუსაბუთებლად აღიარებს თვითმობრავი მატერიის სუბსტანციურ პირველადობას. სუბიექტური იდეალიზმი ასევე დოგმატურად ეყრდნობა აზრის პირველადობას. ყოველივეს ამხსნელად, აღნიშნავს არ. ჯორჯაძე, არ შეიძლება დასახელებულ იქნეს ის, რაც თვითონ მოითხოვს ახსნას, რაც ჩვენი ადამიანური შემეცნებისათვის უშუალოდ მიუწვდომელია. ყოველგვარი სუბსტანცია კი ასეთია და ამიტომ მეცნიერული შემეცნების საგანი „მოვლენაა და არა სუბსტანცია... მეცნიერება არ გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ ამ მოვლენის ძირითადი, პირველი საფუძველი ეს არის თუ ის“ (გვ. 40).

დიდხანს იცავდა არ. ჯორჯაძე კანტის ფილოსოფიის მაგისტრალურ ხაზს. დიდხანს ირწმუნებოდა, რომ შემეცნების საგანიც და მასში აღმოჩენილი კანონზომიერებაც შემეცნებელი სუბიექტის მოღვაწეობის პროდუქტია. ამ მტკიცების ძირითადი მიზანი იყო სინამდვილის ობიექტური კანონზომიერებისა და კანონზომიერებიდან გამომდინარე აუცილებლობის შემეცნების შესახებ მარქსისტული დებულების უარყოფა. კანტის მსგავსად, არ. ჯორჯაძე ცდილობდა იდეალიზმისა და მატერიალიზმის გაერთიანებას. კანტის ფილოსოფიის კომპრომისული ხასიათი თავის გამოხატულებას ნახულობს არ. ჯორჯაძის „საერთო ნიადაგის ბურჟუაზიულ თეორიაში“.

ამ თეორიის თანახმად, ენის, ტერიტორიისა და მეურნეობის ერთობის ნიადაგზე თითოეული ერის სხვადასხვა კლასებს „საერთო ნიადაგი“ უნდა მოენახათ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის, რათა დამოუკიდებელი ფედერაციების გზით მსოფლიო კონფედერაციამდე მივიდნენ. აღნიშნულმა თვალსაზრისმა სასტიკი მარცხი განიცადა მუშათა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის წლებში და არ. ჯორჯაძეც სუბიექტური იდეალიზმის პოზიციებიდან სექტიციზმის პოზიციებზე დაეშვა.

„საერთო ნიადაგის“ ბურჟუაზიულ თეორიასთან დაკავშირებით ნაშრომში განხილული და დამაჩერებლად გაკრიტიკებულია აუცილებლობისა და თვისუფლების მიმართების (გვ. 51—52), დიალექტიკის როგორც მეთოდის (გვ.

53—55), ერისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების (გვ. 59—62) არ. ჯორჯა-ძისეული გაგება.

სარეცენზიო ნაშრომის მეორე თავში, — „ლეგალური მარქსიზმის“ ორმაგი ბუნება და მისი წვრილბურჟუაზიული არსი“ — განხილული და გაკრიტიკებულია ნ. ჟორდანიასა და ივ. გომართელის შეხედულებები.

სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის დღიდანვე ნ. ჟორდანიას დაადგა ოპორტუნიზმის, ბურჟუაზიულ სინამდვილესთან მარქსიზმის შეგუების გზას. მისი პოლიტიკური პლატფორმის არსი იყო ბურჟუაზიული ნაციონალიზმი. ავტორი ლოგიკურად და დოკუმენტურად დამაჯერებლად ამტკიცებს იმ მოსაზრების მცდარობას, თითქოს ნ. ჟორდანიას 1918 წლამდე მარქსისტი იყო, ხოლო შემდეგ — ნაციონალისტი. ამგვარი პერიოდები ნ. ჟორდანიას მოღვაწეობაში არ ყოფილა (გვ. 67).

ნ. ჟორდანიას თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობის დამახასიათებელი ნიშანია მარქსიზმის ვულგარიზაცია და ფალსიფიკაცია. მაგალითად, იგი ცდილობდა საზოგადოებრივი ცხოვრება წარმოესახა წმინდა ევოლუციური განვითარების ფორმით და ამ პროცესიდან გამორიცხავდა ნახტომებსა და რევოლუციების აუცილებლობას. ნ. ჟორდანიას მიხედვით, ევოლუციონიზმი იყო საერთო პუნქტი დარვინიზმსა და მარქსიზმს შორის (გვ. 68).

არასწორად განმარტავდა ნ. ჟორდანიას სინამდვილის კანონზომიერი განვითარების საკითხს. მართალია, იგი აღიარებდა, რომ სინამდვილე ვითარდება საკუთარი ობიექტური კანონებისა და კანონზომიერების საფუძველზე, მაგრამ ამ კანონზომიერებიდან იგი მთლიანად გამორიცხავდა შემთხვევითობას, როგორც აუცილებლობის გამოვლენის ფორმას.

ნ. ჟორდანიას არა მარტო არ იზიარებდა ნაციონალური საკითხის მარქსისტულ გადაწყვეტას, არამედ პირიქით, თავის „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის“ თეორიას იგი არსებითად პროლეტარული ინტერნაციონალიზმის წინააღმდეგ მიმართავდა (გვ. 70).

სარეცენზიო ნაშრომში ფართოდაა წარმოდგენილი „ლეგალური მარქსიზმის“ მეორე წარმომადგენლის — ივ. გომართელის ფილოსოფიური შეხედულებები. მართალია, ივ. გომართელი რიც საკითხებში მატერიალიზმის პოზიციებზე იდგა, მაგრამ ამავე დროს მას ჰქონდა არსებითი ზასიათის შეცდომები, რომლებიც მას ანათესავებდა „ლეგალურ მარქსიზმთან“. ასე მაგალითად, ივ. გომართელი ცალმხრივი ევოლუციონიზმის თვალსაზრისზე იდგა, უარყოფდა ნახტომებს განვითარებაში, იზიარებდა ტერიტორიული ავტონომიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ თეორიას. ამასთან ერთად, ნაშრომში ნაჩვენებია ივ. გომართელის დამსახურება საქართველოში საბუნებისმეტყველო (სამედიცინო) ცოდნის განვითარების საქმეში.

მესამე თავი — „ბრძოლა მარქსისტული ფილოსოფიის დაცვისა და გავრცელებისათვის საქართველოში“ — მოიცავს წიგნის მთელი მოცულობის ნახევარზე მეტს. აქ განხილულია ალ. წულუკიძის, ი. სტალინის, ფ. მახარაძის, მ. დავითაშვილის შეხედულებანი; ნაჩვენებია მათი დამსახურება მარქსიზმის დაცვისა და გავრცელების საქმეში; დეტალურადაა გაანალიზებული მათი ბრძოლა ანარქიზმის, „ლეგალური მარქსიზმის“, მახიზმის, „საერთო ნიადაგის“ და სხვა ბურჟუაზიული თეორიების წინააღმდეგ.

მარქსისტული ფილოსოფიის დაცვისა და გავრცელების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ალ. წულუკიძეს. იგი ღრმად ჩასწვდა კ. მარქსის „კაპი-

ტალის“ შინაგან სტრუქტურას; ქართველ მკითხველს პირველმა მიაწოდა „კაპიტალის“ უმთავრესი ეკონომიკური პრინციპები, სისტემატური წესით დაა-
 ლაგა ისინი. რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის პერიდში საქართველოს
 მუშათა კლასისათვის იმ მეცნიერული მოღვაწეობის მშობლიურ ენაზე მიწო-
 დება, საიდანაც აუცილებლობით გამომდინარეობს პროლეტარული სოცია-
 ლიზმი — უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმე იყო (გვ. 106).

საყურადღებოა, რომ საქართველოს იდეური ცხოვრების არც ერთი
 მნიშვნელოვანი ნაკადი, რომელიც მარქსიზმს უპირისპირდებოდა, ალ. წუ-
 ლუკიძეს, მეტ-ნაკლებად, უბასუხოდ არ დაუტოვებია. მაგალითად, მან პირ-
 ველმა ამხილა არ. ჯორჯაძის „საერთო ნიადაგის“ სიყალბე.

სარეცენზიო ნაშრომში კრიტიკულადაა განხილული და შეფასებული
 ი. ბ. სტალინის მოცემული პერიოდის ნაშრომები. ზოგიერთი ნაკლოვანების
 მიუხედავად, ამ შრომებში განხილული და გაანალიზებულია მარქსისტული
 ფილოსოფიის ის ძირეული პრობლემები, რომელთა დაცვა მოუხდა მას ანარ-
 ქიზმისა და სხვა ბურჟუაზიული თუ წვრილბურჟუაზიული მიმდინარეობების
 წინააღმდეგ ბრძოლაში. ამასთან, ავტორი, — ფ. ნადიბაიძე — სამართლიანად აღ-
 ნიშნავს იმ დიდ ღვაწლს, რომელიც ი. სტალინს მიუძღვის ნაციონალური სა-
 კითხის დამუშავებაში.

კრიტიკულადაა განხილული აგრეთვე ფ. მახარაძის შეხედულებანი. ამ
 შემთხვევაშიც, ცალკეულ ნაკლოვანებებზე მითითებით, საფუძვლიანადაა ნა-
 ჩვენები ის ღვაწლი, რომელიც ფ. მახარაძეს მიუძღვის საქართველოში მარ-
 ქსისტული ფილოსოფიის დაცვისა და გავრცელების საქმეში. კერძოდ, ნაშ-
 რომში მაღალ მეცნიერულ დონეზე განხილულია დიალექტიკური და ისტო-
 რიული მატერიალიზმის ის პრობლემატიკა, რომელთა დაცვა და გავრცელება
 უხდებოდა მას იმ დამახინჯებათა წინააღმდეგ ბრძოლაში, რასაც მიმართა-
 დნენ ბურჟუაზიული იდეოლოგიის წარმომადგენლები.

ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მ. დავითაშვილის შეხედულე-
 ბათა ანალიზს. მ. დავითაშვილი ერთ-ერთი პირველია, ვინაც სისტემატური
 წესით გააკრიტიკა მახისტური ფილოსოფიის ძირითადი პრინციპები. სარეცენ-
 ზიო ნაშრომში ნათლად და დამაჯერებლად არის ნაჩვენები მ. დავითაშვილის
 შრომებში განხილული და დამუშავებული ის დებულებები, რომლებიც დღე-
 საც დიდ მნიშვნელობას ინარჩუნებენ ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღ-
 მდეგ ბრძოლაში.

ფ. ნადიბაიძის წინამდებარე ნაშრომში მოცემულია მკაფიო სურათი XX
 საუკუნის საქართველოს სულიერ ცხოვრებაში მატერიალიზმისა და იდეალიზ-
 მის ბრძოლისა. ამასთან ეს ბრძოლა ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებით
 ხასიათდება. მოცემული პერიოდის საქართველოში იდეალიზმის წარმომად-
 გენლები სრულიადაც არ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც თავიდანვე შეგ-
 ნებულად ირჩევენ იდეალიზმს, როგორც ფილოსოფიურ მიმართულებას; პი-
 რიქით, ვ. ჩერქეზიშვილი, არ. ჯორჯაძე, ივ. გომართელი და სხვები თავიდან-
 ვე იზიარებენ მატერიალიზმის არა მარტო ამოსავალ დებულებას, არამედ
 აგრეთვე რიგ მნიშვნელოვან მატერიალურ დებულებებს და მიუხედავად
 ამისა, საბოლოოდ ისინი მაინც იდეალიზმის ბანაკში ხვდებიან. მატერიის პირ-
 ველადობისა და ცნობიერების მეორადობის სტანდარტული აღიარება აქ აშკა-
 რად არ მუშაობს. მატერიალიზმისა და იდეალიზმის ბრძოლის ამ თავისებუ-

რების ნათელყოფა სარეცენზიო ნაშრომის ავტორის მნიშვნელოვან დამსახურებად მიმაჩნია.

სარეცენზიო ნაშრომის მთლიანობა და სისტემური ხასიათი მნიშვნელოვანწილად განპირობებულია საკვლევი პრობლემატიკის მატერიალიზმისა და იდეალიზმის ბრძოლის პრინციპის ჩარჩოებში მოქცევით. მეორე მხრივ, ამგვარ ჩარჩოებში მოქცევა უკანა პლანზე სწევს, რამდენადმე ჩრდილში აყენებს ფილოსოფიურ ცხოვრებას, როგორც ერის კულტურული ცხოვრების შემადგენელ ნაწილს, ფილოსოფიას, როგორც კულტურის ღირებულებას. საქმე იმაშია, რომ ე. ჩერქეზიშვილი, არ. ჯორჯაძე, „სოციალური მარქსიზმის“ წარმომადგენლები თავიანთი მიზანდასახულობით უფრო მეტად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განსაზღვრულ ფრთას ეკუთვნოდნენ. მათ ვერც მარქსიზმი გაიგეს და ვერც მუშათა რევოლუციური მოძრაობა. მიუხედავად ამისა, გარკვეული პერიოდის მანძილზე ისინი შეადგენდნენ ერის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალას. მათი მოღვაწეობის ეს ღირებულებითი ასპექტი ნაშრომში არსებითად უყურადღებოდ არის მიტოვებული.

ფ. ნადიბაიძის წინამდებარე ნაშრომი „ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი XX საუკუნის საქართველოში 1900—1921“ სერიოზული მეცნიერული გამოკვლევაა, იგი ავსებს იმ ხარვეზს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა ქართული ფილოსოფიური აზრის კვლევის სფეროში. ნაშრომი, უდავოდ, ღირსეულ ადგილს დაიკავებს ქართულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში.

პროფ. გ. შუშანაშვილი

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა



ინფორმაცია

კონსტრუქციული ახალგაზრდა მეცნიერთა საუკეთესო ნაშრომებზე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში ახალგაზრდა მეცნიერთა საუკეთესო ნამუშევრების გამო-საწილად 1981 წლისათვის აცხადებს კონკურსს.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია ორი მედალი და ფულადი პრემია, თი-ოთხედ 200 მანეთის ოდენობით, რომელსაც ყოველწლიურად ლექციებში ანიჭებს საქარ-თველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია ახალგაზრდა მეცნიერებს საუკეთესო მეცნიერული ნა-მუშევრებისათვის.

მედლები და პრემიები მიენიჭებათ ცალკეულ მეცნიერებს საუკეთესო მეცნიერული ნა-მუშევრებისთვის (მეცნიერულ ნაშრომთა სერიისათვის ერთიანი თემატიკის მიხედვით). აღმო-ჩენებისათვის, გამოგონებებისათვის.

მედლებისა და პრემიების მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობისათვის დაიშვებიან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, საწარმოებისა და ორ-განიზაციების მეცნიერი და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლები, მასწავლებლები, სტა-ჟიორ-მკვლევარები, ასპირანტები, რომელთა ასაკიც არ აღემატება 33 წელს.

კანდიდატების წამოყენების უფლება აქვთ:

ა) სამეცნიერო დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო საბ-ქოებს;

ბ) სამინისტროებს, უწყებებს;

გ) სამრეწველო საწარმოთა და საკონსტრუქტორო ბიუროების ტექნიკურ საბჭოებს.

ორგანიზაციები, რომელნიც წამოაყენებენ კანდიდატებს, ვალდებული არიან არა უგვიან-ნეს ოქტომბრისა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სათანადო განყოფილებაში წარწერით „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მედიის პრემიითურთ მოსაპოვებ-ლად“ წარმოადგინონ:

ა) მოტივირებული წარდგენა, რომელიც შეიცავს ნამუშევრის მეცნიერულ დახასიათე-ბას;

ბ) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნამუშევრის (ნაშრომთა სერიის), აღმოჩენის ან გამო-გონების მასალები 3 ვგზემპლარად;

გ) ცნობები ავტორის შესახებ (ძირითადი სამეცნიერო ნაშრომების, აღმოჩენების, გამო-გონებების სია, სამუშაო ადგილი და თანამდებობა, დაბადების წელი, ბინის მისამართი).

ცნობები ტელეფონით: 93-29-86, 93-88-89.


საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში ახალგაზრდა მეცნიერთა ნამუშევრების სპკპ XXVI ყრილობისადმი მიძღვნილი VII საკავშირო კონკურსის რესპუბლიკური ტურის ჩატარების შესახებ

საქართველოს ალკე ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ დაადგინეს, რომ 1981 წელს ჩატარდეს საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში ახალგაზრდა მეცნიერთა ნამუშევრების VII საკავშირო კონკურსის რესპუბლიკური ტური. დადგენილება ითვალისწინებს რესპუბლიკურ ტურში გამარჯვებულთა დაჯილდოებას ლაურეატის დიპლომით და მათი შრომების გამოქვეყნებას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნე“ საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგის სერიებში და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ დამატებაში.

კონკურსში მონაწილეობისათვის დაიშვებიან გამოცემული წიგნების, ბროშურების, გამოქვეყნებული სტატიების, აგრეთვე ხელნაწერების (მოცულობით არანაკლებ სამი თაბახისა) ავტორები, რომელთა ნაშრომები ეძღვნება მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, მეცნიერული კომუნიზმის, პოლიტიკური ეკონომიის, კონკრეტული ეკონომიკის, სკკპ ისტორიის, ალკე და საერთაშორისო ახალგაზრდული მოძრაობის ისტორიის, სსრ კავშირის ისტორიის, მსოფლიო ისტორიის, სამართლის, ფსიქოლოგიის, პედაგოგიკისა და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის პრობლემებს.

რესპუბლიკური კონკურსი დამთავრდება 1981 წ. ნოემბერში. შედეგებს შეიქამებს ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა რესპუბლიკური კონფერენცია საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში. საუკეთესო ნამუშევრები წარდგენილი იქნება საკავშირო კონკურსის მეორე ტურზე 1982 წ. I თებერვლამდე. II ტური დამთავრდება 1982 წ. სექტემბერში.

ნამუშევრები წარმოადგენილი უნდა იყოს რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტში (ორ ცალად). მისამართი: ქ. თბილისი, 280007, მაჩაბლის ქ. 11, საქართველოს ალკე ცენტრალური კომიტეტი, ახალგაზრდა მეცნიერთა განყოფილება. ტელეფონი: 93—79—54.



ქართულმა ფილოსოფიურმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა — მოულოდნელად გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი აკოლონ ეპიფანეს ძე შეროზია.

ა. შეროზია დაიბადა 1927 წელს სოფელ უშაფათში (ცხაკაიას რაიონი). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1955—60 წლებში მუშაობდა ფილოსოფიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1960 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიალექტიკური მატერიალიზმის კათედრის დოცენტის, ხოლო შემდეგ პროფესორის თანამდებობაზე. აქ გამოვლინდა ა. შეროზიას, როგორც შესანიშნავი აღმზრდელისა და პედაგოგის საუკეთესო თვისებები.

თავისი მეცნიერული მოღვაწეობა ა. შეროზიამ თითქმის მთლიანად მიუძღვნა არაცნობიერი ფსიქიკის ფილოსოფიური ასპექტების დიდმნიშვნელოვანი პრობლემის კვლევას. მას ეს პრობლემა აინტერესებდა უწინარეს იმისათვის, რომ გამოეკვლია დ. უზნაძის განწყობის თეორიის ფილოსოფიური საფუძვლები. ამიტომ ბუნებრივია ის ორგანული კონტაქტები, რომლებიც მას ქართული ფსიქოლოგიური სკოლის წარმომადგენლებთან ჰქონდა.

ცნობილმა მონოგრაფიებმა „ცნობიერებისა და არაცნობიერი ფსიქიკურის პრობლემისათვის“, „ფსიქია. ცნობიერება. არაცნობიერი“ და სხვა შრომებმა საერთაშორისო აღიარება მოუტანეს აკოლონ შეროზიას. მათ შესახებ დაიბეჭდა მრავალი საყურადღებო რეცენზია როგორც საბჭოთა, ისე უცხოეთის პრესაში. 1981 წელს აკოლონ შეროზია აირჩიეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფსიქოანალიზის აკადემიის წევრად. იგი იყო ამ აკადემიის ინტერნაციონალური ურუნალის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი. ა. შეროზია დენამიკური ფსიქიატრიის მსოფლიო ასოციაციის დამფუძნებელი წევრი და ამ ასოციაციის რეგიონალური თავმჯდომარე იყო.

ა. შეროზიას მომადლებული ჰქონდა მეცნიერ-ორგანიზატორის დიდი ნიჭი; იგი სული და გული იყო მეტად მნიშვნელოვანი საერთაშორისო სიმპოზიუმისა არაცნობიერის შესახებ, რომელიც 1979 წელს გაიმართა თბილისში. დიდია მისი დამსახურება სიმპოზიუმის მასალების საფუძველზე მომზადებული სამტომიანი კოლექტიური მონოგრაფიის — „არაცნობიერი. ბუნება, ფუნქციები, კვლევის მეთოდები“ — რედაქტირების საქმეში.

ა. შეროზია შესანიშნავი მოქალაქე იყო, გულწრფელი, კეთილმოსურნე, მომხიბლავი პიროვნება, შემოქმედებითი აყვავების ხანაში წავიდა ჩვენგან თვალსაჩინო მეცნიერი და პედაგოგი, რომლის ნათელი სახე მუდამ დარჩება მისი კოლეგებისა და მოწაფეების გულში.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო საპედაგოგიური განათლების სამინისტრო; თბილისის შრომის წითელი ღეროზის ორდენის სახელმწიფო უნივერსიტეტი



ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალში გამოსაქვეყნებელი მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ცალად, ქართულ ან რუსულ ენაზე. ქართულ ტექსტს უნდა ახლდეს რუსული რეზიუმე არა უმეტეს მანქანაზე დაბეჭდილი ერთი გვერდისა. წერილის მოცულობა, რეზიუმეს ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს ერთ საავტორო თაბახს (40 ათასი ასო ნიშანი); დაბეჭდილი უნდა იყოს სტანდარტის დაცვით.

წერილში გამოყენებული ნაშრომების სია დაერთოს ბოლოს, ტექსტში კი მიეთითოს რიგითი ნომერი კუთხოვან ფრჩხილებში. ავტორისეული შენიშვნები მიეთითება გვერდების მიხედვით.

სარედაქციო კოლეგია ნაშრომებს მიიღებს მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისი დაწესებულებების ან ამ დარგის აკადემიის ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების წარდგინებით.

ჩვენი მისამართია: 380008, თბილისი 8, რუსთაველის 29,

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის

ფილოსოფიის ინსტიტუტი

(ჟურნალ „მაცნესათვის“)

სარედაქციო კოლეგია

6122/185

3360 70 333.



Индекс 76195